

# საქართველო

ლიტერატურული საქართველო \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

5 მაისი 2023წ. №7 (4067) გამომცემის 92-ე წელი ფასი 2 ლარი



## მე საერთოდ ჩემი თავი, ჩემი თავგადასავალი გაინგებრეს

ჰიპერპოლიტიკა და მეტაფორების სამი ნიშანი

ნიგინი „უძებნი შვილი“ მესამე ნაწილია ტრილოგიისა, რომელიც ჩემს ბავშვობას ეძღვნება. პირველ ნიგნში „ეპიგრაფები და ეპიგრაფული სიზმრებისათვის“, რომელიც ჩემი ცხოვრების 8-10-ისა და 14-15 წლების პერიოდებს მოიცავს, გამორჩეულია ბავშვობისდროინდელი, ჩემთვის მნიშვნელოვანი ეპიზოდი, კერძოდ, როგორ გამოგვეკიდინე ხევსური ჯოროსნები ბავშვებს, რომლებიც მინდორში გაზრდილ მცენარეს – ყინტორას ანუ ხიფზოლას ვთხრიდით. დაფეთებული ბავშვები აქეთ-იქით დაიფანტნენ. მე მდინარისკენ გავიქეცი და დავიკარგე. სწორედ ეს შთაბეჭდავი მოგონება იქცა „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდის“ დაწერის მთავარი იმპულსად, თუმცა, ამ მეორე ნიგნში ისე გამიტაცა ფშავლებისა და ხევსურების ეთნოლოგიურმა კვლევამ, ანდრეზებმა, ადათ-წესებმა, მითებმა და ფოლკლორულმა ტრადიციებმა, რომ მთავარი მე-

▶▶ მასასრული. 83-2 გვ.

## დღე სასწაულისათვის

იმ დღიან დღეს, ნამუ-ადღევს, თბილისში, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში, არაფერი მოასწავებდა რაღაც არაჩვეულებრივს, მაგრამ ის მაინც მოხდა. მეტსაც ვიტყვოდი, მთავარი იყო ეს მო-„სწავება“ ანუ მინიშნება, რომელიც სიტყვა სასწაულის ფუძეში შემთხვევით არ დევს. მართლაც სასწაულია, ათი საუკუნე ელოდეს ნიგნს ისტორია და ამ მოლოდინის ახდენას თვითონ შეესწრო.

მოკლედ: 2023 წლის 3 აპრილს გაიმართა ფორდოუსის „შაჰნამეს“ სრული ქართული თარგმანის წარდგინება. მთარგმნელი ბელა შალვაშვილი.

„შაჰნამეს“ ლამის დაწერის დღიდან თარგმნიდნენ ჩვენი წინაპრები და შეიქმნა ათასწლოვანი ტრადიცია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მსოფლიო შედეგები ნაწილად, თუმცა, ფრაგმენტულად გადმოჰქონდათ. ირანისტმა, პოეტმა ბელა შალვაშვილმა თავიდან ბოლომდე თარგმნა და ამით დაასრულა ქართული შაჰნამეანას ისტორიული ეპოპეა.

სწორედ ამაზე იყო საუბარი სამხატვრო აკადემიაში, სადაც პირველი ოთხი ტომი იქნა წარმოდგენილი.

ალმოსავლეთმცოდნე გოჩა კუჭუხიძე: ეს მოვლენა მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისთვისაც;

პოეტი მაცვალა გონაშვილი: არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამდენი წლის შრომა, ამ გრანდიოზული ნიგნის თარგმნა ნამდვილი გმირობაა;

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მანანა კვაჭაძე: ეს არის იშვიათი, უნიკალური შრომა, რომელიც ჩვენმა მთარგმნელმა გასწია; ირანის ისლამური რესპუბლიკის სრულყოფილი ელჩი საქართველოში მაჰმუდ ადიბი: ირანული ლიტერატურის უპირველესი ძეგლის თარგმნითა და გამოცემით გაცხადდა ერთი დამაკავშირებელი ნიდი ორი ქვეყნის კულტურებს შორის;

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი თეა წულუკიანი: ვერავინ იტყვის, რომ ეს არ არის ისტორიული დღე ქართული კულტურის ისტორიაში. დიდი მადლობა ქალბატონ ბელას იმისათვის, რომ მან თავისი შეგნებული ცხოვრება და პროფესიული კარიერა ფორდოუსის შედეგის თარგმნას მიუძღვნა;

ბელა შალვაშვილი: მადლობა ყველას, ვინც დაინტერესდა ამ დიდი ძეგლის თარგმნითა და გამოცემით. მადლობა კულტურის სამინისტროს, გამომცემლობა „მერიდიანსა“ და, აგრეთვე, ვახუშტი კოტეტიშვილს, რომელმაც მრავალი წლის წინათ დამავალა „შაჰნამეს“ თარგმნა... თავი არ დამიზოგავს, ათასობით ღამისთვის შედეგად გავასრულე საქმე. ახლა სიტყვა მკითხველს ეკუთვნის.

კითხვით კი მართლაც სასიამოვნოდ იკითხება ეს პოეტურ-ქართული გიგანტი. ყოველ შემთხვევაში, ასეთია პირველი შთაბეჭდილება.

ბელა ცინცაძე



რეზო ჭეიშვილი – მასშტაბური ნიჭის პროზაიკოსი, რომელშიც შერწყმული იყო პოეტის გრძნება, დრამატურგის წარმოსახვა და კინემატოგრაფისტის თვალის უცნობელი ალლოთი გრძნობა ადამიანური ხასიათის უწერილმანეს დეტალებს. შინაგანი მზერის მეშვეობით აღწევდა ამ დეტალებში და ქმნიდა უაღრესად ცოცხალ, ნათელ, პლასტიკურ ლიტერატურულ გმირებს.

მართლაც ხასიათების ძერწვის დიდოსტატი იყო. გამოჰყავდა ისეთი ფერადოვანი, კაშკაშა ვიტრაჟები, რომლებიც სამუდამოდ აღიბეჭდებოდა მხსიერებაში. გურამ ასათიანი წერდა, რეზო ჭეიშვილის მთავარი ღირსება ის არის, რომ თავისი მანერით, საგნების თავისი ხედვით, თავისი იუმორით არავის ჰგავს თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

ის მართლაც არავის ჰგავდა გარეგნულად, სტილისა და მანერის ნიშნებით, მაგრამ შინაგანად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტრადიციასთან, რომელიც მსგავსებაზე მეტია და გულისხმობს ვალდებულებას, პასუხისმგებლობას, ერთგულებას წინამორბედთა ღვაწლის მიმართ. მას ჰქონდა მისი გრძნობა და შესაძლებლობაც, ღირსეულად გაჰყოლოდა დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის მიერ დასახულ გეზს, ბელეტრისტულ ხაზს, იდეოლოგიურ ვექტორს.

ის ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის გაცილებით ფართო და სახასიათო მოვლენაა, ვიდრე წარმოგვიდგენია. რეზო ჭეიშვილი ჩვენთვის ალბათ ის არის, რაც იტალია კალვინო იტალიელებისთვის,

## განსხვავებული მსგავსი რეზო ჭეიშვილი 90

ალფონს დოდე – ფრანგებისთვის, დილან ტომასი – ვალელებისთვის, პულევილი – ჰაუზი – ინგლისელებისთვის, აზიზ ნესინი – თურქებისთვის.

იუმორი და იუმორთან შეზავებული სევდა მისთვის თვითმზანი კი არ იყო, არამედ ხასიათი, ჰუმანიზმის, ეგზისტენციური ტკივილის, ადამიანისადმი თანაგრძნობის გამოხატულება.

მსოფლმხედველობითა და ესთეტიკური მრწამსით ის ძალიან ახლოს იდგა ფედერიკო ფელინის შემოქმედებასთან. ამას, სხვათა შორის, საგანგებოდ აღნიშნავს ემზარ კვიტიანიშვილი თავის ახლად გამოსულ დიდტანიან ნიგნში „რეზო ჭეიშვილის გვერდით“.

სწორედ სიტყვაკაზმული აზროვნებისა და კინემატოგრაფიული ხედვის ბედნიერი ნაზავია მისი საუკეთესო პროზაული ნაწარმოებები – რომანები: „მუსიკა ქარში“, „მეოთხე სიმფონია“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „დალი“, „ქარების დაბრუნება“, მოთხრობები: „ვაიმე, ჩემო ვენახო“, „გია“, „კომპოზიტორი ჩირბე-რიძე“, „გუია ა“, „მინების განაწილება“, „წარსულის სურათები“ და სხვ.

ცალკეა აღსანიშნავი მისი სცენარების მიხედვით გადაღებული ფილმები: „ცისფერი მთები“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „ექსპრეს-ინფორმაცია“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ყვარყვარე“, „გამოაღეთ ფანჯრები“.

ნიჭიერი მწერალი დეტალებში იცნობა. იცნობა ერთ, ფრაზით, მსოფლხედვით, გრძნობით, სიბართლით. ადვილსაცნობი – ეს არის ინდივიდუალობის, თავისთავადობის, ტალანტის ბეჭედი. ამ ადვილსაცნობი ნიშნებით არის აღბეჭდილი რეზო ჭეიშვილის შემოქმედება. ამით არის ის ცნობილი, გამორჩეული, თვითმყოფადი, სანდო.

ამიტომ ვახსენებთ სიყვარულითა და აღფრთოვანებით – ყოველთვის და კიდევ ერთხელ – დაბადებიდან 90-ე წლისთავზე.

„ლ“ რედაქტორი

**დილატანტიზმი - თანამედროვე კრიტიკის ნაკლი**

ინტერვიუ გუბა მგალაქასთან

83.3

**პოეტი უფოთვალე ბულბრილოვის წინაშე**

ჟაკლინ სირაკის წერილი

83.4

**პოეტი - დისიდანტი**

შალვა მჭადლიშვილი - 100

83.7

**რაცა დმართსა არა სნადღეს**

გალო კოპიაშვილის მოთხრობა

83.8-9

**„უდავოდ სასტიკი“**

ლაშქრობა პავლოს წინააღმდეგ

83.15



ტაფორა, რისთვისაც წიგნის წერა დავიწყე, მიმეკარგა. ამან მაიძულა ტრილოგიის მე-სამე წიგნის – „უძებნი შვილი“ დაწერა. ეს მეტაფორა სამყაროსთან პირისპირ დარჩენილი ბავშვის თავგადასავალია, რომელიც ამ უზარმაზარ, ქაოსურ სამყაროში დაიკარგა და რომელიც მარტოა, დაბნეული და შეშინებული და რომელსაც არავინ ეძებს ღმერთის მეტი და როდესაც სამყაროს ქაოსი კულმინაციას მიაღწევს, „ღმერთი მას ნაგავსაყარზე პოულობს“. ამიტომ ვამბობ, „უძებნი შვილი“ 13 წლის წინ გამოცემული წიგნის გულია, სადაც, როგორც გითხარით, ყველაზე მთავარი დამეკარგა – საკუთარი თავი, მე კი, საერთოდ, ჩემი თავი, ჩემი თავგადასავალი მიანიტერესებს.

მაგრამ იცოდეთ, რომ იმ დიდ, 500-გვერდიან წიგნს აბსოლუტურად არაფერი დააკლდა. მეტიც, ის სულ სხვა წიგნია, სრულიად განსხვავებული – ფორმითაც და სათქმელითაც. ისე კი, ამ ტრილოგიას რაც აერთიანებს, ბავშვობიდან შემორჩენილი ფრაგმენტები და პოეზიაა, რომელიც რთული აღსაქმელი შეიძლება აღმოჩნდეს ამბების თხრობას მიჩვეული მკითხველისათვის.

ამ ახალ წიგნს („უძებნი შვილი“) კი პირველ რიგში რაც სჭირდება, ეს მაგარი მკითხველია. მკითხველი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის იგივე მწერალია. მწერალი რომ არ იყოს მკითხველი, იმავე წონის რომ არ იყოს, რა წონაც მწერალს აქვს, არაფერი საინტერესო არ იქნებოდა.

**„უძებნი შვილი“, როგორც მეტაპოეტური წიგნი**

ლიტერატურისთვის სხვადასხვა აზრი და მასზე კამათი იმდენად სასიცოცხლოა, რომ იგი ხელოვნურადაც კი შეიძლება წამოიწყო. ალბათ, გამოვიცდით, რომ სიტყვა „ლექსის“ ხსენებაზე უკვე იცით, რას უნდა ელოდოთ. თითქოს ნაცნობია ისიც, რაზეც იქნება საუბარი, გემოც კი გიჩნდებათ წინასწარ... ხოლო ცოდნა და გრძნობა რომ დაგროვდება და მარად ნაცნობი გახდება, იბადება ახლის სურვილი – რომ ერთდროულად გამოსცადო და შეაფასო კიდევ – შემფასებლის პასუხისმგებლობა იგრძნო.

რა არის „მეტაპოეტური ნაწერი“? – კონკრეტული პასუხი მოუხელთებელია. „მეტაპოეტური ნაწერი“ არის ის, რაც პოეზიის იქითაა, რაც განსჯაზე, დაკვირვებაზე აღმოცენებული. ლექსის გარეთ ბევრი რამ რჩება... ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს „მეტაპოეტური“ კანონი კი არ არის, კანონი კი არ გამოიძვინა. სხვათა შორის, ამ ახალ წიგნში მაქვს ნაცადი მეტაპოეტურის განმარტება. თავიცაა ცალკე, მაგრამ მე თვითონ მაინცდამაინც ისეთი კმაყოფილი არა ვარ, იმიტომ რომ მსჯელობა დამჭირდა, რაც მე მეჯავრება.

„მეტაპოეტური ნაწერი“ არის ის, რაც ფურცელზე წერია და რაც აშიაზეა – ანუ ფურცლის გარეთაა. დედანიც და დედნის იქითაც, ლექსიც და ლექსის იქითაც, საგანიც და საგნის იქითაც... ყველაფერი, რასაც გონება და გრძნობა სწვდება, უფრო სწორად კი, ყველაფერი, რაშიც გონება გრძნობიერდება და გრძნობა – გონიერდება. არ გეშინია – ეს ხომ პოეზია უნდა ყოფილიყო, ეს ხომ პროზაა... „მეტაპოეტური ნაწერი“ პოეტური ცნობიერების პირმოაა, პოეტურ მსოფლალქმეზე დაფუძნებული. აქ ავტორი გამოიშვებულება, რადგან მისი აზრი, ემოცია, სუნთქვის რიტმი, განსჯის უნარი, კომენტარიც და ისიც, რაც წაშალა – ყველაფერი მკითხველის თვალწინაა. „მეტაპოეტური ნაწერი“ შეუძლია სიცოცხლე მიანიჭოს სამყაროში არსებულ „პოეტურ უწყვეტობას“, მას შეუძლია, ბიძგი მისცეს პოეტური აზრის, პოეტური გამოცდილების, პოეტური სულის ალორძინებას... მე ტრადიციებსა და ჟანრებს კი არ ვებრძვი, მაგრამ მიყვარს, როცა შემოქმედი არც ერთი ჟანრის წინაშე არა ხარ ვალდებული. როცა ხართ შენ და ქალაქი, შენ და შენი თავი.

„მეტაპოეტური ნაწერი“ მნიშვნელოვანია დაპირება, ხატოვანება და ვარაუდი. მისი იმპულსი მოულოდნელობაა – შენ უნდა მოიხელო და კალმით აღწუხდეს ის, რაც აზრს შეგიკრთობს, ფიქრისა და

განსჯისთვის გამოგინვეს, უნდა გაჰყვე კალამს და გაეტაცებინო გულსა და წარმოსახვას და დაძლიო სიმორცხვე და დაწერო იქნებ კიდევ ოდესმე წიგნი „არაფერზე“ ანუ წიგნი „ყველაფერზე“, რაც შენი აქ ყოფნის საბუთად დარჩება. მე სხვანაირად არ შემიძლია. საერთოდ არ მსიამოვნებს, რაღაც დავეგემო და ის გავაკეთო. შეცდომები თუ არ ახლავს, არაფერი საქმე არ ვარგა – ცდომილება არის ჩემი ერთ-ერთი იარაღი.

ამ ჩემი წიგნების მთავარი ნიშანიც ეგაა – ბევრი პოეზია და ამაში ადამიანი გემოს ვერ ნახულობს. ჩემი ნაწერები შუა საუკუნეების ნაწარმოებების მსგავსია, „ვისრამიანისა“, მაგალითად, სადაც ენასა და ხატოვანებას დიდი მნიშვნელობა აქვს. „ვეფხისტყაოსანიც“ ხომ ეგაა. ეგ რომ არ იყოს, ენა და პოეზია რომ არ იყოს მასში, არაფერზეც არ იქნებოდა.

ახლა კიდევ შეიძლება წიგნს ნობელის პრემია მისცენ და იმ წიგნში ერთი სახეც ვერ ნახო, პოეზია სულ გადაგდებულია. ჰყვებიან რაღაცას და ჰყვებიან გლახად, რადგან ყველაფერი ცუდად გამოდის, სადაც სახე არაა. ჩემთვის ეგეთი ლიტერატურა ლიტერატურა არ არის.

მე ძალიან მიყვარს პემინგუეი. მისი მოთხრობები მიყვარს ძალიან და თვითონ ისეთი პოეტიცაა, გაგიჟდება. ერთი პატარა მოთხრობა აქვს, „ხიდის ყურე“. ხომ მოთხრობაა, მაგრამ დასრულებული ლექსია. ჰოდა, მასში ამან გამოიტაცა.

**ვინ არის უძებნი შვილი**  
უძებნი შვილი არის ყველა, ვინც მარტოა ამ სამყაროში, ვინც დაკარგულია, ვისაც არავინ ეძებს, მაგრამ ვინც ჯიუტად ეძებს საკუთარ თავს, სანამ მას ღმერთი არ მიაგნებს და არ დააბრუნებს შინ, თავის ნიაღში.

**„ცხოვრებას სწყურია მსხვერპლი, რომ მერე მასზე ივალალოს“**

პირველი მსხვერპლი იყო აბელი. მას შემდეგ კაცობრიობის განვითარება მსხვერპლებზე დგას, კანის გზაზე მიდის. აბელია პირველი ზვარაკიც და უძებნი შვილიც. მსხვერპლის მოთხოვნილება ადამიანში შიშზე დგას, ამ ყველაზე უფრო ძველ, პირველყოფილ, ბნელსა და დაუძლეველ ვნებაზე. შიშზეა აღმოცენებული ყოველგვარი ძალმომრეობა, რასაც შედეგად აუცილებლად მოჰყვება მსხვერპლი.

რომ გადახედო ისტორიას, სულ მსხვერპლია. იქნებ ამის გამო არც არავის უნდოდა ადამიანად ყოფნა... ჩვენ რა ვიცით, ჰომეროსს უნდოდა კი?! ჩემს ბავშვობაში ჩემი ხნის ბავშვები ღორებს კლავდნენ, მე კიდევ, ღორს რომ აკვლევიანებდა დედაჩემი, ოთახში შევდიოდი, არა ვჩანდი, მაგრამ ყაურმას კი ვჭამდი. ძალიან ძნელია...


„ცხოვრებას სწყურია მსხვერპლი, რომ მერე მასზე ივალალოს“ – ირონიული ფრაზაა, რომელიც ადამიანის ტრაგიკულ უსუსურობას აღწერს.

**„სამყაროში ადამიანი მით უფრო მარტოა, რაც უფრო ჭკვიანია, სისულელე კი ძალას აძლევს, რომ სამყაროს გაურკვევლობაში დრეკადი და მოქნილი იყოს, აჰყვეს გაურკვეველ სამყაროს, მკაცრი სინამდვილის რიტმს და მოხროს კი არ იყოს კიბის ნიშანივით – რა ვქნა? – არამედ ძახილის ნიშანივით გამართული – უნდა ვიმოქმედო! ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ საქანელასავით ფიქრი არაფერს არგებს, რომ სამყაროშიც და ცხოვრებაშიც მხოლოდ დრეკადობა გააძლიერებს“**

ვინ მოუგონა ადამიანს, რომ მისი დანიშნულება მყარად დგომა ან მყარად ცხოვრებაა? – უკიდურესობებზე ხეთქებამ აქცია ადამიანი ადამიანად.

ისე, ძახილის ნიშანივით გამართული მხოლოდ თავისუფალი ადამიანია, რომელიც, ჩვენს ცრურწმენებითა და კლიშეებით დახუნძლულ სამყაროში, ხშირად, სულელადაც აღიქმება.

ესაუბრა მელანო კოზახიძე წყარო: Veli.blog



**მენაჯრები**

რეზო ჭიჭიშვილი


მერვე წელს, ამ არყოფნის, მწადს ნაშუალო ზოლი... რამდენი მაქვს მე შენთან სათქმელ-მოსაყოლი. ვერ მეტყვიან, რამეთი სხვებმა დაგასწრესო, გულით დამაქვს, იცოდე, სახე შენი, რეზო! მოლაღატე, ამდენი, არასოდეს გყავდა; ვისმენთ ყიფიყის მამულის დამძიდგელთა, სვავთა. როგორ წარმოვიდგენდით ზნედაცემას, ასეთს! ღირსნი არ ვართ წინაპრის, ვინც ვერ დაეფასეთ. განძის ვიყო მფლობელი, დავთმობ, რას აღარა, გავიმეტებ, ძმავ, რეზო, შენდა გასახარად!

24 აპრილი 2023  
**ემზარ კვიციანი**

**ჟურნალ „კრიტიკის“ მე-17 ნომერში გამოქვეყნდა ნაიკითხოსო:**

მაია ჯალიაშვილის „რომანი-აპოკრიფი (გიორგი კაჭარავას რომანი „პილატე და კაიაფა“), სოფო წულაიას „ნიკა ჯორჯანიელის „ნეტ-ფლიქსი“, ნონა კუპრეიშვილის „ფიქრების ამოცნობა მუსიკის თანხლებით (ზაირა არსენიშვილის „რეკვიემი“), გია არგანაშვილის „სამყარო ისეთ შემოქმედს ჰდებს, როგორც მას სჭირდება გიოლომიდის პოეზია“, ადა ნემსაძის „ზოგიერთი მოსაზრება 2021 წლის ქართულ მოთხრობაზე“ და რეცენზია ნინო სადღობელაშვილის რომანზე „დაბადების დღე“, მზია ჯამაგაძის „სივრცე შესაძლებლობების გარეშე: პოსტკოლონიური დისტოპია ცოტნე ცხვედიანის რომანში „მაიაკოვსკის თეატრი“, ანა

აფაქიძის „კეთილი-ბოროტის დიქტომია ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, დიმიტრი თუმანიშვილის „ხელოვნება და ინდივიდუალიზმი“, ლელა ოჩიაურის „ბედისწერა და გზები, რომლებსაც ვირჩევთ (ალექსანდრე რევიამ-ვილის იგივეები)“, მანანა შამილიშვილის „სატელევიზიო ეთერის „(მა)ვენ(ბლო) ბანი“, მარიამ გიორგაშვილის რეცენზია „ზაირა არსენიშვილის „მოკლე კატოს თავგადასავლის“ გამო“, ლევან გელაშვილის „ქართული ფუტურისმიის ასი წელი“, ზოია ცხადაიას „მარი აბრამიშვილი – გადაუღებელი წვიმების ელეგია“, გია არგანაშვილის წერილი თამაზ ნატროშვილზე, ნატალი საროტის „ექვის



ერა“ (თარგმნა მანანა კვიციანი), ანტონიო გამონედას ინტერვიუ და ლექსები (ესპანურიდან თარგმნა ქეთევან ჯიშიაშვილი), ლალი ავალიანის „შემოქმედი და რეჟიმი“ (დავით კლიმაშვილის დაბადების 160 წლისთავისათვის. აღსანიშნავია აგრეთვე ინტერვიუ ვახტანგ ჯავახიძესთან (ესაუბრა მირანდა ტყემელაშვილი).

**„მე მქვია ბარბრა“**

ბარბრა სტრეიზანდის პირველი მემუარები წლის ბოლოს გამოქვეყნდება. ამის შესახებ მისმა გამომცემელმა განაცხადა.

წიგნი სათაურით „მე მქვია ბარბრა“ 80 წლის ვარსკვლავის ცხოვრებასა და სამოცნობიან კარიერას სრულად მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ მკითხველს აქამდეც ჰქონია შესაძლებლობა მის ცხოვრებაზე დაწერილ წიგნებს გასცნობოდა, ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა სტრეიზანდი უშუალოდ ჩაერთვება ბიოგრაფიის დაწერაში.

სტრეიზანდმა სახელი მოიხვეჭა როგორც მომღერალმა, მსახიობმა, რეჟისორმა და პროდიუსერმა. მის ანგარიშზეა ორი ოსკარის, ხუთი ემის, ათი გრემის, თერთმეტი ოქროს გლობუსისა და ერთი ტონის ჯილდო. პირველი ფილმი, რომელიც მისი ავტორობით შეიქმნა, იყო „ინგლი“. ამან სტრეიზანდი აქცია პირველ ქალად, რომელიც მსხვილი კინოკომპანიის მიერ დაფინანსებულ კინოსურათში მოგვევლინა ერთდროულად რეჟისორად, პროდიუსერად, სცენარის ავტორად და მსახიობად. იგი გახდა პირველი ქალი, რომელმაც მიიღო საუკეთესო რეჟისორისთვის განკუთვნილი ოქროს გლობუსის ჯილდო. ასევე, სწორედ ბარბრამ პირველი კომპოზიტორი ქალი, რომელსაც გადაეცა აკადემიის პრიზი საუკეთესო ორიგინალური სიმღერისთვის, სახელწოდებით „Evergreen“



(სასიყვარულო მელოდია კინოფილმიდან „ვარსკვლავის დაბადება“). სტრეიზანდი მთელი ცხოვრება აქტიურ ქვემოქმედებას ეწევა. 1986 წელს დაარსებული „სტრეიზანდის ფონდი“ სხვა მრავალ საჭიროებო საკითხთან ერთად, ორიენტირებულია ქალთა უფლებების, საარჩევნო უფლებებისა და გარემოს დაცვის პრობლემებზე.

ბენ ბრუსი, გამომცემლობა „Century“ — „Penguin Random House UK“-ის დირექტორი, რომელიც სტრეიზანდის ბიოგრაფიის გამოქვეყნებას იხსნავს მიზნად, ვარსკვლავს „უდიდეს შემოქმედსა და კერპს“ უწოდებს. მისი აზრით, ეს წიგნი „შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დიდებული ამბავია, რაც კი ოდესმე დაწერილა“. „სტრეიზანდის მემუარების თითოეული გვერდი კი, მისი ოსტატური წარმოდგენებისა არ იყოს, გულწრფელი, თავმჯდომარეობისა და შთაბეჭდილებაა.“

„მე მქვია ბარბრა“ 2023 წლის 7 ნოემბერს გამოქვეყნდება ბექდური, ელექტრონული და აუდიოვიზუალური სახით. „გარდიანი“, 7 თებერვალი, 2023 წ.



# დილაგანაძე - თანამედროვე კრიტიკის ნაკლი



– რადგან ბათუმში გავიცანით ერთმანეთი, მოდი, სწორედ აქედან დაიწყო. ბათუმი, თვალის ერთი გადავლებით, მეგაპოლისის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ცოტა ხანში ხვდება, რომ ის ჯერ კიდევ ის არის, ძველი, ნაცნობი, ძვირფასი („ქათქათა“, „თვალნარმტაცი“, როგორც სიმღერაშია), ოღონდ ახლად დამატებული ფერებით, სიმაღლეებით, სივრცეებით. ეს ჩემთვის... თქვენთვის როგორია ბათუმი?

– თამაზ ჩხენკელს აქვს ლექსი ბათუმზე. იქ ასეთი ფრაგმენტი გხვდება:

„ხავს მოდებული ეზოების მკაფიო სუნნი, რკინის აივნის მოაჯირი, ყრუ ალაყაფი... და ჟანგის თუნუქების უსაზღვრო შიში ნვიმებისა და ქარისადმი. ქუჩის ბოლოში – სურათის მსგავსი ნაესადგური უძრავი გემით... რა მინდა მე აქ?! წინათგან ნობის ვინაობა შუკებით (გადამალულის მოსაძებნად თვალახვეული წრეში ბორძიკით მოარული მუშაობით) დავეხებები ამ ქალაქში, სადაც ყველაფერს უხსოვარ დღეთა იდუმალი ბეჭედი აზის“.

მგონი, ბათუმმა სწორედ „უხსოვარ დღეთა იდუმალი ბეჭედი“ კვალი დაკარგა. ეს დანაკლისი, ცხადია, ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი რიგში, იმ ავთენტური, მაცოცხლებელი მეგაპოლისად, ეს უფრო მეგაპოლისის იმიტაციაა, რომელსაც აქვს თავისი სრულიად შთაბეჭდავი და ნაკლებად მიმზიდველი (აუტანელიც კი!) მხარეები.

ისე, იმას ნამდვილად ვისურვებდი, რომ ოთარ ჭილაძის „რკინის თვატის“ შემდეგ კიდევ არაერთი მწერლისთვის ქვეყნის ბათუმი რომანის სამოქმედო არეალად, ოღონდ ამჯერად თანამედროვე, თვალსა და ხელს შუა ცვალებადი, ბათუმის ლიტერატურული მოდელი უფრო მაინტერესებს. თბილისს უკვე დიდი ხანია ჰყავს ასეთი მწერალი აკა მორჩილაძის სახით.

– როგორია ბათუმის ლიტერატურული ცხოვრება. აქვს რაიმე თავისებურება, სპეციფიკა, რაც მხოლოდ მას ახასიათებს?

– პასუხის ნაცვლად შეკითხვა გამიჩნდა. ჩავთვალთ, რომ ხმამაღლა ვფიქრობ: აქვს კი ბათუმს ლიტერატურული ცხოვრება? ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად არ მაქვს იმის ილუზია, რომ ბათუმში რაიმე სერიოზული და საკუთრივ ამ ქალაქისთვის დამახასიათებელი ლიტერატურული პროცესი მიმდინარეობს. თბილისს არ შედარებით აქ ნამდვილად კრიზისული ფონია. ყოველ შემთხვევაში, თბილისში ძალიან ხშირია წიგნის პრეზენტაციე-

გუგა მგელაძე. დაიბადა 1995 წლის 16 მაისს ბათუმში. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მისი ესეები, თარგმანები და პიესები იბეჭდება სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალებში: „არილი“, „ახალი საუნჯე“, „ელექტროლიტი“. 2018-2020 წლებში მონაწილეობდა ბათუმის მონოდრამის ფესტივალზე. მისი პიესების მიხედვით დაიდგა სამი სპექტაკლი: „მღვდელი“, „ბრიფინგი“ და „პიტლერი“.

თარგმნილი აქვს ჰაროლდ პინტერის „მთის ენა“, ქერილ ჩერჩილის „შეიდი ებრაელი ბავშვი“, „სიყვარული და ინფორმაცია“, დევიდ აივ ზის „ვარიაციები ტროცკის სიკვდილზე“.

მისი ინტერესების სფეროებია თანამედროვე ლიტერატურა, ქართული სალიტერატურო პროცესი, მეოცე საუკუნის ბრიტანული დრამატურგია, ძველი ბერძნული ტრაგედიების თანამედროვე ვარიაციები, პოსტმოდერნისტული რომანი.

2022 წელს მიენიჭა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პრემია „ლიტაივანი“ კრიტიკის დარგში.

ბი, ცალკეული შეხვედრები, დისკუსიები. შესაბამისად, ერთადერთი სასიცოცხლო სივრცე ჩემთვის ბათუმის დრამატული თეატრია.

– ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტი ბრძანდებით, კარგად იცნობთ ბრიტანულ დრამატურგებს, ნება უნებლიეთ ალბათ გინევთ ქართულთან შედარება. რა უნდა ისწავლოს ქართველმა დრამატურგებმა ბრიტანული დრამატურგებისგან?

– თანამედროვე ქართული დრამატურგიის პრობლემა თემების, პრობლემების და პერსონაჟთა ტიპების (ვახსენოთ ეს გაცვეთილი სიტყვა „ტიპაჟი“) ანუ ხასიათების ლოკალიზაციაში მდგომარეობს. ამ მხრივ, 1979 წელს მეტად საყურადღებო დიალოგი გაიმართა მიხეილ თუმანიშვილსა და თამაზ ჭილაძეს შორის. თუ გვინდა გავაანალიზოთ თანამედროვე ქართულ თეატრსა და დრამატურგიაში არსებული კრიზისის მიზეზები, სწორედ ეს შესანიშნავი დიალოგი, გარკვეული მსოფლმხედველობრივი პაექრობა, უნდა ვაქციოთ ერთგვარ ზნეობრივ კომპასად.

სწავლას ვერ დავარქმევდი, მაგრამ ის, ვინც ცდილობს დაეუფლოს ამ ურთულეს ხელობას, პირველ ყოვლისა, უნდა აცნობრივდეს იმ ფაქტს, რომ პიესა სრულყოფილი ლიტერატურაა და არა სცენისთვის დანერგილი ნახევარფაბრიკატი.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს რატომღაც პიესის ნაცვლად (არა აქვს არსებითი მნიშვნელობა შექსპირზე საუბრობენ ამ დროს, ჰაროლდ პინტერზე, თომას ბერნარდსა თუ სარა კეინზე) თეატრალურ ტექსტს იყენებენ, არადა ჩემთვის დრამატურგია არ იყოფა ე.წ. საკითხავ და სცენისთვის დანერგილ ტექსტებად. პიესა სრულფასოვანი ლიტერატურაა, როგორც რომანი ან მოთხრობა. ის, რაც სცენაზე უნდა გაცოცხლდეს (ინტერპრეტორებს და ქმედით სიტყვად იქცეს), პირველ რიგში, ლიტერატურული თვალსაზრისით უნდა ვარგოდეს. მარტივად რომ ვთქვა, კარგად უნდა იკითხებოდეს. ასეთია: ევრიპიდე, არისტოფანე, შექსპირი, ნიკენი, ოლბი, პინტერი, ქერილ ჩერჩილი, სტრინდბერგი, ჩეხოვი, ბექეტი, დავით კლდიაშვილი, ჰაინერ მიულერი, თამაზ ჭილაძე, ირაკლი სამსონაძე, ლაშა ბუღაძე, ნინო ხარატიშვილი...

– რა პრინციპით არჩევთ ინგლისურ დრამატურგებს? რა პრინციპით არჩევთ ინგლისურ დრამატურგებს? რა პრინციპით არჩევთ ინგლისურ დრამატურგებს?

– მთარგმნელობა იმდენად რთული (და თან უმადური!) საქმეა, ნამდვილად ვერ დავინყებ იმის მტკიცებას, რომ კიდევ მექნება რაიმე ტიპის მცდელობები. დევიდ აივ ზისი, ქერილ ჩერჩილის და ჰაროლდ პინტერის პიესები პანდემიის პერიოდში ვთარგმნე. დრო მქონდა და, ასე ვთქვათ, მხოლოდ ინტერესის გამო წამოვიწყე. გამომდინარე იქედან, რომ დროში არც არავინ მზღუდავდა, ნელ-ნელა, გარკვეული

პაუზებით, ვთარგმნიდი. შერჩევის კრიტერიუმზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ვირჩევდი ჩემი საყვარელი დრამატურგების აქამდე უთარგმნელ პიესებს. ქერილ ჩერჩილის „შეიდი ებრაელი ბავშვი“ „არილი“ გამოქვეყნდა, ჰაროლდ პინტერის „მთის ენა“ „ახალი საუნჯეში“, ხოლო დევიდ აივ ზის „ვარიაციები ტროცკის სიკვდილზე“ „ელექტროლიტზე“ განთავსდა.

– რას ნიშნავს თქვენთვის თეატრი?

– თეატრის დრო – მარადიული „ახლა“, რომელიც მხოლოდ ხელოვნების კანონის „ლოგიკით“ (ამ, მეტად აუხსნელი და იდუმალი, მაგიით) ფუნქციონირებს. ბავშვობიდან დაეყავი დედას ჯერ ბათუმის თოჯინების, შემდეგ კი დრამატულ თეატრში. ერთხელ ძალიან უცნაური სპექტაკლი „სალამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“ ენახე. პატარა ვიყავი და უშუალოდ პიესის აღმოჩენამდე არც კი მახსოვდა, გოგა თავაძის სპექტაკლი ნანახი თუ მქონდა. კითხვის დროს „მზა“ მიზანსცენებთან ერთად ბავშვობის დროინდელი შეგრძნებებიც ცოცხლდებოდნენ. ყველაზე მძაფრად ბავშვური ალტაცების მომენტი მახსოვს. მე ხომ პირველად ვნახე სცენაზე ფანტასმაგორია ანუ იმეგარი ესთეტიკური განზომილება, სადაც ზღვარი რეალობასა და ფიქციას შორის უქმდება. სწორედ ამ სპექტაკლით და პიესით აღმოვიჩინე ირაკლი სამსონაძე, ერთ-ერთი საუკეთესო პროზაიკოსი და დრამატურგი. მხატვრული აზროვნების დიაპაზონით, პოეტურობითა და პრობლემატიკით „ყოფილების სარეცელი“, „მეთევზე ერთი, ორი“, „ციცქნა გოლიათი, ჩვენი“ და „სალამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“ ევროპული მასშტაბის პიესებია ისევე, როგორც თამაზ ჭილაძის „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“, „ნახვის დღე“, „ბუდე მეცხრე სართულზე“, ლაშა ბუღაძის „ნუგზარი და მეფისტოფელი“, „ანტიმედეა“, „ნაფტალინი“ და ნინო ხარატიშვილის „ფედრა, აღმოდებული“, „სილამაზე“, „ჩემი საშინელი ბედნიერების წელიწადი“...

სწორედ სპექტაკლებმა გააღვივეს ჩემი ინტერესი დრამატურგიისადმი. კითხვამ კი წერის სურვილი გამიჩინა, რადგან მინდოდა, კონკრეტული ამბავი სწორედ პიესის მეშვეობით მომეყოლა.

– რა როლს თამაშობს თქვენს პიესებში პოლიტიკური თემები?

– ბოლო ორი წლის მანძილზე სამ პიესას ვწერდი. სამივე ცნობილი სიუჟეტის („შუმანიკი“, „ოიდიპოს მეფე“ „ორესტეა“) თავისუფალი რეცეფციაა. უფრო ზუსტად, გარკვეული აქცენტების გამძაფრების მცდელობა და მათში თანამედროვეობის „ამოკითხვა“. ისე გამოვიდა, რომ სამივე მათგანი პოლიტიკის, ძალადობის და ცოლ-ქმრული კონფლიქტის კვლევის თავისებურ

ვარიაციაც იქცა. შედეგად, საერთო კონცეფციით გავაერთიანე და ტრილოგიად ვაქციე. ტრილოგიას „ასპიტა ბუდე“ ჰქვია. ყოველი ამბავი თითო ქალის: შუმანიკის, იოკასტეს და კლიტემნესტრას დამოუკიდებელი ხმაა. წერის დროს ყველაზე მთავარი აღმოჩენა კი ის იყო, რომ საუკუნეების მანძილზე ადამიანი არ შეცვლილა. ისევე ისეთივე დესტრუქციული არსებაა. სიყვარულშიც კი. ადამიანი უცვლელია. იცვლება მხოლოდ კონტექსტი (ე)ბი.

პოლიტიკური თემატიკით დაინტერესება განაპირობა ამ ტიპის ნაწარმოებების კითხვამ, ოღონდ ტრილოგიის არცერთი ნაწილის წერისას წინასწარ არ მიფიქრია კონკრეტული თემის თუ საკითხის აქტუალობაზე.

– კომედია „მავზოლეუმის“ მოქმედება 1961 წელს მიმდინარეობს. ლენინი, სტალინი, ხრუშჩოვი, მჟავანაძე... ყველანი აქ არიან. ფინალში, ფარდის დაშვებამდე, ფსიქიატრი ყვირის: „არის აქ ვინმე ნორმალური?“ ამ შემთხვევის ექო დღესაც ხომ არ გაისმის?

– ფსიქიატრის შეძახილი, ცხადია, იმპროვირებულია. ღია ფინალი უკვე იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას და ეს უკვე მკითხველის გადასაცემებია, რამდენად თვლის ის თავს ჯანსაღი საზოგადოების წევრად. მგონი, „მავზოლეუმის“ ერთ-ერთ თემად ეს, ტრაგიკულად აქტუალური, შეკითხვა უნდა მოვიანზოთ: გულისხმობს თუ არა მმართველობა შემოიღობის ასპექტს თუ გარემო, კონტექსტია შიზოფრენიული?

– როგორ მოხვედით კრიტიკაში. რამ გადაწყვეტინათ ანალიტიკურ სფეროში მუშაობა?

– რამდენიმე ბრწყინვალე წიგნია ქართულ კრიტიკაში, რომლებმაც ჩემზე იმდენად მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინეს, რომ სურვილი გამიჩნდა კონკრეტული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ შთაბეჭდილებები და ემოციური მდგომარეობა სწორედ ანალიტიკური ესეს ან რეცენზიის ფორმატში მომეხელთებინა. თან ეს არ უნდა ყოფილიყო მკითხველური ალტაცების ბანალური გამოვლინება, არამედ ემოციის და ანალიზის ორგანული სინთეზი.

ქართველი კრიტიკოსებიდან, ესეისტებიდან და ლიტერატურისმცოდნეებიდან შემიძლია დავასახელო რვა პიროვნება, რომელთა წიგნებმა თუ ცალკეულმა პუბლიკაციებმა ჩემი მკითხველური მსოფლალქმა და აზროვნების სტილი განსაზღვრეს. ესენია: გურამ ასათიანი, ოტია ჰაჭკორია, ნიკო ყიასაშვილი, აკაკი ბაქრაძე, ანდრო ბუაჩიძე, თამაზ ჭილაძე, დავით წერეთლი და ნაირა გელაშვილი.

– როგორც ჩანს, პოეტური ტექსტის ანალიზი უფრო გინდავთ, ვიდრე სხვა ჟანრების განხილვა. რატომ?

– მართალია, პოეზია ჩემი ყოველდღიურობის უარსებითესი ნაწილია (არსებობის ფორმაც კი!), მაგრამ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ამ ყველაზე სრულყოფილ ჟანრს კრიტიკოსის პერსპექტივითაც შევხვდებოდი. დღემდე მგონია, რომ პოეზიაზე წერისას ხედვის განსაკუთრებული „სიფხიზლე“ და ალღოა საჭირო.

ამ სირთულეს უშუალოდ პოეზიის ხასიათი განაპირობებს. ხორხე ლუის ბორხესი ამბობდა, რომ „ლექსის პირველი ნაკითხვა ყველაზე ნამდვილი. ამის შემდეგ მხოლოდ თავს ვიტყუებთ და ვცდილობთ დავიჯეროთ, რომ შევძლებთ იმ თავდაპირველი შეგრძნების, შთაბეჭდილების ხელახლა გაცოცხლებას

სა და განმეორებას. (...) შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოეზია ყოველ ჯერზე რაღაც ახალ გამოცდილებას იძლევა. ყოველთვის, როცა ლექსს ვკითხულობ, ამ დროს ჩემში გამოცდილების შექმნის აქტი უნდა განხორციელდეს. სწორედ ესაა პოეზია.“

პოეტური კრებულის ანალიზის სურვილი სრულიად სპონტანურად გაჩნდა. თემურ ჩხეტიანის, ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტის კრებულის „ბალახის სიმაღლე“ გადაკითხვისას დღიურში რამდენიმე შთაბეჭდილება ჩავინიშნე. ეს იყო ფიქრების ნაფლეთები, უსისტემო, ფრაგმენტული. ბოლოს, ანალიტიკურ ესედ ვაქციე და გამოვაქვეყნე. წერილი რამდენიმე ჩემთვის ძვირფას ადამიანსაც მოეწონა. ყველაზე მეტად კი თავად თემურ ჩხეტიანის რეპლიკამ გამახარა.

– თამაზ ბაძალაძის პოეზიის შესახებ დანერგილი ეტიუდში ამბობთ, რომ მისი ერთ-ერთი ლექსი („მკვდრები ყვიროდნენ“) შეიძლება ეგრეთ წოდებული „ზასტოსი“ პერიოდის თაობის ერთგვარ პროკლამაციად აღვიქვათ. როგორ გგონიათ, არსებობს რაიმე კავშირი ამ „პროკლამაციას“ და თქვენი თაობის განწყობილებებს შორის?

– გამიჭირდება ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან თაობის სახელით ლაპარაკი არ მჩვევია და არც მგონი სწორი. თამაზ ბაძალაძეს ეს შემზარავი ლექსი მართლაც „ზასტოსი“ პერიოდის თაობის სულიერი პროკლამაციაა, საკმაოდ მკაცრი და დაუნდობელი. ასოციაციურად, ამ ლექსის ერთგვარ კულტუროლოგიურ დიალოგად მესახება ბესიკ ხარაჩაულის „მკვდრების სიმღერა“. აი, აქ ნამდვილად იკვეთება განსხვავებული მენტალური მყობის, პოეტის და გემოვნების წყვილ შემოქმედის ხედვა და პოზიცია.

– მალე გამოცემლობა „ინტელექტი“ გამოსცემს თქვენი კრიტიკული წერილების კრებულს სათაურით „განგაშის პოეზია“. მეტყველი სათაურია, მაგრამ მაინც. რაზე ეს ნიშნავს, რა არის მისი მთავარი თემა?

– „განგაშის პოეზია“ თანამედროვე ლიტერატურული პროცესის ანალიზის მცდელობაა. ჟანრულმა მრავალფეროვნებამ თავად მიკარნახა კრებულის სტრუქტურა და გადაწყვიტე რამდენიმე თემატურ რეალად დამეყო. ესენია: პოეზია, რომანი, დრამატურგია, დებიუტი, გასხვება და ორი ლიტერატურული დიალოგი. ეკლექტიზმის თავიდან ასაცილებლად დაუნახებლად ვთქვი უარი არაერთ წერილზე. მათი გაცნობა, დანტერესების შემთხვევაში, „არილის“ ძველ ნომრებსა და „ელექტროლიტზე“ შესაძლებელი.

– თქვენი აზრით, რა აკლია თანამედროვე ქართულ კრიტიკას?

– კრიტიკოსი, რომელსაც სტილის, კომპოზიციის შეგრძნება არა აქვს, უბრალო მიმოხილველად დარჩება და ვერ იქცევა სრულფასოვან მწერლად, რადგან ყველა დიდი კრიტიკოსის ნაწერი ისეთივე გატაცებით, მე ვიტყვოდი, აზარტით, იკითხება, როგორც რომანი, მოთხრობა, პიესა.

თანამედროვე ქართული კრიტიკა შეგვიძლია დავყოთ ორ მიმართულებად. პირველი მწერლის პერსონალურ ლანძღვაზე, აგრესიასა და ცინიზმზე კონცენტრირებული, ხოლო მეორე კი სიყალბის, დიტირამული სულისკვეთების და ერთგვარი ნეკროლოგის სინთეზს გულისხმობს. რეალურ ანალიზს, სამწუხაროდ, მხოლოდ ორ-სამ კრიტიკოსთან ვხვდები.

თანამედროვე ქართული კრიტიკის პრობლემა გულწრფელობის ნაკლებობასა და დილტანტიზმშია.

ესაუბრა  
ნიკანა ამირხანაშვილი



შაკლინ სირაძე

# პოეტი უფოთველი გულგრილობის წინაშე

## მზია ხეთაგურის პოეტური კრებული „ამოძახილი“

რატომ არის პოეტის ყოველი ცხოვრებისეული ამბავი მნიშვნელოვანი? ან, არ გიფიქრიათ, არ გაგკვირვებიათ, რომ პოეტის სასიყვარულო თავგადასავალი, ლამის ჰერაკლიტეს იმ მდინარეში ჩაგვადგდეს, რომელშიც შესვლა მხოლოდ ერთხელაა შესაძლებელი? არ გაძნუნებთ იმის გააზრება, რომ ათი ათასი ადამიანის სიკვდილის ინფორმაცია ისე გადმოიცემა, რომ არავის სულს არ შეარხევს?

თუმცა ბედნიერებაა, რომ ისეთი პოეტები, როგორცაა, მაგალითად, მზია ხეთაგური, ლამის გულში განგმირული ისარივით განგვაცდევინებენ თავიანთ ყოველ ამბავს, ისტორიას, უნებურ ფიქრს, თუ ნუხილს! დაგანახებენ და განგვაცდევინებენ თავიანთი პოეტური სამყაროს „თავგადასავალს“.

პოეტის ყოველი წამი თუ წუთი გამოხმობილია სიცოცხლის შიდაპირიდან – სიკვდილის საუფლოდან. ამიტომაცაა მისი წამები ალვისი ტანჯვითა და ნუხილით, და ისეთი სიმძიმით, რასაც ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრების ერთი მძიმე, გაუსაძლისი და არსებითად გამოწვევის ეპიზოდი მოიცავს.

მაგალითად, ასეთია მგლოვიარე ქმარი თავისი ახლახან გარდაცვლილი, ახალგაზრდა, ძვირფასი, მშვენიერი მუხლის გვამის პირისპირ – პოეტი კი, თითქოს საგულდაგულოდ აგროვებს ამ მწუხარე წამებს, და ისე გამოდის, რომ ის მარადიულად მგლოვიარეა. ეს მგლოვიარობა, ეს ტკივილითა და ტანჯვით აღსავსე წუთების მოგროვების ხელოვნებაა, რომელშიც ყოფიერებასთან დაუწოდებელი ბრძოლა პირდაპირ ამოკითხვება, როგორც მზია ხეთაგურის შემოქმედების წინაპირობა:

*გალაღებულნი როცა ვარ და ჩემი ბრწყინვა გიკვირთ, ცრემლებით მორწყულ მოსავალს მე სწორედ იმ დროს ვიპოვო! ოგჯერ თუ ვინმეს ვახელებ მოღერებული ყელით, ამ დროს ფეხებთან მეხვევა ათასი ჯურის გველი.*

მარადიულად მგლოვიარე პოეტი მზია ხეთაგური, რადგან ის სამყაროს ყველაზე ერთგული ჭირისუფალია. შესაბამისად, მის ახლახან გამოშულ კრებულს ჰქვია – „ამოძახილი“. საზოგადოებრივი წიგნის სათაური ყოველთვის ის ერთადერთი გზაა, რომელიც რომში მიგვიყვანს, ანუ იმ ქვემარტივების გზაზე დაგვაცყენებს, რომელიც პოეტის სამყაროს კარიბჭის გასაღებს ჩაგვებარებს.

„ამოძახილი“ – ეს არ არის ძახილი, ვინმეს რომ უბრალოდ გაეპასუხო, ეს არის სამყაროს ხმა, ტკივილისა და ტანჯვის განცდით რომ ჩაგვამის, მაგრამ ეს არ არის გოდება, ქვეყანა რომ ზარით დასცე. არა, ეს არის გაუსაძლისი „წამების“ გამოიხობით იძულებითი ხმის გაღება, რათა შენი ხმა გაიგონონ. და კიდევ აუცილებელია იმის გახსენებაც, რომ ამოძახილი ქართულში აუცილებლად, ერთგვარად სიმღერის ასოციაციასაც ბადებს, რითაც ეს სათაური იმ საყოველთაოდ აღიარებულ აქსიომას ეხმიანება, რომლის თანახმადაც, ქვემარტივია ის ნაწარმოები, – ის ლექსი, მოთხრობა, თუ რომანი, რომელიც აუცილებლობამ დაჰბადა, რომელიც გარდაუვალი კანონზომიერების პირმშობა.

მზია ხეთაგური არსად წერს, რომ ეს საუკუნე ბერნი საუკუნეა, პირმშო უღმერთობისა, ღვთაებრივის დამცრობის თავზარდამცემი დროებაა, მაგრამ დანახებითა და მწუხარებით წერს იმის შესახებ, რომ საუკუნის სუნთქვაში, მის ლანდშაფტში ვერ ჩაენერება ზნეობა – „დაკარგული სამოთხე“ და რაც ყველაზე საგანგაშოა პოეტისთვის, ამას არავინ მისტირის, და შესაბამისად, ხელოვნებაში აღარ იქმნება ის ტექსტები, რომელშიც „ლირიული გადახვევები“, ან „გულისაწაწყებელი აღმაფრენები“ გვხვდება. და თუმცა ის თავისთავში მძლავრად გრძნობს საუკუნის ხმას, და ის გაუცხოებული, გახვევებული, მაგრამ ამ დროსაც კი მასში ჭარბობს არა საუკუნის ხმის „მიდევნება“, არამედ ამის გამოიხობით რაღაც ბავშვური გულდაწყვეტა და გულუბრყვილო დანახება, როცა ის კითხულობს:

*ვინ წაგვართვა, სად არის გაზაფხულის სინაზე? ან, გაქრა ყველა სტრიქონი, ვარდზე, ანდა, ჩინარზე?*

ლექსში „ერთმანეთის ჯინაზე“ ერთმანეთს უკავშირდება „გამქრალი სილამაზე“, როგორც ღვთაებრივი ცილის განქრობის ტრაგედია და მისი თანმდევი ადამიანთა გაუცხოების უგუნურება:

*ყვავილს ვერ ამოქარგავ მიტკლის ნაცვლად – მინაზე... ერთმანეთი დაეკარგეთ, ერთმანეთის ჯინაზე!*

მზია ხეთაგურის წვდომის უნიკალური უნარით შესწევს, ეგზისტენციალისტი მწერლის მსგავსად აღიქვას გაუცხოების სიმძიმით, – როცა სიყვარული აღარ არსებობს, როცა სიყვარული მოკვდა. მისი არაორდინალური ხედვა ასე გადმოიცემა ლექსში:

*ჩვენ ერთმანეთის ქვრივები ვართ, ერთმანეთზე შავები გვაცვივა, სხვას ეჩვენება, რომ მაცვია სიცოცხლის ფერი; სხვას ეჩვენება, რომ გაცვია სიცოცხლის ფერი, – ჩვენ კი სიკვდილის ფერი გვაღვებს.*



ბერნი საუკუნის სუნთქვის თანმდევა ეგზისტენციალურ-მა ხედვამ მასში თითქოს ლირიკული პოეტის ხმა ჩაახშო, არადა ის სწორედ ამ ნიშნით დაიბადა.

მისი პოეზიის კითხვამ მე უნებურად გამახსენა ა. კამიუს „უცხოდან“ მერსოს სიტყვები:

„იმ შმაგმა რისხვამ თითქოს ტკივილისგან განმწმინდა, იმედი გადამიწურა. იღუმალი ნიშნებითა და ვარსკვლავებით მოჭედულ ღამეში პირველად ვმომვლდებოდი სამყაროს უფოთველი გულგრილობის წინაშე“.

და მართლაც, პოეტი – მზია ხეთაგურის სიტყვა „შიშველია“. ერთგან ის წერს:

*გინდ დამიწუნეთ შიშველი, ფარდახადილი სიტყვა!*

ის „შიშველია“ „სამყაროს უფოთველი გულგრილობის წინაშე“, ამიტომაც მისი სათქმელი, ხშირ შემთხვევაში, ყვირილის ფორმას იღებს. საოცარი ლექსია „უზურგო სკამი“. ის თავად ერთგვარ ჩანაწერს დაურთავს ამ ლექსს, კერძოდ, როცა ის 12 წლის იყო, მისი დედ-მამა ერთმანეთს დაშორებული იყვნენ. და თუმცა მამასთან მას სისტემატური ურთიერთობა ჰქონდა, ის თეატრის სცენაზე თავის გამოსვლისას (18 ნომრიდან მას 6 ეკუთვნოდა – ცეკვა, სიმღერა, საკუთარი თუ ცნობილი პოეტების ლექსების კითხვა, როიალზე დაკვრა, სპექტაკლში მონაწილეობა, მხატვრული ტანვარჯიში) და ის მაინც მოუთმენლად ელოდა მამას. ამის ნიშნად მან მაყურებელთა დარბაზში ერთი სავარძელი შეარჩია და ზედ თავისი ჩანთა დადო და თან ყველა გააფრთხილა – ეს მამაჩემის ადგილიაო. და თუმცა მამა, კონკრეტული მიზეზის გამო, ვერ დაესწრო მის გამოსვლას, პოეტის გულმა ლოგიკურ განსჯას დაასწრო და ეს შედეგური შექმნა:

*დარბაზში ვხედავ, ვხედავ სავარძელს, მომძვრალ საზურგეს, არ უჩანს პირი... შევყურებ მას, და ნაღველი მანევს – სიცარიელე დარბაზში ყვირის!*

ყვირილის ხმა ჩაგვსმის მაშინაც, როცა იმ სამყაროს შეპყრება, რომელშიც მისი სიყვარული „დამთავრდა“.

კარგად მახსოვს ის განცდა, როცა წავიკითხე მზია ხეთაგურის სიტყვები, რომ თავს ვერ მოიტყუებდა და რომ „მთელი ეს ქაოსი, ურთიერთგამთიშველი სიძულვილი“ არ ძალუძს აღიქვას „რომანტიკულად“. მე ამან უნებურად გამახსენა ერთი პერსონაჟის ასე ცნობილი სიტყვები:

**„ყოველთვის საინტერესოა მოისმინო, რას ლაპარაკობენ შენზე. მაშინაც კი, როცა განსასჯელის სკამზე ხიხარ“** (ა. კამიუ „უცხო“).

მისი ლექსების კითხვისას პოეტს სწორედაც განსასჯელის სკამზე ვხედავთ, სადაც მზია ხეთაგური არა საზოგადოებამ, ან ვინმე პირმა, არამედ თავად თავისმა გულწრფელობამ, აღსარების ასე დაუოკებელმა წყურვილმა მიიყვანა. და ამიტომაც ის ამაყად, მრისხანედაც კი მიმართავს თავის ცრუ მოსამართლეებს:

*ნეტავ ჩემსავით თუ გძულთ ის ქალი, რომელსაც ჩემი სახელი ჰქვია? რად დამიძინეთ ზურგში ისარი, – მე მაგ ისრისთვის გული მაქვს ღია! (...)* გიმზერთ თვალებით, გადარეულით... ვარ გაცრეცილი საკლასო რუკა და შეცდომებით სავსე რვეული!

საზოგადოდ, როცა მის პოეტურ სამყაროს ეცნობი, არ შეიძლება გონებაში არ გაგვიბინოს ერთი მწერლის მოსაზრებამ დოსტოევსკის შესახებ, რომ მისი კითხვისას თითქოს ისეთ აღსარებას ისმენ, რომელსაც არათუ სხვას, არამედ საკუთარ თავსაც კი დაუმალავ, ვერ გაუმყლავნებ. მზია ხეთაგურის შემთხვევაშიც თავზარდაცემული კითხულობ, სისხლი გეყინება და თითქმის არც კი გჯერა, რომ ადამიანს შეეძლო ასე ღიად, გულწრფელად, თავისი თავის გამანადგურებელი განაჩენი თავად „დაეწერა“.

*თუნდაც ასეთ „აღიარებად“ შეიძლება მივიჩნიოთ ეს ლექსი: მე ხომ ისა ვარ, მარტოობისთვის რომ გავიმეფე უმწურო შვილი და ჩავიდიე ურცხვი მკვლელობა – ჩამოვხარჩე ბავშვობა მისი.*

მისი ლექსების სათაურებიდანაც იკვეთება მისი წერის კრედი – აღსარების წარმოთქმის გულწრფელი მოთხოვნილება. ასეთი ლექსების რიგს მიეკუთვნება „თვითგვემა“:

ღმერთო რა არ დავაშავე! – ცარცი მურით გავაშავე! ნახშირიც კი გავათეთრე, ბრაზით ღამე გავათენე.

თუ ბრძენი და წმინდანი წიგნების მეშვეობით ეცნობიან სამყაროს, მზია ხეთაგურის მგრძობიარე, ვულკანის ლავასავით მშფოთვარე ბუნებისთვის უფრო ახლობელია, ცხოვრება აირჩიოს მასწავლებლად, ცხოვრება, რომელიც ადამიანს თავისი პიროვნების „ტყაფზე“ განაცდევინებს ყველა მოვლენას და მასზე ამოტიფრავს მწარედ მოპოვებულ სიბრძნეს. ერთ-ერთი სიბრძნე, რომელიც პოეტმა აღმოაჩინა ისაა, რომ ის ვერსად პოულობს უანგარობას:

*უანგარობა? სად გინახავთ უანგარობა? ის არ არსებობს, არ არსებობს – მართლა, ღმერთმანი!*

მხოლოდ ასეთ მძაფრ ხედვას, ხედვას, რომელსაც სიმართლის დადგინება სურს, ძალუძს აღმოაჩინოს ნუთისოფლის ის ყალბი განაწესი, რომელშიც უანგარობა გამოწვევისაა, ანგარება კი ზოგადი წესი.

ამან მე გამახსენა ვოლტერის სიტყვები, რომელმაც „ფრანგი ერის გემოვნების ფორმირების“ საქმეში უდიდეს წვლილად მიიჩნია დიდი ფრანგის – ფრანსუა დე ლა როშფუკოს „მაქსიმები“, რადგან მან „ხელი შეუწყო ფრანგი ერის აზროვნებას“. ის თითქმის იმავე სათქმელს ამბობს, რასაც პოეტი:

**„39. ანგარება ყველა ენაზე ლაპარაკობს და ყოველწინა როლს ასრულებს, ასე განსაჯეთ, თვით უანგარობის როლსაც“.**

მაგრამ პოეტმა დიდი ფრანგის ნააზრევი, ეს მწარე ქვემარტივება, უსამართლობის ეს დაუნერული კოდექსი, თავად მიაკვლია თავისი განგმირული გულით, მღელვარე სულის მეოხებით. და ვინც იცის, თუ რა რთულად მოიპოვება ასეთი „სიბრძნე“, ისიც იცის, თუ რა შინაგან სისუფთავეს, თუ რა სულიერ სიმალეს შეუძლია მიიყვანოს ადამიანი ამგვარ სიმართლემდე, იმასაც მიხვდება, თუ ვინ დგას პოეტ მზია ხეთაგურის სახით ჩვენ წინაშე.

ჩვენ წინაშეა პოეტი, რომელსაც თავისი ხალხის ხმა ესმის. „არსი პოეზიისა დაუნჯებულა ღმერთთა მინიშნებებისა და ხალხის ხმის ერთმანეთისაგან და ერთმანეთისაგან მიმსწრაფ კანონებში. თავად პოეტი მათ შუა დგას – ღმერთთა და ხალხს შუა. ის გადაგდებულია ღმერთთა და ადამიანთა შუა (მ. ჰაიდეგერი).“

ამ შუაში დგომის გაუსაძლისი სიმძიმითი უფრო მძიმდება, როცა გაიზრებ მის სიტყვებს:

*„ბედმა მარგუნა ოსობაცა და ქართველობაც“ და ამასაც დასძენს კითხვის ფორმით:*

*„ეს მძიმე და პასუხსაგები ტვირთია, რომელსაც დიდი ძალა და უნარი სჭირდება. მაქვს კი ამის ძალა?“*

მან ამ „ტვირთის“ „შინაარსზე“ თავის ლექს „ანდერძში“ ჩაწერა და მისი კითხვისას იმასაც ხვდება, რომ მზია ხეთაგურმა ეს პასუხსაგები, უმთავრესი დავალება აღასრულა: *ჩემი ბავშვობის სასუფეველო! გულნატყვიარო ჩემო ცხინვალო!*

*ჩემო ოსებო და ქართველებო! ზღუდრის საყდარში სანთლის ციალო!* უსათაურო პატარა ლექსში ის წერს:

*ამოვახველებ – ამომყვება ცხინვალზე სევდა... ამოვისუნთქავ – აფხაზეთი მადგება გულზე... ამოვიკვილებ – ვკარგავ, ვკარგავ, კვლავ ვკარგავ დედას... ამოვენთები... და გამქრალ მზეს ბრმასავით ვუმზერ!*

მისი შესანიშნავი, ერთ-ერთი გამორჩეული ლექსი – „ო, ვარაიდა, ვარადა“ თითქოს მარტონ ჰაიდეგერის ფრანზის ხორცშესხმული დადასტურებაა:

მხოლოდ ენა გვპირდება შესაძლებლობას ყოფიერის ღიაობის გულში დგომისას. სადაც ენაა, იქ არის სამყარო.

ამ ქმნილებაში იმ სიყვარულზეა საუბარი, „რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“, და პოეტის ერთადერთი სატკივარია, რომ გულს არ შეუძლია სხვა ვინმე შეიყვაროს. და თუმცა ეს ლექსი პოეტის მშობლიური, ძვირფასი ქართული სიტყვებით იწერება, მაგრამ მისი დიდი ტკივილი მას იმ დიდ სინამდვილეში გააღწევინებს, სადაც ის თავისი ერის საყვარელ, და მაინც ღრმა გლოვის ამომთქმელი სიტყვის – „ვარაიდას“ – ნიაღში აღმოჩნდება. და მოულოდნელად ამ ლექსის ბგერათწყობა სამგლოვიარო ზარით ამღერდება, ხან ნაწილ-ნაწილ დაიშლება, ხან კი სხვა ქართულ სიტყვებთან „თამაშში“ და „დეულში“ გაამყლავნებს გლოვის სიღრმესაც და სილამაზესაც.

სიყვარული გაქრა და ამის ნიშნად პოეტი მზია ხეთაგური წერს:

*გაუდაბურდა ედემი, ქარიშხლად იქცა ნიაგი!*

შემდგომ კი პოეტი თავისი ჩვეული უბრალოებითა და მშვენიერი სისადავით დაწყვილებს ოსურ ამოძახილს ქართულ სიტყვებთან და ასე გამოთქვამს თავის უდიდეს ტრაგედიას:

*ვიცი, რომ აღარ გიყვარვარ, როგორ გიყვარდი, არა და... გულმა სხვა ვერ მიიკარა, ო, ვარაიდა, ვარადა!*

მზია ხეთაგურის კრებული „ამოძახილი“ თითქოს „სინანულის კიბეა“, რომელზედაც წმიდა ფერემ ასური ამბობდა, რომ მის „საფეხურებს ჩვენ აყავართ იმ სანეტარო ადგილას, საიდანაც ოდესღაც დავევით“.

ამიტომაც ეს უაღრესად საინტერესო პოეტი – მზია ხეთაგური, დაჯილდოებული არა მარტო უამრავი ლიტერატურული, მათ შორის საერთაშორისო პრემიით, არამედ მას ასევე, ყველაზე დიდი ნიჭის, სინანულის გამო, საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ წმინდა გიორგის ოქროს ორდენი გადასცა.



რეზიუმე

# საგანი პოეზია ყოფიერება

მოდერნიზაციული ლიტერატურული მიმდინარეობების მძაფრ ურთიერთჭიდობა, მე-20 საუკუნის გარდასვლაზე რომ განვი-თარდა, პოეზიის სფეროში გამოიკვეთა სალესო ტიპი, რომელმაც უანრული სპეციფიკის თვალსაზრისით მყარი ადგილი ვერ დაიმკვიდრა, მაგრამ არა ერთი პოეტის შემოქმედებაში ნარეული კვალი დატოვა.

ასეთ ლექსებში, ცალკეული ნიმუშების სახით ყველა ეპოქის პოეზიაში რომ დაიძინებდა, მაგრამ დროის აღნიშნულ მონაკვეთში განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოვლინდა, ასახვის ობიექტი ხდება საგანი, რომელიც თავად, შემოქმედი სუბიექტის ჩარევის გარეშე, გვიხვეს სათქმელს. ვამბობ საგანი, მაგრამ ვგულისხმობ არა ოდენ უსულო საგანს, ჩვენს ირგვლივ არსებულ მატერიალურ ნივთსა სამყაროს, არამედ ნებისმიერ ფაქტს, მოვლენასა და ხდომილებას, რაზეც შეიძლება ადამიანმა იაზროვნოს.

სახელწოდებაშივე (das Ding-sagani, das Dinggedicht – საგნობრივი ლექსი) იკითხება მისი უანრული სპეციფიკა. სახეზეა მკაცრი ავტორისეული დისტანცია – არავითარი განსჯა, მსჯელობა და ანალიზის ელემენტები, მით უფრო, ავტორისეული განცდა და ემოცია. დაკვირვების ობიექტად იქცევა საგანი ნამისმიერ ყოფიერებაში, ნამისყოფაში აღქმული საგნის შინაგანი სამყარო. ყოველივე დაკონკრეტებულია პრინციპით – აქ და ახლა! შესაბამისად, ლექსები გამოირჩევიან მისაბაძი მხატვრული ტექსტით, რაც სწორედ ფაქტისადმი მიუდგომლობას გულისხმობს.

მხატვრული სახეები ემორჩილებიან ობიექტის ვიზუალური აღქმისა და მისი არსიდან აღძრული ემოციის ნაკადს. საგანი შეიგრძნობა ისე, როგორც ის არის და როგორც მისი სულის ქვეცნობიერი მოძრაობა. პოეტური მეტყველება, ძირითადად, ბუნებრივი მდინარებით გამოირჩევა. მხატვრული მეტყველება დამორჩილებულია სისადავის პრინციპს, რადგანაც ასახვის ობიექტი პოეტური სამყაროსთვის გარეშე იჩენს თავს ღირსიულ ნაწარმოებში. თუმცა ავტორისეული წყდომის სიღრმე, ფრაზათა სტილური სისადავე და სიმსუბუქე ლექსებს მაინც უმკვიდრებს მაღალპოეტურ ღირსებას.

\*\*\*

მე-19 საუკუნის გერმანული პოეტური საგანძურიდან წარმოდგენილი ორი ლექსი, დესკრიფციული ხასიათის მიუხედავად, ადვილად შეგვიძლია აღვიქვათ მშვენიერების გასაგნებულ ხატებად. კონკრეტული დროის მიღმა არსებული ეს საგნები თუ იდუმალი არტეფაქტები ოდენ დროის მანძილზე შემორჩენილ მშვენიერებას არ გვახსენებენ. ისინი უფრო მთვლენარე ჰორიზონტების შეცნობაზე არიან მიმართული.

ლექსები შექმნილია საუკუნის ბოლო მესამედში, ახალი დროების, აღმავალი ბურჟუაზიული ხანით განპირობებული სულისკვეთების ატმოსფეროში. აღმავლობა შეინიშნება ასევე შემოქმედებით ცხოვრებაში, როდესაც ტრადიციულ კულტურულ ღრეზულეებზე დაყრდნობით საფუძვლი ყურება ახალგაზრდა კულტურის აღორძინებას. ამ მიმართებით მნიშვნელობას იძენს ადრეულ რომანტიკოსთა მოღვაწეობა გერმანიაში, რომელთათვისაც ლიტერატურა და ხელოვნება სამყაროს ესთეტიკური გარდაქმნის მძლავრ საყრდენს წარმოადგენდა. ისტორიული წარსულის იდეალიზაცია მათთვის იმდენად იყო აქტუალური, რამდენადაც წარსულის ლაბირინთებში ძველი სამყაროს საიდუმლოებათა მიგნებისა და აღმოჩენის საშუალება ეგულებოდათ. ეს იგივე იყო, რაც ანმეოში წარსულის სასიცოცხლო სხივის შემოჭრა. ლექსებში აშკარად იგრძნობა წილნაყარობა რომანტიკულ სულისკვეთებასთან. მათი ნაკითხვა შეიძლება როგორც რეალურ, ისე სიმბოლურ პლანში. აქ თითქოს გადახსნილია წარსულის ფარდა, რომლის მიღმა ბევრი ვნება და სურათის წარმოდგენა შეიძლება.

ლექსები ამჟღავნებენ თავგანსჯივლად ძველი ხელოვნებისადმი, თუმცა უგულებელყოფილია ძველი ხელოვნების პათეტიკურობა. ამასთანავე, უკუგდებულია ბუნებრივი გრძობები. აღქმული „მე“ ფიქტიურია, ის მხოლოდ სიცოცხლეს შთაბერავს საგანს. ამის საფუძველზე არსებობს ზედაპირული მოსაზრებაც, რომ მსგავს ქმნილებებში შექმნილია ოდენ უთვისებო განწყობილება, ნეიტრალური ჭკრება, რომ ლექსი დაცლილია სულიერი ღირებულებებისაგან. არადა, პირიქით!

ავტორისეული მეტყველება მათში ხასიათდება წარსული დროების სალონური სინატიფით. ფრაზები ინარჩუნებენ ღირსიულ ღვერადობას. ესთეტიკური ქსოვილი მიმზიდველია, გამოსჭვივის ამაღლებული სული, შესაბამისად, ამაღლებული იდუმალება, ფარული საზეიმო განწყობილება. ან რა არის გასაკვირი: განათლებული სული მხოლოდ ისეთ დახვეწილ ფრაზებს მიმართავს, რომელთა სილამაზე სრულყოფილ სიღარბისლემი იკითხება და თავად ავტორის კეთილშობილ სულზე მეტყველებს:

ელჟარდ მოერიკე (1804-1875)

## ს ა ნ ა თ ი ს ა დ მ ი

კვლავაც ამშვენებ, ძველებურად, უცხო სანათო,  
ნატიფ ჯინჯილზე მოხდენილად დაკიდებული,  
ჭერს დღეს თითქმის მივიწყებული სალხინო სახლის.  
შენს თეთრ ბაკანზე, რომლის კიდეს გარს მიუყვება  
ოქროსფერ-მწვანე ბრინჯაოსგან მოქსოვილი სუროს მარამში,  
ფერხულს უელის მხიარული გუნდი ბავშვების.  
როგორ იტაცებს თვალს ყველაფერი! მომღიმარი,

სათუთი სული სიღარბისლის დაჰვენია მთელ ამ ქმნილებას,  
ჭეშმარიტ ნიმუშს ხელოვნების.  
მაგრამ ამჩნევს კი ვინმე ამას? თუმც სილამაზე,  
ღვთით კურთხეული, თავად სჭვივის ყოველ საგანში.  
თარგმანი რუსუდან ლვინეფაძის

კონრად ფერდინანდ მაიერი (1825-1898)

## რ ო მ ა უ ლ ი წ ყ ა რ ო

გადმოიღვრება ჭავლი ძლიერი  
მრგვლოვან ბაკანში, მარმარილ ქმულში,  
მერმედ გადავა შეცვლილ იერით  
მეორე ბაკანის გლუვანათალ ღრმულში;  
მეორე გასცემს, ქველისმყოფელი,  
ავსებს მესამეს თავისდა კლებად,  
ასე გასცემს და იღებს ყოველი,  
ხან სჩქევს, ხან ცხრება.

თარგმანი კ.ზ. გამსახურდიასი

დამეთანხმებით, რომ წარმოდგენილ ლექსებში დროის შეგრძნება არ იკითხება. ისიც იგრძნობა, რა ღრმად გაუდგამთ საგნების ხსოვნას ფესვები წარსულსა და მომავლის შორეულ სივრცეებში.

დროულობა და ზედროულობა აქ ერთმანეთშია გადაჯაჭვული, სახეზეა საგანთა მათთვის ნიშანდობლივ მოქმედებაში წარმოჩენა, რაც ზოგათთვის ნატურალისტურ აღწერად მიიჩნევა. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც გონება წარსულს უბრუნდება და გარდასულის ბნელ კუნჭულს ახალი, მაცოცხლებელი შუქი ფენება. სანათი კვლავაც ამდიდრებს სულს სიცოცხლის სისავსითა და უზუნაესი მხიარულებით; წყარო კი, ოდენ ჟამთა სიავისაგან გამოფიტულ ჩონჩხად რომ არ ქცეულა, მარად მჩქეფარე სიცოცხლის ნიშანწყალივით გვევლინება. ორივე ლექსში, თავადაც რომ უძღვებენ ჟამთა მსუღებობას, დასაბამიერი სიღიადე იფურჩქნება და სულს სხივისანი მხიარულებით ავსებენ.

\*\*\*

რაინერ მარია რილკემ (1875-1926) საგნობრივ ლექსს ახალი ნახნაგები შესძინა. „საგნები“ ჩნდება ადამიანი, ცხოველი, მცენარე, ხელოვნების ნიმუში. მკვეთრად კონტურირებულ სიუჟეტში მნიშვნელობას იძენს საგნის პლასტიკა. ახლებური ხედვა იბადება პარიზში, სადაც რილკე როდენის მონოგრაფიაზე მუშაობის დროს უახლოვდება როდენსა და სახვითი ხელოვნების სხვა წარმომადგენლებს, გასაკუთრებით სეზანს. სახვითი ხელოვნების საიდუმლოებებში გარკვევა მას არწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ სიტყვიერი ხელოვნების ნიმუში ისეთივე ზუსტი გამომსახველობისა უნდა იყოს, როგორც მოქანდაკის მიერ საჭრეთელით გამოკვეთილი ფიგურა. 1907/08 წლებში გამოცემული ორნამენტული „ახალი ლექსები“ სწორედ შემოქმედების პირველი, გრძობისმიერი ლექსების პერიოდის გადალახვისა და ახალი ხედვით შექმნილი პოეტური სამყაროს იდეალისტრაციაა. რილკესული პოეტური ფანტაზიის საუფლო აქ ადგილს უთმობს ვიზუალურად აღქმულ ობიექტურობას, სიღრმე – ზედაპირს, შინაგან ხედვას ენაცვლება სამყაროსადმი მიმართება, ხოლო მგრძობელობას – საქმიანი ფრაზა:

რაინერ მარია რილკე

## ა ვ ა ზ ა

პარიზის ზოოლოგიურ პარკში

ისე დალადა მზერა მისი წყებამ გისოსთა,  
რომ ვეღარ უძღვებს უსასრულო ამ აგონიას;  
თითქოს არსებობს ეს ათასი გისოსი მხოლოდ  
და სხვა სამყარო იმას იქით მონაგონია.

დინჯი ნაბიჯი დაჭიმული, რბილი ტორების  
უმცირეს წრეებს უდიდესი დათმენით ხაზავს,  
და მოჰგავს ცეკვას, – უხილავი ბირთვის გარშემო –  
მისი ძალის და მტკიცე ნების მისტიურ ნაზავს.

მხოლოდ დროდადრო მოსცილდება გუგას საბური,  
მაშინ სამყარო მის თვალებში გადახატება,  
დაუვლის კუნთებს, მდუმარების ბანგით დაყურსულს  
და გულისგულში მიინალებს.

გერმანულიდან თარგმანი რუსუდან ლვინეფაძემ

გალაში გამომწყვდეული ავაზას დამორგუნველი ფაქტი აქ ლექსის შექმნის გარეგან ბიძგად ქცეულა. აღიქმება დაძაბული ემოციური ველი. ვგრძნობთ, რომ სამყაროსგან მოწყვეტილი ნადირის ტკივილის გრძობა პოეტის წარმოსახვის ნაყოფი კი არა, ნამდვილად განცდილი მწუხარებაა. ცხოველის რბილი, პლასტიკური მოძრაობების მიხედვით ვხედავთ, თუ როგორ ღრმავდება ავტორი ცხოველის სულის ფენებში. ავაზას სულიერი ლანდშაფტით განპირობებული მძაფრი ემოციური ველი არ ტოვებს პოეტურ ზონას და ლექსს ესთეტიკურად აღსაქმელს ხდის. მეტყველება არ არის დაძაბული, არ იკითხება ყალბი განწყობა და ცარიელი ფრაზები. დამკვირვებლის პოზიციიდან დანახული ცხოველის სულის მოძრაობები და დისტანციის ფაქტი გრძობა მაინც ამჟღავნებენ ავტორის მაღალპოეტურ მგრძობელობის ხარისხს.

რაინერ მარია რილკე

## ა ა ო ლ ო ნ ი ს ა რ ა ა უ ლ ი ტ ო რ ს ი

მისი უზადოდ ლამაზი თავი ჩვენ არ გვენახა,  
სადაც მნიფობდნენ უჩვეულო თვალის გუგები.  
მაგრამ ტორსი კი მოგიზიგებს მოჰგავს კელაპტარს,  
რომელშიც მზერა, თითქოს, უკან ჩანაბრუნები

ღვივის და ბრწყინავს. თორემ მშვილდით მოზიდული მისი მკერდი თვალს არ მოგჭრიდა, და ნელი ბრუნე თეძოების ვერ შეაღწევდა როგორც ღიმილი, იმ ნიაღში ნასათუთევი მშვენიერების.

და ეგდებოდა ქვა უსახური და უუამური,  
მიტოვებული ანაბარა დამრეცი მხრების,  
არ იქნებოდა ნადირის ბენვის ციაგის მჩენი.

მის ყოველ კიდეს ვარსკვლავით არ მოსწყებოდა  
თვალი, ყოველი ნერტილიდან რომ შემოგცქერის,  
რომელიც გიხმობს: უნდა შეცვალო ცხოვრება შენი.  
თარგმანი რუსუდან ლვინეფაძემ

ეპიფანიური ხასიათის ეს ლექსი იმ შორეულ წარსულს აცოცხლებს, როდესაც ღმერთებს იმაზე ბევრად მეტი ფუნქცია გააჩნდათ, ვიდრე კაცობრიობას მათი გამოყენება დასჭირდებოდა. აპოლონსაც მრავალსახოვანი ღმერთობა მიენერება, თუმცა ამ ლექსში რილკე უფრო მის მზისა და სინათლის ღმერთობას გამოჰყოფს. ზედმეტი სახელიც ამის მაუწყებელი აქვს – ფობოსი (შუქფენილი, წმინდა). ეს ყველაფერი ან იყო, ან არა, მთავარი ის არის, რომ ლექსში გამოყენებული სინათლის მეტაფორები დამაჯერებლად აღწერენ მის სახელის უკვდავებას – მოგიზიგებ კელაპტარი, მბრწყინავი მზერა. რომ არა ხელოვნების ღმერთის თვალი, რომელიღვით მოზიდული მისი მკერდი თვალს არ მოგჭრიდა“ და „ქვა...არ იქნებოდა ნადირის ბენვის ციაგის მჩენი“. სწორედ სინათლის სხივი აშუქებს უთავოდ წარმოსახული ხელოვნების ნიმუშის გარკვეულ ნაწილებს. ლექსის დამასრულებელი ფრაზის იმპერატიული მიმართვა – „უნდა შეცვალო ცხოვრება შენი“, ზოგათვის უცნაურ მოულოდნელობად რომ აღიქმება, სულაც არ არის უადგილო; მიწოდება იმას გულისხმობს, რომ საკუთარი ხედვის სხვათა გამოცდილებასთან შეჯერება იძლევა იმ გამამდიდრებელ და გამაკეთილშობილებელ ცოდნას, რისი შესაძლებლობაც რილკეს როდენის სახელოსნოში და პარიზის სახელოვნებო სალონებში ჰქონდა; ეს იყო გარდატეხა, რომლის საფუძველზეც რილკემ შემოქმედებითი ცხოვრების საწყის ეტაპზე ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ მის მიმართ გამოთქმული გამკილავი ბრალდება თვითმიზნური მანერულობის თაობაზე ადრევე გააბათილა.

ნანა ყამბარაშვილი

## ფ ო თ ო ლ ი

ფოთოლში მოხაზული ბუნება –  
სვლა მიწიდან ტოტის სიღრმემდე,  
ნაყოფის ალოკვა, შეილულის განცდა,  
მზესთან იდუმალი გასაუბრება;  
ტორტმანი, სიამის შეგრძნებით თრობა  
და შემოდგომა, როცა ტანისა და  
სივრცის დაკარგვა უნდა იტიროს.  
ანდა მინაზე უხვად დაყრდნობა,  
ვილაცას ხალიჩის გემო დაუტოვო;  
სულაც კედელზე მიკრულმა, ზამთარს  
ნარინჯის ფერებთან შეჩვეულთა  
საკანი წარუდგინო და იცინო, რომ  
წარსული უკვე მოსასვლელად ემზადება...  
კვირტის არსში შენი გეომეტრიული სახე  
უკვე ძვეს და დედაბუნება  
სიმკაცრის თეთრ სუდარას  
რიტმის დაუკარგავად  
არსებობის სკივრში კეტავს, რათა  
ფერადი თავშალი გადაფაროს მინას  
და ფოთლის იდუმალ ხმაურში დაინახოს,  
რა ლამაზია ხელახლა მოსვლა.

პოეტური კრებული „ვარდისფერი ნუთი“, 2008, გვ.74

ნანა ყამბარაშვილის (1956-2012) წარმოდგენილი ლექსი გარკვევით მიანიშნებს ავტორის ორგანულ სიახლოვეზე ბუნებასთან. დეტალზე გამახვილებული ყურადღება შემოქმედს ბევრად ეხმარება მისთვის საინტერესო საგანთა ბუნების შეცნობაში. ფოთოლი, მცენარეული სამყაროს ეს მცირედი ნაწილი, ყოვლისმომცველი თვისობრიობითა და გამოვლინების ფორმით რომ არის დახატული, ერთიანი ყოფიერების წრებრუნვაშია დანახული. მუდმივ განახლებას დაქვემდებარებული, ცოცხალი თუ მჭკნარი სახით არსებული ფოთლის მაგალითზე ვხედავთ, თუ როგორ ცხოვრობს საგანი საკუთარ ნიაღში. აქ ყოველივე ერთიანად აღიქმება – ხის შრიალი და ყვავილის სურნელი, ნაყოფის სიმნიფე და მცენარეული სამყაროს მიერ მოგვრილი სიამით ტკობა.

მკაცრი კომპოზიციითა და მჭიდრო სიუჟეტით შეკრული ეს ლექსი, სადა ლექსიკითა და უშუალოდ რომ გვესაუბრება, შეგვახსენებს, თუ როგორ არის გამჯდარი ჩვენს მეტყველებაში სწორედ ბუნებასთან და ადამიანის არსებობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები – ზრდა, ჭკნობა, წყევლა, ფესვის გადგმა, ნაყოფიერება, გენეალოგიური ხე, ყლორტი როგორც შთამომავალი, ნაშიერი და ა. შ. უფალმა თავის მიერ დარგულ ბაღში აღმოაცენა „ყოველი ხე მუენიერი ხილვად და კეთილი საჭმელად...“ (დაბადება 2,9), არა ოდენ სარგოდ და სარჩოდ ადამიანისა, არამედ საზრუნავადაც, რამაც ის ასე დააკვირა ბუნებასთან.

P.S. გულწრფელ მადლობას ვუძღვნი ყველა მთარგმნელს, რომელთა ნაღვანსაც წერილებში ვიყენებ.



► ბაზრქმეზა. დსაწყისი "ლს. №3,4,5,6

ვეზარ კვიტიანი

ვერ მოიხელება

12.12.2012. დღე არ გავა, საცოდავ მა-
მიდაჩემზე, ჩემს გამზრდელ და ბოლომდე
გადაყოლილ ანეტაზე რომ არ ვფიქრობდე...

უკანასკნელად ლანჩხუთში, ვკონებ, 1994
წლის ზაფხულში ჩავაკითხე. აფხაზეთი ერთი
წლის მიტაცებული იყო, რასაც წამდელი ქარ-
თველი ვერასოდეს შეურიგდება...

ჩვენი ნაბლის ოდა ფიცარ-ფიცარ დაშ-
ლილი და განადგურებულია; წინაპრების
(ბები, ბაბუა) და ახლობლების სურათები
- გადაყრილი (საფლავში ჩაატანეს მამიდა-
ჩემს იმ გლოვის დღეს)...

მხატვრის სახელოსნოში,
ზურაბ ნიჟარაძესთან

06.12.2012. ორი დღის წინ დაბადების
ოთხმოცდამეოთხე წელი მივულოცე ზურაბ
ნიჟარაძეს. ჩვენდა გასახარად, მხნედ არის
და ძველებურ ნაყოფიერებას იჩენს...

სმას შევეყვით, მაგრამ ზურაბმა დაგვგმა,
რომ მეორე დღისთვის გოჭს შეაწვევინებდა
და უფრო კარგ მაგიდას გაშლიდნენ...

ქეთის, უზომოდ კეთილ, ქართული ტრა-
დიციების ერთგულ მშვენიერ პოეტს დაეუ-
რეკე და 5 საათისთვის მივედი. სუფრა
გახალისდა, ბევრი რამ ითქვა. უალრესად
მიმზიდველი იყო ზურაბის მონოლოგები...

თომას მანის შემოქმედების მწვერვალად
მიაჩნია ულრემის და ურთულესი ტრაგიკული
ფლერადობის რომანი „დოქტორი ფაუსტუ-
სი.“ გაიხსენა მთავარი გმირის, კომპოზიტორ
ადრიან ლევერკოუნის მამა, ბუნებისმეტყველი
და მისი ერთი უცნაური ექსპერიმენტი...

მთავარი განცდა და მითხრა, ძირს
ელგუჯა თავის გვერდითა ოთახში იდგა
კედელთან და გარშემო სამძიმარზე მისული
კაცები ეხვია. გამავეებული, დათრგუნული
და ზომამზე მეტად გამხდარი მეჩვენა...

ნიგნილან - „ჩქანითელის გზაზე“

აბაზანაში; ერთი მხარე ჩრდილში იყო, მეორე
კი - მზით განათებული. ჩრდილიან ნაწილ-
ში წარმოქმნილი პატარ-პატარა სხეულები,
მოხაზულობით ხეებს რომ წაგავდნენ და
მიუხედავად ამისა, ცოცხლები არ იყვნენ...

ზურაბს გამოუტყდი, რომ ეს ადგილი რო-
მანისა არ მასსოვდა. მისაყვედურა - იმიტომ არ
გახსოვს, წიგნს დაკვირვებით არ კითხულობო.
მერე ამავე რომანიდან ახსენა პეპელა, როგორც
მეტამორფოზათა ჯაჭვის ყველაზე მეტყველი
მეტაფორა. განსაცვიფრებელია, რომ კვერ-
ცხიდან გამოჩეკილი მატლი, ხის ფოთლებზე
მცოცავი მუხლუხა ჯერ პარკში გამოიკეტება...

ბევრს და, რამდენადმე წინააღმდეგობრი-
ვად ლაპარაკობს ზურაბ ნიჟარაძე ებრაელთა
ფენომენზე, მათ უზარმაზარ წელიწად მსო-
ფლიო ხელოვნებასა და მეცნიერებაში. მისი
ნაუბარი უალრესად მწყობრი და გონებაამხ-
ვილურია. ვინმეს რომ ჩაენერა, დიდებული
წიგნი გამოვიდოდა. გაიხსენათ სოლომონ
ვოლკოვის თუნდაც ის წიგნები, ბალანჩინთან
და ბროდსკისთან საუბრების შემდეგ რომ
გამოსცა. ჩვენ, სამწუხაროდ, არა გვყავს
ასეთი ჭკვიანი ადამიანები.

რად არ ხდება

26.11.2013. გული დამწყვიტა ელგუჯა
ბერძენიშვილის ცოლის ნატა ჯანელიძის
გარდაცვალებამ. თურმე მთელი წელიწადი
ხრავდა კიბო და შეჭამა ღმერთივით ქალი.
კეთილი იყო, უპატივცემულივით არ გამოგიშ-
ვებდა. ერთხელ თბილი ქურთუკი მარუქა,
მოკლე, ქრელი, ლამაზი, ზამთარში ჩაიც-
ვიო. კარგა ხანია, მესამე წელიწადი ხდება,
მათთან აღარ ვყოფილვარ. ელგუჯა რაღაც
სისულელეზე დამემდურა თუ დამამდურეს
(ეტყობა, რომელიღაც ენაჭარტალა დედაკაც-
მა ტვინი გადავბრუნა). ცოლის პირთი შე-
მოძივალა, ნულარ მოხვალო. ეს იმდენად
მოულოდნელი იყო, გაოგნებული დავრჩი.
მისდამი მიძღვნილ, ინიციალებიან ლექსში
ნახევრად ირონიულად, ხუმრობის კილოთი
მეწერა: „იცდი, როდის ჩამოვიღის საიქიოს
ელჩი.“ ეს პირდაპირი აზრით გავგო, ეთ-
ქვა - მაგას ჩემი სიკვდილი ნდობებია. ის
საჩოთროსი, უსიამოვნების გამომწვევი ად-
გილი მყისიერად გადავაკეთე („გამოჩენას
ვერ გაბედავს საიქიოს ელჩი...“), მაგრამ ამან
წამხდარ საქმეს ვერ უშველა. ნატას ვუთხარი,
რომ მის მოთხოვნას შევასრულებდი. ჩემთვის
ვთქვი, ოღონდ ეს ოქროკაცი კარგად, ჯან-
მრთელად იყოს და მაგათი სახლისკენ აღარ
გაიხივებოდა-მეთქი.

წიგნების ბუმბულის ერთ-ერთი უმწვერველი
შეტყვისას (კენჭები ჰქონდა დაგროვილი და
ოპერაციაზე არასგზით არ თანხმდებოდა),
გამწარებულმა ელგუჯამ, მახსოვს, დაიჩილა:
რას მანვალებს ამდენს, ბარემ წამოიყვანოს
იმ სიკვდილმა და მოითავოს თავისი საქმე.

პანაშვიდზე ბაჩანა ბრეგვაძესთან ერ-
თად წავედი. შემზარა შავად მოპირადე თვე-
დახურულმა ჭურჭელმა, რომელსაც ზემოდან
მინის სარკველი ჰქონდა დატანებული. მთლად
გაცრეცილ მიცვალებულს სანთლის ფერი ედო.
მაინც გავიფიქრე, რომ დაიხუთებოდა ასე
დახუფული, ვითომდა სუნთქვა შეეძლო. ასე-
თი უცნაური განცდა სხვა დროსაც გამჩენია.

ელგუჯა თავის გვერდითა ოთახში იდგა
კედელთან და გარშემო სამძიმარზე მისული
კაცები ეხვია. გამავეებული, დათრგუნული
და ზომამზე მეტად გამხდარი მეჩვენა. გადა-
ვხვებით, ვანუგეშეთ და მალევე გამოვედით,
ბაჩანა ვერ იყო კარგად და მითხრა, ძირს

ჩავიდეთო. თითქმის სახლამდე მივაცილე.
მერე მოვტრიალდი და ბაზალეთის ქუჩაზე
პაოლა ურუშაძესთან ავედი. შეთანხმებული
ვიყავი, მენახა. საუკეთესო პოეტი და ასეთივე
კეთილშობილი ადამიანია. დედა რუსი ჰყავდა
და ლექსებს რუსულად წერს, სულისკვეთება
ქართული შერჩა. ბევრ რუს პოეტს ჯობია,
თბილისი თავს ურჩევნია. მის პოეზიაზე სხვა
დროს ვიტყვი.

ნატა ჯანელიძის გასვენებაზე ხალხი
ბლომად მოვიდა. რამდენიმე მიკროავტობუსი
იყო შეკვეთილი. ბაჩანა, ზურაბ აბაშიძე და
მე ლურჯი ფერისაში ჩავჯექით და ვაკისკენ
გავემართეთ, სადაც საცურაო აუზთან ჩა-
სახვევია. იქ დიდი ხნის წინ ერთი საძაგელი
სვანისგან ვერაგულად მოკლული, ზაალ ყვა-
ნიას ბიჭი, ლაშა დასაფლავებული. იქედან
ამობრუნებულები რესტორან „ლორდში“ წა-
ვედით. ბაჩანა, ეტყობა დარჩა, ვერ შეძლო
წამოსვლა. რესტორანში ვერინი ალფაიდის
გვერდით მოვხვდი. ერთი საათის შემდეგ
გამოვემშვიდობე და მწერალთა სახლისკენ
გავეშურე, სადაც თამაზ ჩხენკელის თარგ-
მანთა წიგნის („თვალსაწიერი“) წარდგინებას
უნდა დავსწრებოდი.

მთავარი მაინც ის იყო, რაც სასაფლაოს
ჩასასვენებლად, სოლიკო ხაბეიშვილის მიხ-
ვეულ-მოხვეულ, დაღმართიან ქუჩაზე ვინი-
ლე. იმის დაივწყება ყოველ შემთხვევითაა.
კედლის გასწვრივ პატარ-პატარა, გარაჟის-
მაგვარი რკინის ყუთები გაემწკრივებინათ.
ერთთან, კარგამოღებულთან, ჭაღარანე-
როსანი, გაზინტლული კაცი ეყუდა, სამოცს
გადაცილებული. ბუნკერის მსგავს ყუთში მის
ზურგსუკან, ძველი ჟურნალ-გაზეთები ეყა-
რა. ალბათ ღამის გასათევად თუ იყენებდა
იმ ბუნავს ის საცოდავი შემოღობილი. გურული
ჩანდა, ბურღულზე შევატყვევ. სოფლიდან
მაინცდამაინც დიდი ხნის ჩამოსულს არ გავდა.
ხელში დიდი ფორმატის ორფურცლიანი ფერა-
დი გაზეთი ეჭრა - „გურია“ - და ხმამალა
კითხულობდა იქ დაბეჭდილ სამგლოვიარო
განცხადებებს. შთაბეჭდილი, ძლიერი ტემპრი
ჰქონდა. პირველად ვიფიქრე, ვიღაცას, იქვე
მყოფს უკითხავს-მეთქი, მაგრამ მალე დავრჩ-
მუნდი, სრულიად მარტო იყო და უნუგეშოდ
შექანჯალბებული, თუმცა ამას სრულებით არ
განიცდიდა და ირგვლივაც ვერავის ამჩნევდა.
გავმორდი და ოციოდე წუთით ქვემოთ ჩავინა-
ცვლე. როდესაც მოვტრიალდი, ფეხზე აღარ
იდგა, ქალაღების გროვანზე დამჯდარიყო და
ახლა სხვა, მომცრო გაზეთის კითხულობდა,
ისევე ჭირისუფალთა მწუხარებას იუნყებო-
და, ხმამალა გუგუნებდა. მეგონა, მთელი
საქართველოს გარდაცვალებას აცხადებდა
საქვეყნოდ. ცუდად გავხდი, შევწუხდი. გამ-
ზადებული ნოველა იყო, ვინც ყოველივეს და-
სურათხატებას შეძლებდა. ასეთებად შერეულ
ანდერსონი და ჯონ სტეინბეკი მეგულეობდა,
რუსებთან - ანდრეი პლატონოვი.

ჩვენი ნიკო ლორთქიფანიძეც გამოად-
ნობდა აქედან რაიმე ღირებულს, ძირამდე
ჩასწვდებოდა ამ „უგმირო ტრაგედიას.“ უბე-
დურ დღეზე გაჩენილის სოფელი (გურიაში),
მიტოვებული, დაცლილი, მასზე ნაკლებად
არ იქნებოდა გაპარტახებული. სადაც იყო
დაყუწყული, იქვე დავტოვე. მალდა ავინა-
ცვლე, რამდენიმე კაცთან ერთად, გაუჩინა-
რებულ ლურჯ ავტობუსს ველოდი, ნომერიც
მახსოვდა. ვინანე, რომ მოთხრობის დამწე-
რად არ გამოვედგებოდი. ასეთი შემთხვევა
სხვა დროსაც დამიკარგავს და, საბოლოოდ,
წუხილის მეტი არაფერი მრჩება. თან ისიც
წარმოვიდგინე, რომ კარზე მომდგარ ზამ-
თარს ის ზოგანო ვერ გადაიტანდა. ერთ
დილას გაფიჩხულს (გურულად რომ ვთქვა,
გაჩხიკინებულს) ნახავდნენ იმ გალიგვებულ,
გათელილგაზეთებთან ბუნკერში და იქვე, ხე-
ში დაფლავდნენ - უპოვარს, უჭირისუფლოს.
არავინ გამოაცხადებდა მის გარდაცვალებას.

მხატვარი და მუსიკის
ჰანგები

14.12.2013. ცოტა ვინმეს ნახვა მსია-
მოვინებს ისე, როგორც ზურაბ ნიჟარაძესი.
გულლია, გახსნილი ადამიანია და უსაზლ-
ვროდ კეთილი. საკმარისია გაიგოს, კაცს
მხარში ამოდგომა სჭირდება და მაშინვე მზად
არის დასახმარებლად. ერთ მხატვართან (გვა-
რი აღარ მაგონდება) ათასი ლარი გამატანა,

გავიგე, გასაჭირი დადგომა და შეეშველებო.
წარმოუდგენელია, ვინმესი რამე შემურდეს.
ლიტერატურასთან ერთად (მხატვრობაზე,
ქანდაკებასა და არქიტექტურაზე აღარაფერს
ვამბობ), მისი სტიქია მუსიკაა. მის ბაგეთაგან
ხშირად მსმენია მუსიკასთან დაკავშირებული
ტერმინები: ფუგა, სონატა, ტოკატა, არპეჯიო,
კაპრიჩო, სარაბანდა და მისთანანი. მოცარტის
გვერდით, ფანატიკურად უყვარს ბახი. მუშაო-
ბის დროს ხშირად ჩართული შავად აწონილი
მუსიკალური ცენტრი (ამაში სხვები ეხმარებიან,
თვითონ ტექნიკასთან მწყარადაა). მახსოვს
ზურაბის შთაგონებით განათებული მონოლო-
გები ბახის კონტრაპუნქტებზე, ლინეარულ
ხელოვნებაზე, მისი პოლიფონიურობის, გა-
მომსახველობით ფორმათა ამოუნურავობაზე,
გენის ცასთან სიახლოვეზე.

ზურაბი თავადაც ასეთია ფერწერაში. ვინ
აღწესხავს, რამდენი მანერა გამოუცვლია
(ძირითადას, საკუთარ ხელწერას, ცხადია,
ყოველთვის ინარჩუნებს) და კიდევ დაუ-
ცხრომლად ელტვის სიახლეთა მიგნებას. არ
მომხდარა, ახალ, მორიგ გამოფენას შემოქმე-
დებითად გადახალისებული, ადრინდელთაგან
თვალნათლვ განსხვავებული და მნიშვნელო-
ვანი ნამუშევრებით არ შეგებებოდას.

გული მწყდება, რომ ნაირ-ნაირ შეკვე-
თათა და თანდაყოლილი ხათრიანობის გამო
(ოჯახის, ახლობელთა საჭიროება, მათთვის
ხელის გამართვა) თავის უზარმაზარ ნიჭს
წუხმეტად ფლანგავს, თანაც საკმარად ასაკო-
ვანია. საბედნიეროდ, ძველი სპორტსმენის
კუნთები შერჩა და ძალ-ღონის დაშრეტას არ
უჩივის. ერთხელ, როცა საყვედური შევაპარე,
მხები აჩიქა და გაღიმებულმა მიპასუხა, რა
ვქნა, სხვანაირად ვერ მოვიქცევი, შეილებს
ვერ დავამშვევო.

ბახი, საქმეში ჩახედულებს, ტყუილად
როდი მაჩნებოდა მუსიკალურ კომპოზიციათა
არქიტექტორად, ვისაც ყველაფერი გათვლილი
აქვს და სიურპრიზს მხოლოდ მაშინ გთავაზო-
ბს, როცა საამისოდ ყველაფერი მომზადებუ-
ლია. გადამწყვეტი ნახტომის გასაკეთებლად
სწორედ ასეთი მზადყოფნა საჭირო.

შთაბეჭდილება მექმნება - ზურაბ ნიჟა-
რაძე ამასვე აკეთებს ფერეების თვალისმო-
მჭრელ სამყაროში; რომ გგონია - ზოგი რამ
დაულაგებელია, შედარებით შორი მანძილი-
დან დაკვირვების შემდეგ (მომავადობელია
მისი ხელის მსუბუქი, სწრაფი მოძრაობა)
მოლბერტთან მიდის და ყოველივეს თავს
უყრის, დაურღვეველ მთლიანობად აქცევს.
ამის მერე სურათს მხატვრის გვარის მონერის
გარდა აღარაფერი ჭირდება.


დამინახავს - ფუნჯთან ერთად, უცნაური,
პატარა, წვერნამახული ქაფჩა უჭირავს და
იმას გადაუსვამს ხოლმე ტილოზე დადებულ
საღებავს, ათხელებს, სასურველ გამონათე-
ბამდე დაჰყავს. ხშირად უყვარს ხოლმე გან-
მეორება. მთავარია, მასალის სრულყოფილად
დამორჩილება შეგეძლოსო. მიმხვდარი ვარ,
რისი თქმაც სურს. ეს მოთხოვნა ყველა ნამდ-
ვილმა შემოქმედმა უნდა გაისიგრძელოს;
მხატვარს, საამისოდ, ფერი აქვს მომარჯ-
ვებული, მწერალს - სიტყვა, მუსიკოსს -
ბეგერა, მოქანდაკეს - ქვა, ხე, მარბარილო,
ბრინჯაო, ხუროთმოძღვარს - ისევე ხე, ქვა,
შუმბა, რკინა, აგური და ა. შ.

ბახის მუსიკას მთელი არსებით ვარ მი-
დობილი, მიუხედავად იმისა, მისი სიღრმე-
ბისა და სიმალეების წვდომა ოდნავადაც
არ ძალმიძს. დღე არ გავა, „მეცოს“ არხიდან
რომ არ ვისმენდე; ხან კლავესინზე უკრა-
ვენ, უმრავლეს შემთხვევებში კი სხვადასხვა
ქვეყნის ორკესტრებში აგუგუნებენ, ხმებიც
შეუმცდარად აქვთ შეჩერებული. ამკარაა, რომ
ბევრი რამ მისი ღვთაებრივი ქმნილებებიდან
ეკლესიაში შესასრულებლად არის გამიზ-
ნული.

მუსიკათმცოდნეები უდიდეს მნიშვნე-
ლობას ანიჭებენ იმას, რომ ბახის მუსიკა
ტვინის მუშაობას აძლიერებს; ხელოვანთა-
თვის, მწერლებისა და ფილოსოფოსებისათვის
შთაგონების წყაროდ გვევლინება. იმასაც
საგანგებოდ აღნიშნავენ - მის გენიას ვერა-
ნაირი ჩარჩო ვერ ზღუდავს, საუკუნეებით
დადგენილ ტრადიციულ ფორმებშიც შეუძლია
გამოაჩინოს ყველაასაგან განსხვავებული, ტი-
ტანური ძალა. ეს ჩემს უფროს და საყვარელ
მეგობარს, უბადლო მხატვარს, ზურაბ ნიჟა-
რაძეს, საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი,
არავისგან ესწავლება.

► ბაზრქმეზა იქნება





შალვა 100 წელიწადის იანვარი-ლიანობა

ბატონი შალვა, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის ავტორი იყო, გახლდათ საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცავდეს მწერალი...

დაიბადა 1923 წლის 21 აპრილს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში. 1930 წელს ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და შალვა პირველ საშუალო სკოლაში შეიყვანეს.

1945 წლის 27 მარტს შალვა მჭედლიშვილი დააპატიმრეს „იდეოლოგიურად მიუღებელი“ ლექსების დანერის გამო. დახვრეტა გადასახლებით შეუცვალეს.

ბანაკში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ შინ დაბრუნების ნაცვლად, ყაზახეთში, ქალაქ ყარაგანდაში გადაასახლეს.

შემდეგ ამინტიამ მოუწია და საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. მკურნალ ექიმად მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა კურორტზე – შოკში, ბორჯომში, გაგრაში, წყალტუბოში, ახტალაში.

შალვა მჭედლიშვილი გარდაიცვალა 2007 წლის 5 მაისს.

მას გამოცემული ჰქონდა 10-ზე მეტი წიგნი, მათ შორის, პოეტური კრებულები, სამეცნიერო და პუბლიცისტური ნერილები.

შალვა მჭედლიშვილი - 100

პოეტის ბედი

შეიტკებ სიცრუე და მინის ჭაობი, დამპალი როსკიპის სულივით მყარალი, შეიტკებ სიმშვიდე და არარაობა, ამოო ნუხილით ნულარ ხარ მთვრალი,

როცა გეძებ

პოი, უფალო, რა შეეცოდე მე შენს წინაშე, რომ კაესანით, შავი სევდით მუდამ სულს მიცხებ, მთელი სიცოცხლე ვარ უღმობელ ღამის წყვდიადში,

სონეტი რანცებს

ო, დანტე, დანტე! ჯოჯოხეთიც ვერ გაგვაკვირვებს, ამ საუკუნის გზაბნეულ და დევნილ მგოსნებს, ნავლი რა არის სიყვარულის, ნავლიც კი მოსპეს,

ყოველი ლექსი უსაზარლეს სიკვდილს გვიქადის. ჯოჯოხეთია ჩვენი გულის ყოველი ფეთქვა, ნუგეშზე ფიქრი, ოცნებაც კი ჯოჯოხეთია.

ტიმბიზის გზებზე

ჩაღით დახურულ რუსეთს საღამო! სისხლიანი რომ ამოვბს ალაში! მე სტოლიპინის რონოდით მოვევლე ბნელი რუსეთი... ვრცელი რუსეთი, და ყველგან შეგზვდი ქედმოხრილ მონებს

ნიქარას ხსოვნა

(ქართული ზღაპარი) მზე ჰგავს ნიქარას ცალქაშაბოტეხილს, და მე მწყურა კვიცილი ხარის... ნიქარასავით შენთვის მოვეკვდები, მინავ და ცაო მშობელი მხარის!

კვლავ აღმობრწყინდება, ცად ისევ ამოვა მზე ბედნიერების, მზე თავისუფლების!

\*\*\*

არ მომიხრია მონურად ქედი, შავ ბედისწერას ვებრძოდი მედგრად! მტერს ედა განსაცდელს რომ მუდამ ვძლევდი, თურმე, უფალი სულ გვერდით მედგა!

\*\*\*

კავკასიონმა ბავშვობიდან ის შთამავონა, არვის წინაშე ქედს არ ვხრიდე ვითარცა მონა. მალულად მიხმობს მშობლიური ცა იდუმალი, რომ სხვა მგზავრი ვარ ამ ქვეყნისა



ნატალია ელიაშვილი

ჩემი აქამიანი

მითხარი, ერთხელ თუ გაგალიძე, ერთხელ, თუ მაინც დილა გაგიტობე, თუ, ერთხელ მაინც მზე ჩაგასუნთქე და ყვავილები ამოგასუნთქე.

ან ერთხელ მაინც, თუ გიფიქრია, ამ ამინდებთან აღარც ვრთულდები, შენთან ბუდე მაქვს, მოვდივარ სადაც, პოეზიაზე გესაუბრები.

იცი, ყოველ წამს შენი მიზეზით, სევდას კარისკენ როგორ ვაცილებ, მე გიბრუნდები მერე სიმშვიდით და ჩემს გაზაფხულს კვლავ გიყვავილებ.

ჰოდა, ამ მარტში მინდა უბრალოდ, სულში მზეები კიდეც ისუნთქო, და მინდა, დილით თვალს რომ გაახელ, ბედნიერება ამოისუნთქო.

რაც იყვნის ჩემი სოფელი

საფლავის თავზე დაჯიჯგნეს მინა, სისხლი ადინეს თვით ტაძრის გუმბათს,

მავთულხლართებით შემოსაზღვრეს და, თავი და ბოლო აღარსად მოჩანს. ტაძრიდან ისმის ღრიალი უფლის, სახეს იხოკავს ღვთისმშობლის ხატიც, რადგანაც ახლა ერთ კილომეტრში, საფლავთან ახლოს დგას მავთულხლართიც.



გულო კოხიაშვილი

ახალი სტილით ახალი წლის დადგო- მამდე სულ რამდენიმე საათი... მამე ჩენილი. საზეიმოდ გაჩახჩახებულ ალ- მამე... მამე... მამე...

- ბოლოს და ბოლოს, ჩაიგდებ თუ არა ენას? - ბრაზით ატრიალებს თავს მო- ბუტბუტე მლოცველი...

- სატანა კი არა, შენ არ მასვენებ, შენ! იეზუიტო! მწვალელებო! არაადამიანო!

- ნამდვილ ახალ წლამდე ორი კვირაა კიდევ დარჩენილი! მკაცრად აგრძელებს მლოცველი...

- დარეჯან, ძვირფასო, საყვარელო, ჩერდება და ხვეწნით ეუბნება თეო, აბა, ერთი კარგად დაფიქრდი...

- რაც მომაქციე და ჭკუშარიტ სარწმუ- ნოებას მაზიარე, მე ხორცეულზე მგელი- ვით დაგვიმის ამ ოცი წლის მანძილზე...

- კარგად იცი, რო მე შენთვის არც ფული მენანება და არც პური, მაგრამ ა-რა! გაძელი კიდევ ორი კვირაც და კი არ გასესხებ...

- ორ კვირას კიდევ ან გავატან, ან ვეღარ! როგორც შენ არ გიყვარს და არ შეგიძლია ხორცეულისა და თევზეულის ჭამა...

- ახია ჩემზე, ახი! მადლობის მაგიე- რია, ხომ? ღმერთს მადლობა უთხარი, მე რომ არა გყავდე, შიმშილით აქამდე სული გაგტყვებოდა, სული!

- უყურე შენ ერთი ამას! შემთხვევით თვალეზე ლიბრი ხომ არა გაქვს ქალო, გადაკრული?! გამძვრებოდა კი არა, გამ- ძვრალი მაქვს უკვე, გამძვრალი რა შენს გადაამკიდეს...

- ნუ მკრეხელობ, ნახავ შენი თვალით, როგორც შეარგებს საქართველოს სულ- გაყიდულ მტრებს სცდის ჯერ. სცდის, სანამდე მივა მაგათი უნამუსობა!

- ნუ მკრეხელობ, ნახავ შენი თვალით, როგორც შეარგებს საქართველოს სულ- გაყიდულ მტრებს სცდის ჯერ. სცდის, სანამდე მივა მაგათი უნამუსობა!

- მიდი ერთი, დროზე იმოვე, მიდი, ერ- თი სული მაქვს მეც უკვე, როდის მივალთ და როდის ვიტყვი აღსარებას! რას იმუქ- რები, ნეტა, რა უნდა თქვა მაინც ისეთი?

სამაგისოდ ფულს, ან რომელიმე მდიდარ ნათესავს აუჩუყდება გული, ან გაუქმებუ- ლის სანაცვლოდ ახალ სამსახურს ვიშო- ვი, ისევე მთავარ რედაქტორად თუ ვერა, მტვირთავად, მრეცხავად, შუშის მჩხავად...

„რასა ღმერთსა არა სწადდეს“



- ამდენი წელია გიჩივინებ და ბოლომ- დე მაინც ვერ გაგაქრისტიანე. მარხვაა, მარხვა! ჩვენთვის შობამდე არც დალევა შეიძლება და არც...

- დავიჯერო, ახლა ორი ჭიქა შამპა- ნური რომ დავლიო, ამისთვის ღმერთი დამსჯის?

- დიასაც, დავსჯის! აი, ხომ ხედავ, როგორ შეგიჩნდა ეშმაკი, რას ამოიჩემე გიჟივით ეს ოხერი შამპანური? ღმერთს რომ ნდომებოდა, უჩემოდაც გაშოვნი- ნებდა არ იყო საჭირო და იმიტომაც ვერ იმოვე ვერც ფული და ვერც შამპანური...

- კი ბატონო, კი ბატონო, ნუ მოინა- დინებს, ნუ მაშოვნიებს! ნუ დამიფასებს იმას, რომ მე, ყოფილ ლოთის ოცი წვეთი ღვინოც კი აღარ დამილევი უკვე ოცი წელიწადია და რომ კი ბატონო, კი ბატო- ნო, უდარავსო ჩემს ორ ბოთლ შამპანურს რაც შეიძლება კარგად, არიქა, არ დავლიო და ამით ქვეყანა არ დაიქცეს, სამაგიეროდ კი რაც შეიძლება მიუშვას და მიუშვას ნებაზე ეს იუდას მიმდევარი მთავრობა, გააყიდნოს რაც შეიძლება სარფიანად საქართველო თავის მიწა- წყლიან-სარწ- მუნოებთან-ტრადიციას-კულტურას-ზნე-ობიანად, შთანთქმევიანოს თავის უძირო ფაშეში და რაც მთავარია, შეარგოს, კარ- გად შეარგოს! კი, ბატონო, კი, ბატონო!

- ნუ მკრეხელობ, ნახავ შენი თვალით, როგორც შეარგებს საქართველოს სულ- გაყიდულ მტრებს სცდის ჯერ. სცდის, სანამდე მივა მაგათი უნამუსობა! გამო- ადგი ფეხი, სადაცაა, საღამოს ლოცვა და- ინყება. ნუ გავინყდება, აღსარებაც გვაქვს სათქმელი. ეს ოხერი, ტაქსებიც რომ არ ჩანან? მოდი, აქ გავჩერდეთ, იქნებ აქ უფრო მოვახერხოთ რაიმე მანქანის შოვნა.

- მიდი ერთი, დროზე იმოვე, მიდი, ერ- თი სული მაქვს მეც უკვე, როდის მივალთ და როდის ვიტყვი აღსარებას! რას იმუქ- რები, ნეტა, რა უნდა თქვა მაინც ისეთი?

- რას ვიტყვი და იმას ვიტყვი, რომ ჭირის დღესავით მძულხარ, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად შენ მარჩენ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც „პერესტროიკა“ დაიწყო, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც უმუშევარი დავრჩი. მარხვის დროს ხომ შენს კისერზე ვარ მთლად. ლობიოსაც შენ მადლევ, თივასაც. ფუჰ... რა ჰქვია, ბალახსაც, ფხალეულობისათვის, მწვა- ნილსაც, დანარჩენ ჩალა- ბულასაც და...

- უმადლო! რაც მთავარია, ის რა- ტომ გავინყდება, ვინც იყავი მანამ, სანამ მე დაგიმეგობრდებოდი? - ერთი ლოთი, ავარდნილი და გზას იქით გადავარდნი- ლი პოუტი! მოგენატრა, არა, ბოჰემური ცხოვრება და ლოთობა! შამპანურიც იმი- ტომ ამოიჩემე. ღმერთი შენ არ იცოდი და ხატი! ჭაობიდან ამოგათრიე, ხულიგანი, ჭაობიდან, გამოგასწორე და მადლობის მაგიერია?!

- და დაიდე კიდევაც, ქალბატონო პროფესორო, ჩემი ცოდვა. ამასაც ვიტყ- ვი აღსარების დროს, ვიდრე შენ გაგიც- ნობდი, ადამიანურად ღვინოსაც ვსვამდი, ადამიანურად ცოდვილიც ვიყავი, ადა- მიანურად პოეზიასაც ვქმნიდი და რაც მთავარია, მაშინ მიყვარდა ღმერთი, თუ მიყვარდა მე, შენი თვალსაზრისით ჭაობის ბაყაყუნას! აბა, ესაა ცხოვრება, მეხივით რომ მაშინვე ღმერთით? ეს არ შეჭამო, ის არ დალიო, ასე არ დანერო, ისე არ დანე- როო! რომელი სოროსისგან დაფინანსე- ბული მანიაკი და ვითომცდა მწერალი მე მნახე, რამე არაქრისტიანული, რამე ერის გადასაგვარებლად გამიზნული დაწვერე ან არაადამიანური?! ვაიმე, თუ სამთხე შენნაირი პროზაული დეგენერატები თაა სავსე, ღმერთმა დამიფაროს იქ მოხვედ- რისაგან! ამას თუ ისევე ჩემი მშობლიური ჭაობის თანამეინახებეთი არ მერჩიოს ჯოჯოხეთში ყოყინი და...

- ღმერთმა გაპატიოს, ღმერთმა გა- პატიოს, სულელო!.. გაბრაზებულ- გა- ციცილებული დარეჯანი განურჩევლად ყველა გამვლელ მანქანას უქნევს ხელს.

- ღმერთო, თუ გინდა, რომ ისევე ისე ალაღად მიყვარდე, მომაცილე ეს ჩემი სუ- ლიერი ნურბელა თავიდან, გამოუგზავნე მას ჩემს მაგიერ კაცი რამ - წვერგაბურ- ძენული ქურდი, კაცთმოძულე, თაღლითი და ფარისეველი, ვინმე გრიშა, მიშა, ანდა სულაც ყარამანი აღსაზრდელად და გა- მოსასწორებლად და დანახე, რომ მარტო წვრთნა ვერას იზამს, „თუ ბუნებამც არ უშველა!“, თუმცა, თუ იმ სატანის მოცი- ქულ ფროიდს, ზიგმუნდს, დეიუჯერებთ, გამოსასწორებელის წვერ-ულვაშმა ამ ჯერ

კიდევ უმანკო გამომსწორებლის უწვერ- -ულვაშო სხეულში შეიძლება იმისთანა ჯადოქრული ქარბორბალა დაატრიალოს, საბრალოს თავიც დაავინყდეს, დაც, ძმაც, მეგობარიც, სამშობლოც და რაც მთავა- რია, შენც, ღმერთო! ოჰო ჰო, რა სანახავი იქნები, დაო დარეჯან, ამ სიბერეში ატ- როკებული?! იმ ჯადოსნურ წვერს იქით ვეღარც რომ გამოუსწორებელ ქურდს დაინახავ, ვეღარც რომ კაცთმოძულეს, ვეღარც თაღლითს და ვეღარც ფარისე- ველ ჭაობის ბინადარს.

- ირბენ მის ორგველი ფინიასავით ენა- გადმოგდებული და გახარებული, ალბათ, აჭმევ, ასმევ, ცივ ნიავს არ მიაკარებ და შენი ამბიციები რომ ვიცი, იმ წერა - კითხვის მცირემცოდნეს გააპროფესო- რებ კიდევაც, ნახავ შენ, ეს ყველაფერი ასე თუ არ მოხდება და ვაი, დედა, ცოტა მაკლია, არ ავტირდე, ისე მეცოდები!

- და რეჯანი სწრაფად გარბის გაცეცხ- ლებული ალბს „მოსკვირის“ წინა კარს. თეოც გაცეცხლებული ალბს მანქანის უკანა კარს.

სიონთან, თუ შეიძლება! ხაზგასმული თავაზიანობით ამბობს დარეჯანი და პალ- ტოს კალთებს ისწორებს, - უუჰ, როგორ ცივა, როგორ თოვს!

- სიონთან არა და მამაჩემის მამასთან კი ნაგიყვან ახლა მე შენ! - ღრიალებს მოულოდნელად დარეჯანისკენ შემოტრი- ალებული კაცი. სახე გაფიქვინებული აქვს ღვინისგან, შუბლზე აყრილ დაეღმებულ თვალებს უბრალებს ქალს და მუქარას ცხრასართულიან გინებას აყოლებს ზედ.

- ღმერთო, გვიშველე! ღმერთო, გვიშ- ველე! გაცოფებულ კაცს საცრისხელა თვალებით შეჰყურებს განცვიფრებული დარეჯანი, ხომ არ გაგიჟდი? კი მაგრამ, ჩვენ არ გაგვიჩერეთ?!

- შენი დარდი მქონდა სწორედ, წუნ- კალო! სიონთან! სიონს გიჩვენებ მე შენ, შენი!.. კაცი ღმუილით წყვეტს მანქანას ადგილიდან, საჭეს ატრიალებს და სიონის საპირისპიროდ, მცხეთის მიმართულებით იღებს გეზს.

- გააჩერე! გააჩერე! - ყვირის დარე- ჯანი.

- გავაჩერო არა, ფეხები! ვინ გეხვეწე- ბოდა, შემოხტო, შენი დედა კი მე შენი... რა ცხოვრებაა მე ამის, მთავრობა გიჟი, ხალხი გიჟი... მანქანაც ვერ გაგიჩერებია შენს გემოზე, იმ წუთას უნდა შემოგისტეს შიგ ვინმე ბუზანკალივით! დაგპატიე? არა, ხო? შენი ნებით ჩაჯექი, არა? ხო- და, ეხლა ეგდე რა! - ვაიმე, გააჩერე! - ნივილ-კვიცილს უმატებს დარეჯანი, სად მიდიხარ! სად მიდიხარ!

- ხო გითხარი, მამაჩემის მამასთან- მეთქი. თავის მოკვლას ვაპირებ ქაბატო- ჯან, თავის მოკვლას და ეტყობა, ღმერთს შევეცოდე მარტოკა მიხედა გზაზე, შენი თავიც რომ დამიმგზავრა. მამაშ! მამაშ!

- რა გაცივებს, შე სულელო, სასაცი- ლოდ გვაქვს საქმე?! სიცილისგან დაოსე- ბული თეოსკენ ატრიალებს თავს სიმწრის- გან ლამის გონდაკარგული დარეჯანი, - ვერ ხედავ, რა დღეშიც ვართ? ვილუპებით!

- ვახ, ჯიგარ! უყურე შენ, მეორეც არ ყოფილხარ? შენ როდისღა შემოფრინდი?! პაჟალსტა, სამნი უფრო საკაიფოდ ვიმგ- ზავრებთ! ოოხ პაპაჯან, რას გაგახარებ!

„მოსკვირი“ მიჰქრის ზიგზაგებს ხა- ტავს, სლალომისტს შემურდება, უკვე დათოვლილ გზაზე ისეთი ხელოვნებით უფლის გარს რა შემხვედრ მანქანებს, რა წინ მიმავალთ.

დარეჯანი ტირის, ტირის, ცას სწვდება მისი ტირილი.

თეო იციან, იციან, კვდება სიცილით. გიჟები არიან მე ამათი! - გაზს უფ- რო აჭერს და პიპინ-პიპინით მიაქროლებს მანქანას კაცი.

- ვაიმე... დავილუპეთ... ახლა ეს მტკვარში გადავარდება, ამოგვიყვანენ ორი-სამი დღის შემდეგ იქიდან გარუმბე- ბულებს... - მუხლებზე ხელების ტყაპუ-



ნით მოთქვამს დარეჯანი, მთელი ქალაქი ჩვენზე იჭორავებს, ეტყობა, იმ კაცის საყვარლები იყვნენ, თორემ იმ დროს იმასთან რა უნდოდათ... ვაიმე, კაცმა არ იცის, ვინაა ეს ლოთი, გათახსირებული... ვაიმე, გვიშველე, ღმერთოო!..

ფუჰ, შენი! თავს ატრიალებს დარეჯანისკენ ცხვირაბზუებული კაცი, შენნაირი საყვარლები მყავდა სწორედ, აი, სანამ ცოცხალი ვიყავი, თეოსკენაც მუშტრის თვალით იყურება, ან შენნაირი!

– ნინ იყურე ჯირკუტანა ალენ დელონო, ნინ! – არც თეო რჩება ვალში, – შენმა მზემ, მე ხომ ნულარ იტყვი, „რა ნუთიდან დაგინახე, იმ ნუთიდან შემეყვარდი“, აი.

– ვაიმე, კინაღამ დაგვეჯახა... ვაიმე, კინაღამ შევასკდით!.. გააჩერე, გეხვეწები, გააჩერე! მძღოლის გვერდით დაჩოქებას ლამობს ლამის შეშლილი დარეჯანი.

– დაეგდე, ქალო, შენს ადგილას, არ გადამიტეხო სიჩქარის რუჩკა, თორემ ცხვირ-პირს დაგინახავ პაპაჩემთან მისვლამდე, რას ბლავი, რომ ბლავი, ძალით მოგიტაცეთ, თუ?! როგორც მახსოვს, თქვენ თვითონ ამეკიდეთ, რას ჰქვია, გააჩერო!

– ამოიღე ხმა, თეო, რა გაცინებს, შენც მთვრალი ხარ, თუ გაგიჟდი, მოიფიქრე რამე, – თეოსკენ ატრიალებს თავს ტირილისგან თვალბრუნებული დარეჯანი, მოიფიქრე რამე!

– შენ რომ ჩემთვის ფული გესესხებიანა, მაღაზიაში შევსულიყავით, იმ მაღაზიაში ის ჩემი ნანინანატრი ორი ბოთლი შამპანური რომ შეგვეძინა ამასობაში ხომ გაივლიდა ეს შეშლილი სუბიექტი იმ საბედისწერო მონაკვეთს და...  
– ვაიმე! – ხმამაღლა ბლავილს უმატა დარეჯანმა, როცა რაღაც სასწაულით უზარმაზარმა საბარგომ ქარივით მიმოქროლა, უფრო სწორად, თოვლზე მიმოცურავ „მოსკვირის“ გვერდი უქცია და თვალბრუნებული კაცსაც ჰქვია თვალი შუქფარების სინათლეზე, – დანა, დანა მაინც ჩაარტყი, დანა, დანა არა გაქვს?!  
– შენ რომ პირველად ამომიყვანე ჭაობიდან, დანა მაშინ არ გამაგდებინე ხელიდან, ჯერ კიდევ მოყიყინეს? თანაც რა ლამაზი იყო, რა მოსევადებული. ახლა ხედვები, რატომ დამქონდა თან? დიდი ამ-



ბით რომ დამმოძღვრე „არა კაც ჰკლავ“, ის რალატომ ვერ გაითვალისწინე, „არაკაცს, არ ეკვლევიანო?“! ჰო, მართლა, რა სიმბოლურია და ის ჩემი თავდაცვის იარაღი გახსოვს, ვის აჩუქე? შენს ნასტუდენტარს, ყიფნად ვასიკოს, ახლა რომ ნაციონალი ბრძანდება! რად უნდოდა ნაციონალი თუ დემოკრატ ვასიკოს ის ჩემი დანა, ვარდის ეკლებით არ ღადრავს ყელს ქართველ ერს წარმატებით, თუ? ახია შენზე, მარტო მაგის აღზრდისთვისაც კი ალალია შენზე ეს კაციც და მისი მცხოვანი წინაპარიც. სულ აფორიზმებით რომ მეზაასებო, ისიც გაიხსენე ერთი – „ცემა გმართებს აღმზრდელისა, რა ყრმა ნახო ცუდად ზრდილიო!“ თუ გადაგიჯოკრათ ქართველ აღმზრდელს მელმა მოძღვარმა სოროსიკომ?

– ვაიმე! რა დროს ის სატანის მოციქული სოროსი და მისი აგენტებია, თბილისის გავცდებით უკვე სადაცაა, თბილისს – უღონოდ ხავის დარეჯანი, მოიფიქრე, რამე მოიფიქრე, გეხვეწები!

– აბა ახლა, შენ, ძმაო, ძვირფასო, საყვარელო, მგონი, გვეყოფა ეს საახალწლო შოუ და გააჩეროთ, ხომ?  
– მელაკუდასავით თვალბრუნებული შეწყურებს და თან მხარზე ალერსით უთათუნებს ხელს თეო მძღოლს, – ძმურად, გააჩერე, რა?!

– ნადი, შენი! მთქნარებით ბურტყუნებს კაცი, ხოში მაქვს და არ გააჩერებ, მოხდეს, რაც მოსახდენია, რაც ღმერთს უნდა, ის მოხდეს, შენი!..  
– უყურე ერთი ამას?! – უცებ ცოფდება თეო, ნუ იტყვი და თურმე, ხოში არა ჰქონია?! არა, მეტი გზა აღარაა, თავში რამე უნდა ჩავარტყა და გავთიშო. ფეხზე რა გაცვია დარეჯან, ხოშიანი რკინის წვრილქუსლიანი?  
– ა-რაა! – ღნავის დარეჯანი.  
– ჯანდაბა შენს თავს, როცა საჭირო არაა, მაშინ გაცვია ის სანამებელი იარაღი და როცა მართლა საჭიროა, მაინც და მაინც მაშინ არ გაცვია, ხომ? ჩანთაშიც არაფერი გაქვს?

– აბა ახლა, შენ, ძმაო, ძვირფასო, საყვარელო, მგონი, გვეყოფა ეს საახალწლო შოუ და გააჩეროთ, ხომ?

– მელაკუდასავით თვალბრუნებული შეწყურებს და თან მხარზე ალერსით უთათუნებს ხელს თეო მძღოლს, – ძმურად, გააჩერე, რა?!

– ნადი, შენი! მთქნარებით ბურტყუნებს კაცი, ხოში მაქვს და არ გააჩერებ, მოხდეს, რაც მოსახდენია, რაც ღმერთს უნდა, ის მოხდეს, შენი!..

– უყურე ერთი ამას?! – უცებ ცოფდება თეო, ნუ იტყვი და თურმე, ხოში არა ჰქონია?! არა, მეტი გზა აღარაა, თავში რამე უნდა ჩავარტყა და გავთიშო. ფეხზე რა გაცვია დარეჯან, ხოშიანი რკინის წვრილქუსლიანი?

– ა-რაა! – ღნავის დარეჯანი.  
– ჯანდაბა შენს თავს, როცა საჭირო არაა, მაშინ გაცვია ის სანამებელი იარაღი და როცა მართლა საჭიროა, მაინც და მაინც მაშინ არ გაცვია, ხომ? ჩანთაშიც არაფერი გაქვს?

– სახარება, ცხვირსახოცი და წარბების საქნელი!..

– გადასარევად ყოფილა ჩვენი საქმე, გადასარევად! მაგას რა ჯობია: სანამ ამ მგლის თავზე სახარების კითხვას მოვრჩები, მანამ შენ შეგიძლია თან მონანიების მოღვარევარე ცრემლი უმშრალო ცხვირსახოცი, თან ეგ ღორივით აჯაგრული წარბი უპუტო! ვაი, დედი!.. მოიცა, ამ შეჩვენებულს, დავიჯერო, მანქანაში არ მოეპოვება რამე მომაკვდინებელი იარაღი? ისე, რა გინდა ნახო ამ სიბნელეში... ყოჩაღ, ხულიგანყოფილო თეო! ვიპოვე რაღაც, აგერ, თქვენი სავარძლების უკანა ჯიბეებში არ ყოფილა ეს ოხერი?!.. აბა, ახლა კი დადგა კაცუნავ, შენი აღსასრული! ან გააჩერებ, ან ამ ნუთასვე დაგაკლავ ზედ მაგ საქვს! ე-ერთი! – ო-ორი!

თეოს ყინულწამდგარ ხმაზე კაცი მეყსეულად ატრიალებს კისერს, თავს ზემოთ შემართულ საგნებს წამიერადვე ირიდებს და ასევე მეყსეულად აჩერებს მანქანასაც.

ასაკისდამიუხედავად, დარეჯანი ჩიტვივით მიფრინავს მანქანის ღია კარიდან, უკანა კარსაც თვალის დახამხამებაში ალებს და ხელში მძიმესაგნებზაღუჯულ, გადარულ თეოს ფარატინა ქალაღვივით მიაფრიალებს გარეთ.

– არ მოკლა! არ მოკლა! აგერ, თუ არ ვცდები, პოლიციის საგუმბაგოც მოჩანს! გადავრჩით, მგონი, გადავრჩით! გიჟი ეს, გიჟი! კარებმოფრიალებულ მანქანას კაცი მართლა გიჟივით წყვეტს ადგილიდან და ღმუილით მიასრიალებს სიბნელეში.

– ვაი, დედა!.. ხელახლა იწყებს ტირილს გადატანილი განსაცდელისა თუ გადარჩენის სიხარულისაგან ღონემიხდილი დარეჯანი და ნატკენ მუხლს ისრესს, – საგუმბაგოც წავიდეთ, პოლიციელები გაგვიჩერებენ ტაქსს, ან რამე ავტობუსს გაგვაყოლებენ თბილისისაკენ. ვაი, როგორ ცივაა.. შენ რაღა მოგივიდა, როცა უნდა გმინებოდა, სიცილით კვდებოდი და ახლა დამუნჯდი?.. რას უყურებ თეო?.. თეო, ეს რა გიჭირავს ხელში?!

– შამპანური დღარეჯან... ოორი ბოთლი შამპანური!

თამაზ ბურჭულაძე

ვასლუშვილი ყოფილიშვილის გაცხადება

ერთი ადრეული პუბლიკაციით ატეხილი ფიქრები

შური ისროლეს ადრესატი ბებერი ლომის და ჭოტთა ბუდეს ბუმერანგად შუქი შენათდა! მგონია, მესმის, რად დასჭირდათ მარშვლა და ომი ლექსის მადანის გეოლოგთან და მეცენატთან...

შვიდ ბრუნვას გვეჯდეს გემოვნება განსჯად და დავად, პარადოქსია არც რამ ბოლო არც რამ მთავარი, ვკითხულობ, ვადრი, ვაღიარებ დაუფარავად.. სხვებთან ლომი სჯობს მიგნებები, ქარგა, თარგმანი...

მაგრამ ეს სხვაა და „მიგნება“ სხვა გამოითქვა, ვარიაცია ჭეშმარიტად შეუდარებელი, ქართველმა, თურმე, ხაიამის რომ ვიგრძნო რითმა, რუსულ თარგმანში უნდა ვძებნო მისი პნკარები! არ მიკვირს მაინც... მიჩვეული მაქვს თვალის, ყურიც.

აღმართში სვლა და დაღმა ფარცხვა ჩვენში უქიათ, ლომის ათინათს, იქნებ, შეგნის ქირქილიც შურიც, მარადთანმხლები მის დიდების რაღაც შუქია.

ჩვეების წმინდა წმინდა ბოსტანში

„რაიცა იყო, რაცაა და იქნება რაიცა, ჩაქსოვილია ერთი ჯივრიან კალმის მოსმამი!“ მუხრან მაჭავარიანი

ურითმო რითმის ლაბირინთში მივაგენ ვერას, ვერანაირად ვერ ვახერხებ ვერლიბრით წერას. არადა, მინდა, არც სარკაზმით და არც სატირით, კომპეტენციურ უმეცრებას ჩემსას დავსტირი. ამეტრიულის რომ მფენოდა ნათელი მეტრის, ერთ გადვენებას რომ მეჭირა ორიც და მეტიც, დამჭირდებოდა აღარ რქენა რითმებზე თავის, ფეხზე ჰკიდია, რადგან რითმა უნივერსალიზმს...

მაინცდამაინც მე რატო ვერ შევიგრძენ ხიბლი, ლოდი დამადეს, ნუთუ, სასმენ ყურზე ვერლიბრის? „მელნად იხმარა“, ვინ ბატის ფრთა, რა ფერით ჰგობა, გსურს? ა, ბატონო, პროზა და ლექსი, ან ლექსად – პროზა! შესაბრალისით ეს ევროპაც მიცქერს ღიმილით... მისგან მჭირს, რაც მჭირს, ტვინის ჭყლეტა, თავის ტკივილი და ვითხოვ შევლას... ყურის გდება თუ ვინ ინება, ისმინოს ესე აღსარება- მონანიება:

ერთმნიშვნელოვნად, როგორც ერთი ერთჯერ ერთს უდრის, ლოდის თუ კენჭის სროლა სხვისკენ ერთია მრუდი, მაგრამ არ მეთქვა, ვინს წვერზე მეკიდა ეშმა და დირექტივაც დუმილისკენ ციდან არ მესმა. ალქმა-ქარაგმის ქროლეთ ქარი თქვენ, სანაქებო, პოლიპომინავ, ურანიავ, მუზად ქნარებო.

ევტერპავ, ანუ შენ, ერატოვ, მგზნებო ქალებო, ხან დებო, ხანაც ალქაჯებო, „უცხოდ მარებო!“ და თუ რამ მჯერა, მხოლოდ თქვენი ნათელის მჯერა, მაგრამ, ალბათ, ვერც თქვენით შევძლო ვერლიბრით წერა... „რაიცა იყო, იქნება რაც და რაიც არის“, ანაქრონიზმად არ მივიღოთ დიდი მუხრანის... ღირიკა, რითმა, მეტაფორა, მეშვიდე ცაა... „რაიცა იყო, რაც იქნება და რაიცაა“

„რაიც იქნება რაიცაა და რაიც იყო“, ადამმა ევას: „მივდივართო...“ გართიმულიყო! რითმავდა ალბათ, ევაც, „რითმულს“ მისას რა წაშლის! ) ახალფუძეზე წამოვლო უჩუმრად ვაშლიც... „რაიც იქნება, რაიცაა და“... რად ვრბი შორეთს, ნოემ რომ ბრძანა, წამთვრალეზე, რითმა სწორედ! აუზდენელი ათი მცნება? რითმაა, მაინც, „რაიცა იყო, რაცაა და იქნება რაიც!“

დარჩა ვერლიბრის! პრელუდია, რითმის ქარაგმა, როგორც ღვინის წინ „ მოიარა სუფრა არაყმა“...

მეგვლომანის - ძახილი სთასწლოყოყობის შორეთიდან

„გადმოცემით, იმ ღამეს დაიბადა ალექსანდრე მაკედონელი... ისტორიკოსმა თეოპომპემ ჰ-ს სახელი შემოუნახა შემდგომ თაობებს“

ქსე

„მერონის ცეცხლზე იფიქრო კაცმა, ახალი გნავადეს მზე უვედრები...“

გალაკტიონი

ყოველდღიურად ჰელიოსი კვლავ ივლის ცაზე? ცბიერი მთვარეც, ნუთუ, ისევ შეიცვლის ფაზებს... ყალბი სიმშვიდით არსსენება სრულად მარბაზებს – ვერ ვეგუებო ამას! ვერც მათ მოვუსმენ, სოფისტ-სტოიკ-სკეპტიკებს, ყბედებს... მხარ-თეძოზე რომ პატრონტაჟად ირტყამენ ენებს! კვლავ ჩემებურად ვინ გამართავს, ვინ გააგრძელებს არდავინყების საგას?

სიცრუის სიბრძნეს, ჩემზე უკეთ, საბა ვერ ჰმოსავს... ჩემს ვინ მიაგნებს მოაზროვნის ყესტსა და პოზას, ამ ფასსა და პროფილს... ვერც როდენი და ვერც სპინოზა! ერაზმი, კაზანოვა... ჩემს შემდეგ ოთხი კვლავ იქნება ორს პლიუს ორი? სანერვიულო სულ არ მინდა, შეიქმნათ ფონი, გინდ არ მეგონოს, მაგრამ მაინც ამგვარად, მგონი, თქვენგან ხსენებით მოვალ!

და თუმცა ჩვენში, რადგან გვანყობს, დღისითაც ბნელა, მაგრამ ამტანიც ამას იტანს ქალაღვივ ძნელად... მცირეც და დიდც ეგოისტი რომ არის ყველა! თუ, ხამს ესეთის ართქმა? აქ ვწყვეტ მონოლოგს, არტემიდას სვეტებთან შევდექ, დიალექტიკა მიზნისა განმარტავს შედეგს, რომელიც სულ არ გამაკვირვებს, თუკი ჩემს შემდეგ ქვაზედ არ დარჩა აქ ქვა...

„პალადინები ერთ იმედის“ წყალს ვნაყავთ რამდენს... უნდა აღსრულდეს! მე დავფერვლავ, ის კი, ალადგენს... „ჩვენ, სივრცეებში თანაბარნი“ ვივლით ათასწლებს... მასთან შლეიფი ძალმიძს! ოლიმპო სრული რომ დამატყდეს, ელვა მეხეზად, არ თუ საქმენის, სახელის არ იყოს ხსენება, პოპულარობის გარანტირად მაინც მეხეზა ფიქრი უქრობი ლანძღვის...





ლელა ლაბაშიძე

მზვლის წინაწელი

უფალო, ცისა და მიწის გამრიგვე, მზის, მთვარის, ქარის, ზღვათა მეუფეო, ებანზე დამკვრელ ქალწულებთან მაგალობე... დემონებს შევატოვე ვნებების თაიგული, ბაზრის სავაჭროში გავაბნიე ფირუზის, ვერცხლის სამკაული, მურით, გუნდრუკით, ვარდის ზეთით, ველის შროშანებით შენკენ მოვიჩქარი... „ღვინო ანგელოსთა“ — ცრემლი სინანულის შენს სამოსს ვანვიმე, ნელსაცხებლით დაგილტე ტერფები, თმის ტევრით შეგიშრე, იესო ტბილად მხედო, შემინდე მონანულს, ცოდვით მკრთომარეს, რწმენით მესათნოე!..

ძველი რელიგიის

უცისფრეს ლამპარს, მწვანე სავარძელს, ანათებს ცეცხლის მიმქრალი შუქი. ჩამოიძინეს ოქროსფერმა ანგელოზებმა. ბალსა და ბილიკს ეფინება თოვლი ჩურჩულით... შენი მოსვლის გარდუფალობას მამცნობს ჭიშკარზე ეფენის წკრიალი, მქრქალი ციალით ანთებულ სახლში

ექებენ ჩემს მხრებს შენი ხელები, უტკბილეს სიტყვებს დაღვენთავს გრძნობის მწველი ალმური, შემეხებებიან შენი ტუჩები — შეუცნობელი ელდის მომგვრელი, ირხევა თოვლი, როგორც სიზმარი, ფარავს მიწას ლამაზი ცრემლით, თითქოს შემოკრეს განთიადის შესაგებებლად ქარებმა ზარი, ისე ძგერს გული. ვარ ისე წმინდა, როგორც თოვლზე დაღვრილი სხივი... მიმიხმობს ცისკენ სიყვარული იდუმალი ფრთების შეხებით, დგას გალობა უნაზესი თოვლის ვარდების...

ქრისტიანობა

ფერთა საუფლოში დამებედა, სიხარული, ცეცხლის ალივით მოკაშკაშე. ტკივილი — მოცეცილი ბალახივით ნალვლიანი. ლალი ჰანგი, სულის ბარბითის, უფლისგან ერთგულებით ნაკურთხის. მიყვარდი, ვარდს გვფენდი, სიტყვას განდობილი, გრძნობით გიმღეროდი, მაქცია სიყვარულმა ნექტრით ჯადოსნურით ქრისტიანთა ღვინისფერ ყვავილად. მშვენივით მოხიბლული, სურნელით დაბანგული, თრთოლით მეხლებიან, ალურსით მაბრუნებენ მთვარის ზარდახშიდან გამოქცეული ნისლები...

ცინაწყელოები

დედაშენი ვარ — ჩამომალვარა ნათელი მზემ, შენთვის ვქსოვ წელიწადის დროთა გვირგვინს. მამა ვარ შენი — სიზმრით მოალერსე, მეამბორა სხივებით მთვარე. და-ძმა ვართ — გამიღიმეს ვარსკვლავებმა, შენს ფიქრს ვდარაჯობთ. სატრფო ვარ შენი —

უერთგულესი, თქვა დედამინამ, ჩემი სიყვარულით ნათობს და ქრება შენი დღეები, უფლის ბალის ცისარტყელები...

ზაზა როსტომიძე

(ძმას)

ძმაო, მთიდან წამოსულ ნისლს გამსგავსე, ცის ნამს აპკურებ, ლოცავ, ეფერები ეზო-ყურეს... მე გალაღებული, სიზმარში თავს გველები, ხან წინდას გიქსოვ, ხან ხავინს გიმზადებ, ან სოფლის ამბავს გიყვები... ზიხარ ფიქრიანი, შენი თვალებიდან დაღვრილი სიყვარული, სიტყვით თქმულზე უფრო მეტყველია. გათენებისას გაიცრიცება შენი ხატება, ნახვალ, ცის საუფლოს დაუბრუნდები, ნალვლიანი. ნისლის ნაფეხურზე იშლება ნისლისფერი ყვავილი, ძონისფრად აწვიმს ჩემი გული — განშორების ტკივილით ცრემლად დაწურული...

მოგონება

ვიგონებ ძველ სახლს, ცისფერი სარკმლით, მწიფე ვაშლის სურნელ დაკმეულს... კედლის ფარდაზე პიტნის, ძახველის გვირილის კონებს. სახლის ქალები ყვავილებისგან ამზადებდნენ სევედის წამალს, ტკივილის სალბუნს. ინვა ხის ტახტზე ჭრელი კატა, ზურმუხტისფერი თვალები შუქით. მზის ჩასვლისას გალაკტიონის ლექსს მიკითხავდნენ, მჭრენებოდა, ბინდს ანათებდა ნათლის მთოვარე ვარდის ღიმილი... მას მერე ბევრი გავიდა წელი, ახლა იქ უკვე არავინ ცხოვრობს სახლი კი ჩუმი, სევდით მოცული, ადამიანთა გამოუცნობ ილბაზე ნალვლობს...



საბა მოსიაშვილი

\*\*\*

მოიმარჯვე ჯოხი, დადექი და გზებიდან გადარეკე სილამაზე, მათ აქ სიკვდილი ელით, სიმახინჯის ხელით! გადარეკე გზიდან ყველაფერი, ძროხები, ცხენები, ბატები, გადარეკე მოზვრები, ხიდის მეძავეთა კავალერია, გადარეკე ჯარის შენაერთები, გადარეკე დედები, მამები, შვილები, წინილები გადარეკე, გადარეკე ხეიბრები, გადარეკე მემონყალეები, გადარეკე ბინძური ხელისუფალნი, გადარეკე ძაძებში გახვეული მიცვალებულატაცებული ამაღა,

ქართა დინებები გადარეკე, ხმელი ფოთლები გადარეკე, ცრემლები გადარეკე, მოგონებები გადარეკე, სიტყვები გადარეკე, გადარეკე ქალები, ტურფა ქალები,

ყელშეღერებული ვაჟები გადარეკე, ეტლები გადარეკე, მეეტლებით გადარეკე, ყველაფერი გადარეკილი გადამალე, სიმახინჯე მოდის, მათ სულში ჩასასახლებლად, გადანვი გზა, არ მოუშვა ახლოს, მტვერს გაატანე ცეცხლის ენები, შიშს არ ეიმედები, სილამაზეს შეეწირე, ოდნავ შენც გალამაზდი!

\*\*\*

ნათელ დღეს, როცა ქვაფენილის ფილებში აირეკლები, გადი ქალაქის ცენტრში, მოიმარჯვე საჭრეთელი, შუბლზე ამოიტვიფრე შენი სახელი, დიდოსტატის კალიგრაფიით ამოიტვიფრე, ყურები დაიხშე, ორიოდ ღერ ბალახს ცეცხლი შეუნთე, ისმინე, ვინ თქვას შენი სახელი, შეაგროვე ქარით მოტანილი სიტყვები, ამოინერე ოქროს ფურცლებზე, ცეცხლს მიეც — არ ჩაქრეს, შენი სახელი მიეც, შენი თმა მიეც, შენი ფრჩხილი მიეც, შენი ენა მიეც, შენი კალიგრაფია მიეც, შენი ამოსუნთქვა მიეც, შენი გული მიეც, შენი სახელი ქვაზე ამოიტვიფრე და ისიც მიეც, მხოლოდ ეგ რჩები ცეცხლის ალიდან!

\*\*\*

არ დაიზარო, არ შეჩერდე, იპოვე უკვდავების მაძებარი,

მოისმინე მისი უსაშველო ტკივილი, შეაგონე, ნუ ეძებს უკვდავებას, გაფურჩქნო სიცოცხლეს ნულარ აკლებს დღეთა ფურცლებს, უკვდავების ელექსირის მოსამზადებელი რეცეპტი თვალწინ აუფრიალე, სიახლოვე აგრძნობინე, იმედი აუძგერე, ქალაღდი დახიე, ზედ კაუს გაკარი, ცეცხლი მოანთე, გაახსენე დღეთა სვლის სევედა, გამოუფხიზლებლობის ბურუსში ხედვა, იმედი გადაუნურე, სიცოცხლეს დაუბრუნე დაკარგული შვილი!

\*\*\*

მზის ამოსვლისას რა ხმა ჩაგესმის? რას გიქადავებს ახალი დღე? რას გპირდება განახლებული სუნთქვა, შეგრძნება რას გპირდება? რა ნატვრით ტოვებ სახლს, წინა დღით დავიწყებული სურვილების შემდეგ? რას მოაგროვებ, თან რომ ატარო, დრომ არ წაგართვას, შენს მერეც შენად დარჩეს? დაეშურე სიტყვას, სხვას ყველაფერს წარიტანს ბასრი პირის სრიალი, რასაც იტყვი, იმას ქარი წაიღებს, მოხეტიალედ აქცევს, და ვაითუ იპოვოს კერა, ცეცხლის პირას ჩაძინებულ ახალშობილს შეუძვრეს ყურში იქ დაივანოს, ამოუხსნელ ნეტარებად იქცეს, ან ცეცხლის ენას წაეთამამოს და სამუდამოდ გაქრეს!



ქათვანე ტომარაძე

თანამედროვე ქართული დრამატურგია, თეატრის კრიტიკოსის შეფასებით, სულ რაღაც ათ ავტორს იცნობს, რომლებიც აღნიშნულ ჟანრში მეტ-ნაკლები წარმატებით მუშაობენ. ქართველ დრამატურგთა ნუსხას, რომელთა პიესები დღეს საქართველოსა და უცხოეთის სცენებზე იდგმება, სასურველია, დიმიტრი უზნაძის სახელიც შევიტყუოთ. დასაძინა, რომ მწერლის პიესები, მათი მაღალი ლირებულების მიუხედავად, დღემდე ჩვენი ქვეყნის თეატრებში არაა იშვიათი. პიესების კრებულში „თეატრი“ დიმიტრი უზნაძის ნაწარმოებები მოთხრობისა და რომანების ავტორის მიერ დრამატურგიაში, ამ უაღრესად რთულ ლიტერატურულ ჟანრში თავის დამკვიდრების მცდელობა, მწერლობის გამოცდილების, საკუთარ შემოქმედებით ძალდებით რწმუნისა და ექსპერიმენტისკენ სწრაფის თვალსაჩინო გამოხატულებაა.

დიმიტრი უზნაძის მოთხრობები და რამდენიმე პიესა, ინგლისურ და რუსულ ენებზე ითარგმნა. თითოეული უცხოელად იმსახურებს მკითხველისა და რეჟისორების ყურადღებას. მწერალი ოსტატურად არგებს დრამატურგიულ სამოსს მხატვრულ გამოხატვისა თუ ლიტერატურული სუბკულტურის მეთოდით აკინძულ ისტორიებს და თანამედროვე ადამიანის ბუნებაში წვდომის, სამყაროში მისი ადგილისა და როლის განსაზღვრის, ხასიათების მხატვრული ხერხებით წარმოჩენის უნარით, ტექნიკრატული ეპოქის გულწრფელ მესაიდუმლედ გვევლინება. ჩვენი დროის პროვინციის არსის, მისი წინაგანი ბუნების საინტერესოდ განხილვისთვის, მწერალი სულიერების სამყაროში თამამად შეუძღვება მკითხველს. ნიგნძი წარმოდგენილი შვიდი პიესით, რომელთა ერთობლიობა საკრალურ დატვირთვას იძენს, დიმიტრი უზნაძის სერიოზულ განაცხადს აკეთებს დრამატურგიაში. უზნაძის ნიშანდობლივი მხატვრული ხერხებით, ზნეობრივ კრიტიკიუმებსა და მორალზე ჭარბი აქცენტების გარეშე, იგი უშუალოდ და დამაჯერებლად, ზოგჯერ მსუბუქი იუმორით, ხან კი საარკასტული მტრისებრი ალწერის ამბებს, რომლებიც მის გმირებს – არაორდინარულ, ხან თითქოს უბრალო და კარგად ნაცნობ, ხანაც ლამილის მომგვრელ პერსონაჟებს გადახედვით თავს. მწერალი ქმნის უჩვეულო, ზოგჯერ უცნაურ კოლიზებს, გვთავაზობს მოულოდნელ გადასვლებს, ძაბავს ატმოსფეროს, გვიქმნის ნაღვლიან განწყობას და გვიყვება ამბებს, რომლებიც დიდი რაკურსით წარმოაჩენს პოსტმოდერნიზმის ეპოქის ადამიანებს, გვიხატავს დესტრუქციისკენ მიდრეკილ პერსონაჟებს. მინიმალური გამოხატვისებითი საშუალებებით მწერალი შთამბეჭდავად ალწერს მის მიერ გამოგონილ თუ ციტირებულ გმირთა სულიერ თავგადასავალს და ტექსტს სიმბოლური ხატ-სახეებით ამდიდრებს.

სიუჟეტის შენიღბვის მეთოდს, როგორც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ საინტერესო მეთოდს, ასევე, პოსტმოდერნიზმისთვის ნიშანდობლივ ლიტერატურულ ხერხს, დიმიტრი უზნაძის ნარმატივით იყენებს მწერლობაში. მისი პერსონაჟები და ქალაქები, სადაც მწერალი გარკვეული მიზნით ასახლავს თავის გმირებს, საკმაო მანძილზე არის დაშორებული მისი სამშობლოსგან და ქალაქიდან, სადაც ის ცხოვრობს და მუშაობს. თუმცა პრობლემები,

# მეჩნოკრაბიული ეპოქის აღაპიანის გულწრფელი მესაიდუმლე



რომლებიც მწერლის მიერ გამოგონილ პერსონაჟებს აფორიაქებს და მოსვენებას უკარგავს, არც ჩვენთვის არის უცხო. არასტაბილურ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ გარემოში, მორალისგან დაცილულ საზოგადოებაში მცხოვრები დიმიტრი უზნაძის გმირები გლობალიზაციის ეპოქამ საოცრად დაახლოვა. ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ დროსა და მანძილის განსხვავებული აქტა შემოგვთავაზა, თუმცა „ღმერთის ხატად“ შექმნილ ადამიანს ადაპტაციის გასაოცარი უნარი აღმოაჩნდა, სწრაფად აითვისა სიახლეები და ინოვაციური მიგნებების თვალსაზრისით, დღითიდღე აღრმავებს და ამდიდრებს გამოცდილებას.

მწერალი ზედმიწევნით კარგად იცნობს ფსიქონალიტიკოსთა თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას. მას იოლად ამოაქვს ზედაპირზე ქვეცნობიერი დანაშრევები და საკუთარ დაკვირვებებს საინტერესო ფორმით უზიარებს მკითხველს. ინფორმაციის გახსნილობის, საზოგადოებრივი გამჭვირვალობის ეპოქაში, ყოველდღიურობასა თუ ექსტრემალურ ვითარებაში ადამიანთა მოქმედებისა და ქცევის ნორმები და მოტივაცია, აბსურდამდე მისული ქმედებები თუ ნინაალმდეგობათა დაძლევის ორიგინალური ფორმები, ცხოვრების საზრისის ძიება და ეგზისტენციური პრობლემების გადალახვის პარადოქსული გზა – ასეთია დიმიტრი უზნაძის მხატვრული-ფილოსოფიური აზროვნების ნახნაგები. მწერალი გვიჩვენებს ოდესღაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური ლირებულებების გაუბრალოებას, როდესაც სანაცვლოდ ილუზორულ სამყაროში მოხვედრილ, გზაბნეულ ადამიანს ვიღებთ. ყალბი ურთიერთობების, ტყუილისა და ფარისევლობის მოძალეზაზე, ადამიანების შემაკავშირებელ, ოდესღაც ძლიერ ინსტინქტებსა და მორალზე, პროვინციული რღვევის შემადრწუნებელ სურათებზე მწერალი გატაცებით მოგვითხრობს. უშუალო, გულწრფელ, სითბოთი და სიყვარულით გაჯერებულ ურთიერთობებს ახლოობებსა და ნაცნობ-მეგობრებს შორის, პრაგმატიზმი, ანგარება, ცივი გონება და ფულის პრიმატი ანაცვლებს. ამგვარი მეტამორფოზის მიზეზთა ძიებაში ირაკლი უზნაძის ვილი გაუცხოების თემაზე აკეთებს აქცენტს და შემოქმედებულ მომავალს პროგნოზირებს. პროვინციის თვითანალიზის, გარესამყაროსადმი დამოკიდებულების ფონზე კარგად ჩანს, რომ ავტორი იზიარებს საუკუნის წინათ ოსვალდ შპენგლერის თხზულებაში „ევროპის დასასრული“ გამოთქმულ შეხედულებებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 2000 წლიდან აღნიშნული წიგნი ზოგჯერ გამოიცემა სათაურით „დასავლური სამყაროს დასასრული“...

„ველების ცხოვრების“ მთავარი გმირისთვის, აპოლონიური ტიპის, პრაგმატული აზროვნებისკენ მიდრეკილი ადამიანისთვის ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება დილემად ქცეულა. იმდენად, რომ საკუთარი თავის მართვა მას დილემად ესახება. მივყვეთ ველების აზრთა ნუსხას: „თუ გსურს, თავად მართავდე საკუთარ თავს, უნდა არსებობდე, მაგრამ თუ არსებობ, უკვე სხვის მიერ ხარ მართული“. ფორმალური ლოგიკის ინსტრუმენტებით მანიპულირებისას პიესის გმირი უცნაური ახირებებით გატანჯული ფსიქიკის ადამიანისთვის ნიშანდობლივ, წინააღმდეგობრივ აზრებს ავითარებს. ეგზისტენციურ პრობლემებში ჩაღრმავებული შემოქმედი, მის მიერვე შეთხზულ თეზასა და ანტითეზას ჩაბლაუჭებული, მეტამორფოზის განიცდის და დროთა ვითარებაში ფსიქოლოგიურ ინვალიდად ყალიბდება. მკითხველი შემოფოთებული ადევნებს თვალს ველების ცხოვრებას, მის ყოფას, რაც თანდათან მიძიმდება, ხოლო მისი ქმედებები კეთილგონიერების საზღვრებს სცდება.

„ველების ცხოვრების“ პერსონაჟებისთვის ყოველივე, რაც ადამიანის თავს ხდება, მათ შორის დაბადების საიდუმლო, მწერლის მხატვრულ-ფილოსოფიურ ძიებათა ლოგიკურ ჯაჭვს კრავს. ჩვენ არ ვიცით, სად, როდის და რატომ ვიბადებით, ამის ცოდნა მხოლოდ უზნაძის პრეროგატივაა. მაგრამ ხომ ძალგვიძს ჩვენი აღსასრულის გადაწყვეტილება თავად მივიღოთ. მწერალი ალწერს საზოგადოებაში ადგილის ძიების სურვილით გულანთებული ადამიანის ზრდასა და პროვინციულ ფორმირებას: როცა დაბადებამდე მშობლების სხეულსა და დიალოგებში ცხოვრობდა, დაბადების შემდეგ შემოქმედ ადამიანად ყალიბდებოდა და ეგოში ჩაძირვისა და თვითანალიზის გზით, აკვიტებული აზრებით, სხეულებრივი გაქრობისკენ მიიღვროდა. თუ ველების მშობლების დიალოგებს ჩაუვკვირვებთ, ვნახავთ, რომ, მისტიკური გარდუვალობის პრინციპით, ყოველივე გმირის დაბადებამდე, მისი ბედის ფიცარზე ეწერა ანუ მის გენეტიკურ კოდში იყო ჩადებული, როგორც მოცემულობა.

შობის საიდუმლოზე, ჯერ კიდევ ველების დაბადებამდე, ორიგინალური აზრებს ავითარებენ მისი მშობლები – ჯინა და ალდო: „ადამიანი უნდა მოვალინოთ ქვეყანას და არც კი ვიცით, ვინ არის“, დასძენს ველების დედა და თავადვე ასკვნის, რომ არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გაჩნდება და ახლა გაჩნდება თუ შემდეგ, მთავარია, გიყვარდეს. პირმშოს დაბადებაზე ცოლ-ქმრის პრაგმატულ მოსაზრებათა სიჭრელეში, მწერალი ჯერ კიდევ ჩანასახში არსებული ბავშვის პროვინციულ თვისებებზე მიგვანიშნებს. მშობლების დიალოგში იკვეთება, რომ დაბადების ტრივიალურ აქტთან სულაც არა გვაქვს საქმე და რომ ახალგაზრდა წყვილს, ბავშვის გაჩენით, ჩვეულებრივი შობის ფაქტზე გაცილებით მეტის მოლოდინი აქვთ. მათი მიზანი ოჯახურ დისკუსიებსა და სხვადასხვა თემებზე საუბარში იჩენს თავს. ოჯახურ იდილიას, ქვეყნის წარსულზე ინტექტუალური სჯა-ბასი ხიზლსა და სიმტკიცეს მატებს. მერე რა, რომ ისტორიიდან მნიშვნელოვანი მომენტების გახსენება კროსგორდის შესავსებად სჭირდებათ. წარსული

ხომ ადუღაბებს ცოლქმრულ ურთიერთობას და ახალი ადამიანის, მომავლის კონტურებს მოხაზავს. პიესების პერსონაჟები, ძირითადად, ევროპის კონტინენტზე მცხოვრები ადამიანები, იტალიელები არიან. ისტორიები, უმთავრესად, ამ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ვითარდება. იტალიელები, როგორც სამხრეთული ერი, ტემპერამენტით, ხასიათის თვისებებით ძალზე ჩამოგვანან ქართველებს. მათი საერთო ლირებულებებიც დღემდე თითქოს ეჭვს არ იწვევდა, თუმცა ის, რაზეც პიესის ავტორი მოგვითხრობს, ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დროებითი სიმშვიდის ხანა, სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლა, ლირებულებების გადაფასება, ცხოვრების აბსურდულობის განცდა, დიმიტრი უზნაძის მწერლის პერსონაჟების სასიცოცხლო გარემოზე უშუალოდ აისახება. ცივი ომის პირობებში რკინის ფარდის მიღმა დარჩენილი, პოსტსაბჭოთა სივრცეში აღზრდილი ადამიანები ამ გზას შედარებით გვიან გაივლიან. სისტემურ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების დაძლევის პერიოდს მენტალური მდგომარეობა განსაზღვრავს, რაც მტკივნეულ, რთულად გადასალახ პრობლემად ესახება საზოგადოებას.

თვითანალიზის უნარით აღჭურვილ, ეგოში ჩაღრმავებულ ველების, ვისაც მწერალი გამორჩეული თვისებებით აჯილდოებს, შეგნებულად შორდება რეალობას და საკუთარი „მე-ს“ გადარჩენის მიზნით, ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებას გაუტრის. მიუხედავად ამისა, მისი პატივმოყვარეობა დიდხანს ვერ დაკმაყოფილდა. მისმა შემოქმედებამ დროულად ვერ მოიპოვა სათანადო აღიარება, ხოლო თავად მან – გახმაურებული სახელი. ე.ი. ბევრი ბრძოლა ჯერ კიდევ მოსაგები აქვს. მაგრამ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდს არსებობს. და აი, პიესის გმირი საკუთარი თავის კონსტრუირებით იწყებს ჩანაფიქრის განხორციელებას. იგი ბავშვის გარეგანზეც კი უარს ეუბნება მუშაობას, მინას, რადგან, როგორც თავად ამტკიცებს, ეს დიდი უპასუხისმგებლობა იქნებოდა მისი მხრიდან. იგი ვერ შექმნიდა ისეთ ადამიანს, როგორც მას ენდომებოდა, რომ მისი პირმშო ყოფილიყო... „სადღაც ეს შესაძლებელიც არის, მაგრამ ამის ალბათობა ისეთივეა, როგორც ზღვის ნაპირზე ქვიშის კონკრეტული მარცვლის პოვნა“, დასძენს მომავლის ძიებით გატაცებული ველები.

ველების მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზანი დაუსახავს – მან უნდა იპოვოს საკუთარი თავი და დიდი პოეტი გახდეს. ამას ეწირება ბუნებით ბოძებული თვისებები. ამასთან, მშობლების მიმართ მას უცნაური დამოკიდებულება უყალიბდება. კარგა ხნის უნახავ დედასთან და მამასთან პოეტს ისე სურს მისვლა, როგორც უცხო ადამიანებთან და თუ ამის შემდეგაც მიიღებს მათ, ესე იგი, ისინი მისი გახდებიან. ამასთან, ველები გრძობს, რამდენად არასწორია ეს ნაბიჯი, მაგრამ ასეა საჭირო. სხვაგვარი ხედვა, სხვა კარი მისთვის დასშულია.

ველების მსჯელობა ადამიანურ ურთიერთობებზე, წარსულისა და მშობლების შეფასებისას გამოთქმული აზრების ხუხულას, გმირი ხშირად აბსურდამდე მიყავს. ხოლო პოეტის გადაწყვეტილება, არ

მიიღოს საკვები, რადგან ჭეშმარიტი მწერლობა მხოლოდ ტანჯვაში იბადება, სულ ცოტა, ახირებული კაცის შინაგანი კონსტიტუციის გააზრებაში ეხმარება მკითხველს. ველების ათასგვარი ფიქრები ურევს გონებას. მის მიერ გაკეთებული განცხადებები დამაფიქრებელია სუიციდური შინაარსის გამო. მართალია ველების ტვინის ნაჟური გარშემოყოფთა განცვიფრებასა და შიშს იწვევს, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია და მის მდგომარეობას სასეხებით შეესაბამება.

დიმიტრი უზნაძის სიგიჟის ზღვარზე მისული კაცის შეხედულებათა კასკადს აანალიზებს და ეხმარება მკითხველს, მძაფრად შეიგრძნოს მისი შემოქმედებითი ბრძოლის მტკივნეული მომენტები. სხეულებრივი კვდომის, თუმცა დიად პროვინციის პარანასზე ადგილის დამკვიდრების ვნებით შეპყრობილი ველები მკითხველში თანაგრძობის იწვევს. შედეგად ვიღვთ სიკვდილის პირას მისულ ადამიანს, პოეტს, რომელიც ვერ ირგებს გამარჯვებულის დაფის გვირგვინს, რადგან ისეა დაუძლეველი, მისთვის აზრს კარგავს პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისკენ მიმართული მცირედილი ძალისხმევა. ადამიანი ფიზიკურად ნადგურდება, სამაგიეროდ, რჩება შემოქმედება. და ველების ფანებს როდი აინტერესებთ, რა ტანჯვის ფასად იშვა ლექსის თითოეული სტრიქონი. ეგოში ჩაღრმავებული ველები სულიერი და ფიზიკური ძალებსგან დაიცავდა და სამუდამოდ განგრძობდა ამქვეყნიურ ტანჯვას. მან შეგნებულად უარი თქვა სხეულებრივისა და სულიერის ერთობაზე, დაარღვია ღვთის ბოძებული ჰარმონიის პრინციპი და ამიტომ მის სულიერ სიმტკიცეს საფრთხე დაემუქრა. ერთი სიტყვით, ველები ფისკო განიცადა – საკუთარ თავში იმის მიზანდასახული, პათოლოგიური ძიება, ნეკროფილით დაგვირგვინდა.

მეოცე საუკუნის გამორჩეული ამერიკელი ფილოსოფოსი ერიკ ფრომი წიგნში – „ადამიანის სული“ ერთ საინტერესო ფაქტს იხსენებს: „ნეკროფილიის არსში გასარკვევად უკეთეს შესავალს ვერ ვინატრებდი, ვიდრე ეს ესპანელი ფილოსოფოსმა, უნამუნომ, 1936 წელს გააკეთა მას შემდეგ, რაც გენერალმა მილან ასტრემი, ქ. სალამანკაში, რომლის რექტორიც, ესპანეთის სამოქალაქო ომის დანაყების წინ უნამუნო იყო, სიტყვით გამოსვლა დაასრულა. სიტყვით გამოსვლის დროს ერთ-ერთმა მისმა მხარდამჭერმა, მილან ასტრემის საყვარელი ფრაზა წამოიყვია: „გაუმარჯოს სიკვდილს!“

როდესაც გენერალი სიტყვას მორჩა, უნამუნო ადგა და ასეთი რამ თქვა: „... სულ ახლახან მე მოვისმინე ნეკროფილური და უაზრო მოწოდება: „გაუმარჯოს სიკვდილს!“ და მე, ადამიანი, რომელმაც ცხოვრება პარადოქსების ფორმულირებას შეაღია, მე, როგორც სპეციალისტმა უნდა გითხრათ, რომ ჩემში სიძულვილის განცდას ბაძებს ეს არამიწერი პარადოქსი. გენერალი მილან ასტრემი ხეიბარია. მსურს, ეს ხმამალა განაცხადო. ის ომის ინვალიდია. ასეთი იყო სერვანტესიცი. სამწუხაროდ, ამჟამად ესპანეთში უამრავი ხეიბარია. და მალე კიდევ უფრო მეტი იქნება, თუ ღმერთი მისხლავდარ მოგვევლინა. ვწუხვარ, როდესაც ვფიქრობ, რომ გენერალ მილან ასტრემის ძალუძს ჩვენი მასობრივი ფსიქოლოგიის ფორმირება. ხეიბარი, რომელსაც არ ჰყოფის სერვანტესის ოდენი სულიერი ძალა, ჩვეულებრივ, საეჭვო გამოსავალს ირგვლივ ყველას დაინვალიდებათ ეძებს“...

►► ბაბრძილა იძნება





ჯუმბერ კოპალიანის ნაშრომი „დმანისის ნაქალაქარი“ დაბეჭდილია 2017 წელს გამომცემლობაში „ნიგნი+ერი“. გამოცემის რედაქტორია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი დავით მინდორაშვილი.

მონოგრაფია წარმოგვიდგება, როგორც ერთგვარი შემავალი ნაშრომი ქვემო ქართლისა და შუა საუკუნეების ნაქალაქარ დმანისის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ იგი ავტორის მიერ განხილული მრავალწლიანი და მრავალმხრივი სამეცნიერო კვლევის შედეგების ლოგიკური დაგვირგვინებაა.

ჯუმბერ კოპალიანის საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია „დმანისის ნაქალაქარი“, უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომია. ნიგნი თემატურად მრავალფეროვანი, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, ავტორის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგების ერთობლიობაა, რომელიც საქართველოს ისტორიისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი შუა საუკუნეების ურბანული ცენტრის – ქალაქ დმანისის სამეცნიერო შესწავლას ეძღვნება, გაშუქებულია რა მასში დმანისისა და ზოგადად ქვემო ქართლის მხარეში შუა საუკუნეების ეპოქაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები.

ნაშრომში შესწავლილია შუა საუკუნეების დმანისის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ურბანული ცენტრის, ფორმირების განმაპირობებელი ფაქტორები და ამ დიდებული ქალაქის შემდგომი ეტაპობრივი განვითარების მიზეზ-შედეგობრიობის საკითხები.

ღრმა ისტორიული წყაროთმცოდნეობითი ანალიზის, ლანდშაფტურ-ტოპოგრაფიული, საერო თუ სასულიერო დანიშნულების ნაგებობებზე ჩატარებული ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური კვლევების, ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური არტეფაქტების, მათ შორის ნუმიზმატიკური მონაცემების ერთობლიობით მიღებული კვლევების შედეგებითა და დასკვნებით წარმოდგენილი აქტუალური თემები, თავმოყრილი ამ მონოგრაფიაში, განკუთვნილია როგორც დარგის სპეციალისტებისთვის, ასევე საქართველოს ისტორიისა და კულტურით დაინტერესებულ არასპეციალისტ მკითხველისათვისაც.

განსახილველი 326-გვერდიანი ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილისა და ძირითადი თავებისგან. ნაშრომს თან ახლავს ვრცელი ორენოვანი რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე; პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები; გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და ილუსტრაციები – ნაქალაქარ დმანისის ხედები; ტოპოგრაფიული რუკები; შესწავლილი ისტორიული ნაგებობების კვანძები და არქიტექტურული ნახაზები; მრავალრიცხოვანი, არქეოლოგიური მასალის – კერამიკის, მინის, ძვლის, ლითონის და ა.შ. ნაკეთობების ფოტოები; დმანისში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მონეტების სურათები და სხვ.

ნიგნის პირველ თავში, ობიექტური, ქართულ-უცხოური წყაროთმცოდნეობითი და ღრმა ისტორიოგრაფიული ანალიზით მოცემულია ქვემო ქართლის მხარის ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული, მთელი შუა საუკუნეების ჩათვლით.

ისტორიული სამართლიანობა საჭიროებს აღინიშნოს ქვემო ქართლის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის როლი მთელი ისტორიის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, ავტორს ეს განსაკუთრებული სიზუსტითა და ინფორმატიულობით აქვს გამოცემული, მათ შორის რიგი საკითხებისა, როგორც ამ მხარის ისტორიული საზღვრები და სახელწოდებები, აქ მიმდინარე პოლიტიკური და კულტურული პროცესე-

## დიდი ისტორიის ნაქალაქარი

### მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშრომი

ბი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნეების განმავლობაში ქვემო ქართლის საზღვრები იცვლებოდა, თუმცა კი, ძირითადად ეს მხარე მდინარეების – ალგეთის, მაშავერას, ცქია-ხრამისა და დებედას აუზებს მოიცავდა. ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ (ძვ.წ. IV-III სს), მასში შემავალი ქვემო ქართლი განსხვავებული სახელწოდებით მოიხსენიებოდა: ბერძნულ-სომხური ისტორიული წყაროების მიხედვით, როგორც „გოგარენა“, „გუგარქი“, ქართული მატია-ნეების მიხედვით კი „ქართლის საბიტახ-ფი“. ძველი ქართული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით, ქვემო ქართლი სამშვილდის საერისთავოს ტერიტორიას ემთხვეოდა. XV საუკუნეში, ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ, ამ მხარეში ჩამოყალიბებული ფეოდალური სენიორია – საბარათიანო, ქართლის სამეფოს ერთ-ერთი სადროშო, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული გახდა.

ანტიკური ხანის მიწურულს, IV საუკუნეიდან, ქვემო ქართლში, იბერიის ხელისუფალთა მტკიცე გეოპოლიტიკური გეზისა და რომის იმპერიის ცენტრალური თუ აღმოსავლეთ პროვინციებიდან მომდინარე სამისიონერო იმპულსების წყალობით, ინტენსიურად გავრცელდა ქრისტიანული რელიგია. აქედან მოყოლებული უახლეს პერიოდამდე, მრავალფეროვნად ვითარდებოდა ქართული ქრისტიანული კულტურა. ქალაქი დმანისიც სწორედ რომ ამ მხარეში განვითარებული ისტორიული მოვლენების აქტიური მონაწილე და, რაც შემთხვევაში, ეპიცენტრში მყოფი ურბანული ცენტრი იყო.

ნაშრომის შემდეგი თავში, „დმანისი და ისტორიული გზები“ დანერგულია მიმოხილული ქვემო ქართლის მხარეში გამავალი უმთავრესი, ლოკალური და საერთაშორისო მნიშვნელობის გზები და მაგისტრალეები. ავტორის მიერ, წყაროთმცოდნეობითი, ტოპოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების ურთიერთშეჯერებით, წარმოდგენილია ზემოხსენებული გზების კონკრეტული მიმართულებები; აღნიშნულ მარშრუტებთან დაკავშირებული საგზაო ინფრასტრუქტურა – ხიდები, ფუნდუკ-ქარავანები, ასევე თითოეული გზის მაკონტროლებელი და ჩამკეტი ციხე-კოშკები, სხვა თავდაცვითი სისტემები.

ავტორის მიერ განხილულია აღნიშნული გზებისა და მაგისტრალეების არსებობით განპირობებული ფაქტორები დმანისის, როგორც ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრის, ქართული სამეფოს სამხრეთი მიმართულების თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული პუნქტის წარმოშობა-განვითარების საქმედი.

ნიგნის მომდევნო თავები ეძღვნება უშუალოდ დმანისის ნაქალაქარის კვლევას, სადაც ასევე, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და საკუთრივ ავტორის მიერ წარმოებული მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევების შედეგების ჰარმონიული სინთეზია მოცემულია.

ნიმანდობლივია, რომ დმანისის ნაქალაქარის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლის შესწავლა 1936 წელს დაიწყო. არქეოლოგ ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით და აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ზოგადი კონსულტაციებით, იქ ორი საკმაოდ ფართომასშტაბიანი და წარმატებული სამუშაო კამპანია ჩატარდა. ფაქტობრივად, ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიას, როგორც ცალკე მიმართულებას.

არქეოლოგიური გათხრები დმანისის შუა საუკუნეების ძეგლებზე XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვახტანგ ვარლამის ძე ჯავახიშვილის აქტიური ინიციატივის წყალობით განახლდა. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან აღნიშნულ კვლევებს უშუალოდ ავტორი, ჯუმბერ კოპალიანი შეუერთდა და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას.

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის არქეოლოგიურმა შესწავლამ, მთელი ამ ხნის განმავლობაში დაგროვილმა დიდძალმა

არქეოლოგიურმა მასალამ, მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი შეხედულებები შუა საუკუნეების ქალაქებში მიმდინარე მატერიალური და სულიერი ყოფითი პროცესების შესახებ.

წარმოდგენილ ნაშრომში ვრცელადაა განხილული დმანისის, როგორც ისტორიული ქალაქის ყოფის წარმოჩენისთვის საჭირო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლები და მათ მიხედვით დმანისის ქალაქგეგმარებითი სტრუქტურის წარმოჩენა; სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი შიდა და გარეუბნების არსებობა, დმანისის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და რელიგიურ-ეთნიკური სურათი.

ჯუმბერ კოპალიანის მონოგრაფიული ნაშრომი შუა საუკუნეების ნაქალაქართა კომპლექსური შესწავლის დავლასაჩინო ნიმუშია, სადაც მოცემულია დმანისის, როგორც ქალაქის პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ასევე, მასთან დაკავშირებული ისტორიული წყაროთმცოდნეობა. კვლევის შედეგად დადასტურებული დმანისის საფორტიფიკაციო სისტემები, ნაქალაქარის ცალკეული ნაგებობის კვლევა, დმანისიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალის – კერამიკის, ნუმიზმატიკური მონეტების შესწავლა, იმპორტის გზით მოხვედრილი არქეოლოგიური მასალის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ფონზე ინტერპრეტირება და სხვა. ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდები შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის საქმიანობის, სოციალური და ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობის, ყოფა-ცხოვრების თვისებებების შესახებ. განხილულია მთელი რიგი საკითხები, დმანისის, როგორც მნიშვნელოვანი ცენტრის, ქვემო ქართლის რეგიონისა და ზოგადად საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-კულტურულ პროცესთა ფონზე.

ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგად ნაშრომში წარმოდგენილია დმანისის ურბანული სურათი – შუა საუკუნეების ქალაქის სტრუქტურული ერთეულები, მოსახლეობის სავარაუდო სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის საკითხები, მასალები სხვადასხვა საყოფაცხოვრებო, საკულტო და მემორიალური ძეგლების ხუროთმოძღვრული თავისებურებების შესახებ, უაღრესად მრავალფეროვანი ეპიგრაფიკული მონაცემების ანალიზი და სხვ.

ავტორი გვანდის საყურადღებო ცნობებსა და მოსაზრებებს ქალაქის მოსახლეობის, მათ შორის მალაღობი სოციალური წრის ეკონომიკურ მდგომარეობასა და ეთნიკურ-კონფესიური სურათის, ქალაქის მმართველობის ფორმების შესახებ. სხვადასხვა წყაროებით დასტურდება, რომ თბილისის სამთავროს არსებობის პერიოდში დმანისში თბილისელი ამირების – ჯავახრიდების გვერდითი შტო მმართველობდა. მდგომარეობა შეიცვალა დავით აღმაშენებლის მიერ დმანისის გათავისუფლებისა და მისი სამეფო ქალაქად გამოცხადების შემდეგ და აქედან მოყოლებული, დმანისში დანიშნული ქრისტიანი ქართველი ამირები გვხვდებით. აქ მათი მოვალეობები ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც სხვა ამირებისა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქალაქის მართვა-გამგეობა, მის გამწვანება-თავდაცვასა და მეურნეობაზე ზრუნვა და ა.შ. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, დმანისელი ამირები ადგილობრივი ფეოდალური მფლობელები არ არიან, არამედ ისინი უკვე მეფის

მიერ დანიშნული მოხელეები ხდებიან, რომელთაც ადმინისტრაციულად ქალაქი და მის გარშემო არსებული ტერიტორია – ქალაქის ეკონომიკური რაიონი ექვემდებარებოდა.

ავტორის მიერ მასშტაბური კვლევითი სამუშაოები ჩატარებული ქალაქ დმანისის თავდაცვითი სისტემის მოწყობის თავისებურებების შესასწავლად, რომელშიც გაერთიანებულია ქალაქის შიდაციხე, ქალაქის გალავანი და კარიბჭე, საიდუმლო გვირაბი და სხვა საფორტიფიკაციო ობიექტები; დმანისის შემოგარენში და რეგიონში არსებული, ქალაქის დამცავი, შრობრივად განლაგებული ციხე-სიმაგრეები და მათთან მისაველელი გზები.

ნიგნში ცალკე თავი ეთმობა ნაქალაქარზე არსებულ დიდებულ კომპლექსს – დმანისის სიონის შესწავლას. შეიძლება ითქვას, რომ დმანისის სიონი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ისტორიაში საკმაოდ წინააღმდეგობრივად შეფასებული ტაძარია. ამ ეკლესიას XX საუკუნეში ხელოვნებმცოდნეები VI საუკუნეს მიაკუთვნებდნენ, ასაბუთებდნენ რა, რომ ძველი გვეგმურად მიეკუთვნება საქართველოში თითქოსდა VI საუკუნეში საყოველთაოდ გავრცელებულ „სამეკლესიოანი ბაზილიკების“ ტიპს. არქეოლოგიური გათხრები დმანისის სიონის ინტერიერში თავად ავტორის მიერ 2006 წელს წარმოებდა. შესწავლილ, XVII-XVIII საუკუნეებში ტაძრის იატაკში მოწყობილ ორბელიანთა საგვარეულოს სამარხებთან ერთად, გაიხსნა და გამოჩნდა ტაძრის ქვეშ არსებული, ტაძრის აქ აშენებამდე არსებული საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთები, რომელიც თარიღდება მე-9-10 საუკუნეებით.

არქეოლოგიური კვლევით დადასტურდა, რომ ეს ძეგლი სულაც არ განეკუთვნება სამეკლესიოანი ეკლესიათა ჯგუფს (ეს არის დარბაზული ეკლესია მინაშენი ეგვიპტე-ბით); რაც მთავარია, მოხდა ტაძრის აგების განსაზღვრა და მისი თავდაპირველი სამშენებლო ფენების XI-XII საუკუნეებით დათარიღება.

ასევე საყურადღებოა მონოგრაფიის ერთ-ერთი თავი, რომელიც დმანისისა და გარე სამყაროსთან არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს ეხება. კვლევებმა აჩვენა, რომ დმანისი, როგორც სამეფო ქალაქი, ქართული სახელმწიფოს საერთო სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში, ისე საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ინტენსიურად ყოფილა ჩართული, რაც ადგილობრივად არსებული საქალაქო ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ყოველივე ამას, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, დიდწილად ქალაქის მნიშვნელოვან საერთაშორისო სავაჭრო გზებზე მდებარეობაც განაპირობებდა. საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი მრავალფეროვანი იმპორტული ნაწარმის ამსახველი არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენა დმანისში, ასევე აქ დადასტურებული როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სამონეტო მიმოქცევის ამსახველი ფაქტები, ყოველივე ზემოაღნიშნულის ნათელი დადასტურებაა.

ნიგნში ცალკე თავი აქვს დათმობილი მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენას დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელები ვახტანგ ჯავახიშვილი, ჯუმბერ კოპალიანი) აქ აღმოჩენილია უძველესი ადამიანის ადგილსამყოფელი და თვით უძველესი ადამიანის – ორ ფეხზე გამართულად მოსიარულე ადამიანის Homo erectus-ის ნაშთები (რამდენიმე თავის ქალა, ქვედა ყბა და 60-ზე მეტი სხვადასხვა ნაწილი), რომელიც თარიღდება 1,7-1,8 მილიონი წლით. ეს არის აფრიკის გარეთ მსოფლიოში უძველესი ადამიანი. ნიგნის ავტორი ამ აღმოჩენის შესახებ ყველაფერს დანერგულით აღწერს.

ამდენად, ჯუმბერ კოპალიანის მონოგრაფია „დმანისის ნაქალაქარი“ უძვირფასესი საჩუქარია როგორც დარგის სპეციალისტებისთვის, ასევე საქართველოს ისტორიისა და კულტურით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

### ჯიმპერ ჩხვიშიანი

არქეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი



გაბრძნობა. დან. „ლს“ №13, 14, 15, 2022 წ.

შალვა საბაშვილი

15. პრესაში ძალზე გავრცელებულია მოჩვენებითი ნათესაობითი ბრუნვის ფორმები. აი ნიმუშიც: „ლექს „ჰიმნი დედაენას“ ტექსტის ავტორი არის ხუტა ბერულავა“. ცხადია, რომ აქ რაღაც ვერაა წესრიგში. მართლაც, „ჰიმნი დედა-ენას“ ლექსის სათაურია, ამიტომ იგი სახელობით ბრუნვაში მყოფი ლექსიკური ერთეულის როლს ასრულებს. ავტორს ეს კომპლექსი როგორმე ნათესაობით ბრუნვაში უნდა გადაეყვანა, როგორც, ვთქვათ, არის წინადადებაში: „ლექს „ლურჯა ცხენების“ ტექსტის ავტორი გ. ტაბიძეა“ (როგორ მოგეწონებოდათ, რომ დამენერა: „ლექს „ლურჯა ცხენები“ ტექსტის ავტორი გ. ტაბიძეა“- მეთქი?). მაგრამ სათაური „ლურჯა ცხენები“ ადვილად იძენს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, რადგან თვითონ სახელობით ბრუნვაშია, ხოლო როგორ გინდა სათაური „ჰიმნი დედა-ენას“ ჩასვა ნათესაობითი? მექანიკურად მიუწერო ბრუნვას ვერ დეფისი და მერე ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „ის“?“. არ გამოვა ასე! სამწუხაროდ, რადგან აღნიშნული სათაურის ბოლო სიტყვა („დედაენას“) „ს“ ასოთი ბოლოვდება, ავტორმა მიიჩნია, რომ „დედა-ენას“ უკვე ნათესაობითის ფორმა (სინამდვილეში ესაა მიცემითი ბრუნვა, რადგან გვანაცნობს, ვის ეძღვნება ჰიმნი!). მძიმე შეთხვევაა. რა უნდა ექნა ავტორს? იგი ვერ დაწერდა „ლექს „ჰიმნი დედაენას“-ის ტექსტის ავტორი“ ხუტა ბერულავა“, ვერც ინვერსია უშველიდა, რადგან „ავტორი ლექს „ჰიმნი დედა-ენას“ ტექსტისა“ იმავე შეცდომას შეიცავს, რასაც თავდაპირველი წინადადება – ისევე ვერ ჩავსვით ლექსის სათაური ნათესაობით ბრუნვაში. მაგრამ ხომ შეეძლო საერთოდ გამოეტოვებინა ხელის შემშლელი სიტყვა „ტექსტი“ და დაენერა: „ავტორი ლექსისა „ჰიმნი დედა-ენას“ არის ხუტა ბერულავა“! რა აიძულებს წინადადების იმგვარ დაწყებას, რომელსაც გაგრძელება აღარ უხერხდება? მთავარი ხომ ისაა, რომ ნათქვამი უშეცდომოდ იყოს და გასაგებიც. მაგრამ ჩემი ეს შეკითხვა ლოგიკური აღარაა: ავტორი მცდარ წინადადებას იმიტომ წერს, რომ ვერ ხვდება მის მცდარობას. ამნაირი შეცდომები გაზეთებში ყოველ ნაბიჯზეა. მაგალითად, ნაიკითხავ: „პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე განაცხადა“. თითქოსდა მეორე სიტყვა ნათესაობითი იდგეს. რომ მიხვდეთ, რა შეცდომა დაუშვა, ავტორმა უნდა შედგინოს მსგავსი წინადადება სხვა რომელიმე პარტიის, ვთქვათ, „ლელოს“ შემთხვევაში და დარწმუნდება, რომ პარტიის სახელწოდება ნათესაობით ბრუნვაში უნდა იდგეს, ანუ უნდა ეწეროს: „პარტია „ლელოს“ თავმჯდომარე განაცხადა“. ის წინადადება კი, რითაც ეს ავტორი გაზეთის მკითხველების წინაშე წარსდგა, გრამატიკულად ეკვივალენტურია ასეთი წინადადებისა: „პარტია „ლელო“ თავმჯდომარე განაცხადა“, ამიტომ, მისი საგაზეთო მიმოხილვა უბრწყინვალესიც რომ ყოფილიყო, ბევრი მკითხველისაგან მაინც ირონიულ ღიმილს დაიმსახურებდა. მართლაც, ის ფაქტი, რომ სიტყვა „საქართველოსთვის“ ბოლოვდება „ის“-ით, განა იმაზე მეტყველებს, რომ იგი ნათესაობითია? რა თქმა უნდა, არა! აქ „ის“ უბრალოდ ნაწილია თანდებულისა „თვის“, რომელიც დართული აქვს სიტყვა „საქართველო“-ს.

ავტორის ცდომილების ნაწილობრივი მიზეზები ის პოლიტიკოსები არიან, რომლებიც თავიანთ პარტიებს ასეთ უცნაურ სახელებს არქმევენ, მაგრამ ჟურნალისტსაც ხომ მოეთხოვება, ადვილად არ წამოეგოს ნებისმიერ დაგებულ ანკესზე. ასე ადვილად მოწყვლადი თუა, საერთოდ როგორ აპირებს რთულ პოლიტიკურ ნიუანსებში გარკვევას? ეს, ვთქვათ, მცირე ლირიკული გადახვევაა. იმას მაინც არ უნდა მიმხვდარიყო, რომ პარტიის სახელი ნათესაობითი

უნდა ჩავსვა? მაგრამ ასეთი ნათესაობითი „საქართველოსთვის“-ის“ უჩვეულოდ არაბუნებრივია, ამიტომ რაღაც უნდა დავთმოდ, თუნდაც მცირე ინვერსია მოვახდინოთ და დავწეროთ: „თავმჯდომარე პარტიისა „საქართველოსთვის“ განაცხადა“, ანდა თავიდანვე ისე დავინყოთ წინადადება, რომ ამგვარ გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ. კალამი ხომ ჩვენს ხელშია!

ზემოთ მცდარი წინადადების ხელოვნური ნიმუში განვიხილეთ. ახლა მომყავს რეალური ამონაწერიც: „ასე ფიქრობს პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი კახა ქემოკლიძე“. მჯერა, მკითხველი თვითონვე ხვდება, რომ მეოთხე სიტყვა („საქართველოსთვის“) სულაც არ დგას ნათესაობით ბრუნვაში (რაც აუცილებლობაა) და

თვითონვე მიიყვანს ამ წინადადებას სწორ ფორმად: „ასე ფიქრობს ერთ-ერთი ლიდერი პარტიისა „საქართველოსთვის“ კახა ქემოკლიძე“.

16. ქვემდებარის ან წინადადების რომელიმე სხვა წევრის ჩასმა შეუსაბამო ბრუნვაში.

პრესაში შემხვდა წინადადება: „ზედამხედველობის სამსახურმა პირველ ეტაპზე რამდენიმე პირს სიტყვიერად გააფრთხილა“. შეცდომაა, თანაც ძალიან მკვეთრი. ანმყოში მართლაც მიცემითი ბრუნვა გვჭირდება („ვაფრთხილებთ ყველას“), მაგრამ წყვეტილ მწკრივში უკვე სახელობითზე უნდა გადავიდეთ: „ყველა ვაფრთხილეთ“. ასე რომ, ზემოთა „რამდენიმე პირი სიტყვიერად გააფრთხილა“ უნდა ყოფილიყო. რატომ უშვებენ მსგავს შეცდომას? ეგებ, ფიქრობენ, თუკი ვინმეზე იმოქმედეს („გააფრთხილეს“), იგი სახელობითი როგორღა დარჩებოდაო. ანუ სულიერი მდგომარეობის ცვლილება ბრუნვის ცვლილებით უნდა დადასტურდეს? ამგვარ ავტორთა აზრით, სახელობითს უფრო შეესაბამება „კაცი დგას“ ტიპის წინადადება. რუსული ენა ამგვარ ნიუანსებს პასუხობს ე.წ. ბრალდებითი ბრუნვის (винительный падеж) არსებობით: „ქალი დგას“ სახელობით ბრუნვას მოითხოვს («женщина стоит»), „ქალი ვაფრთხილეს“ კი ბრალდებითს («женщину предупредили»). ამგვარმა ნიუანსებმა შეიძლება ისიც კი გვაფიქრებინოს, ხომ არ არის ზოგი ავტორის ასეთი მარტივი ლაფსუსები ქართულში მათ მიერ რუსული ენის მაღალ დონეზე ფლობისა და ამ ენით ხშირი სარგებლობის შედეგი? ეს არაა გამორიცხული, რადგან არც ისე შორეულ წარსულში ბევრ „უაღრესად პატრიოტ“ ქართველს შვილები რუსულ სკოლაში შეჰყავდა, გარედან ყოველგვარი იძულების გარეშე. მაგრამ მოვეშვათ მიზეზთა ჩხრეკას და მივხედოთ საქმეს.

თუ ასეთ გამჭვირვალე სიტუაციებში ვცდებით, რაღა მოგვივა, როცა ქვემდებარე ან დამატება განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით ვაღმოიკვამ? და მართლაც, პრესა საუვა წინადადების წევრთა არაშესატყვის ბრუნვაში ჩასმის მაგალითებით. განვიხილოთ ტიპური ნიმუშები.

ა) ყველა ადამიანს, ვისაც კონცერტზე დასწრების სურვილი ექნება, უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფილი იქნება“. რატომ ვერ უნდა გრძნობდეს პროფესიონალი ჟურნალისტი, რომ ბუნებრივია „ყველა ადამიანი უზრუნველყოფილი იქნება“, ხოლო „ყველა ადამიანს უზრუნველყოფილი იქნება“ არაბუნებრივი, არაქართულია? ვხვდები, რაც მათ აბნევთ: „ექნება“ ითხოვს, რომ „ადამიანი“ მიცემით ბრუნვაში ჩავსვათ, ასე რომ, დასაწყისი: „ყველა ადამიანს, ვისაც კონცერტზე დასწრების სურვილი ექნება“ თავისთავად სწორი ფორმაა, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ რთული წინადადების დასრულებაზე არ გადავალთ. მთლიანობა-

ში კი იგი მცდარი გამოდის. ამაში ყველა დამეთანხმება, თუ გაითვალისწინებს, რომ მოყვანილი წინადადების პირველი ნაწილი შეგვეძლო ასეც შეგვედგინა: „კონცერტზე დასწრების სურვილის მქონე ყველა ადამიანი“, რასაც უმტკივნეულოდ მივებობოდა „უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტით“. ოღონდ მკითხველს არ ეგონოს, რომ მე საწყისი წინადადების სრულ გადაკეთებას მოვიტხოვ – საკმარისია ამ წინადადების მეორე წევრი ჩავსვათ სახელობითში („ადამიანი“) და ყველაფერი გასწორდება: „ყველა ადამიანი, ვისაც კონცერტზე დასწრების სურვილი ექნება, უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფილი იქნება“.

მოვიტანოთ სხვა მაგალითებიც და მივუთითოთ მათი სწორი ფორმები.

ბ) „კაცმა, რომელმაც რკინიგზაზე 50 ლარის ჯვართი მოიპარა, სასამართლომ 8 წელი მიუსაჯა“. რადგან 8 წელი კაცს მიუსაჯეს, ამ წინადადების სწორი ფორმაა: „კაცს, რომელმაც რკინიგზაზე 50 ლარი მოიპარა, სასამართლომ 8 წელი მიუსაჯა“.

გ) „აღნიშნულმა პირმა, თანამგზავრებთან ერთად ... მოქალაქე დაიბრუნა როსტომავილს თავს ყაჩაღურად დაესხა“. მცდარი ნაწილია! „კაცმა დაესხა თავს“ კი არა, „კაცი დაესხა თავს“ არის გრამატიკულად სწორი. ამიტომ წინადადების თავში უნდა იყოს არა „აღნიშნულმა პირმა“, არამედ „აღნიშნული პირი“.

დ) „ადამიანს, რომელსაც 2-პროცენტიანი მხარდაჭერაც არა აქვს, არ შეიძლება იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი“. აქაც მთავარია არა შეთანხმება „ადამიანს, რომელსაც“, არამედ „ადამიანი ... არ შეიძლება იყოს“. ამიტომ სწორი ფორმაა: „ადამიანი, რომელსაც 2-პროცენტიანი მხარდაჭერაც არა აქვს, არ შეიძლება იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი“.

ე) „კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა გენეტიკურ პროცესს დააკვირდა, რომლის შედეგად ცისფერი თვალები გაჩნდა“. აქაც იგრძნობა საოცარი დაჟინება, რომ ქვემდებარე, თუ იგი „აქტიურია“, მაინცდამაინც მოთხოვით ბრუნვაში იყოს (იგულისხმება წყვეტილის ფორმა). ანუ ავტორისთვის ბუნებრივია „კაცი დგას“, მაგრამ „კაცი დააკვირდა“ მის ყურს ეხამუშება და წერს „კაცმა დააკვირდა“. არ ვიცი, ამას რა ეშველება. გრძელი, ღრმა მსჯელობები გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების შესახებ და ქვემდებარის ბრუნვის უცვლელობასა თუ ცვალებადობაზე ზმნის უღლების სხვადასხვა სერიამ ალბათ წყლის ნაცვა იქნება. ყველაფერს ჯობს, ასეთი ავტორები უფრო ნაკლებს წერდნენ და უფრო მეტს კითხულობდნენ. ბოლოს კი მაინც დავაფიქსიროთ, რომ უნდა ეწეროს არა „ჯგუფმა“, არამედ „ჯგუფი“ („კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი გენეტიკურ პროცესს დააკვირდა“).

ბარემ მოყვანილი ფრაზის სხვა უხერხულობაც აღვნიშნოთ. ავტორი ენაში ნაკლებგანაფულ მკითხველს რომ არ მოეჩვენოს, თითქოსდა ცისფერი თვალები დაკვირვების შედეგად გაჩნდა, აჯობებს ეწეროს: „იმ გენეტიკურ პროცესს დააკვირდა, რომლის შედეგად“, ან: „ჯგუფი დააკვირდა გენეტიკურ პროცესს, რომლის შედეგად“, რათა ცხადად ჩანდეს, რომ სიტყვა „რომელიც“ უკავშირდება სწორედ სიტყვა „პროცეს“-ს.

ვ) „თქვენ, როგორც აღმშენებლის ძეგლის ახალ ადგილზე დადგმის პროექტის თანაავტორს, ადამიანს, რომელმაც ამ საკითხის ყველა ნიუანსი იცის, რით ხსნი იმას, რომ „ოცნებამ“ ჩვეული დაპირების მიუხედავად მეშვიდე წელია ვერ მოახერხა მისი მეფის ღირსების აღდგენა-რეაბილიტაცია“. აქაც დარღვეულია ზმნასა და

სახელს ან ქვემდებარესა და შემასმენელს შორის ბრუნვაში შეთანხმება. თუ საგანი „რაიმეს ხსნის“, მაშინ მისი სახელწოდება სახელობით ბრუნვაში უნდა ჩაისვას. ამიტომ სრულიად გაუგებარია მიცემითი ბრუნვის ნიშნის შემცველი მონაკვეთები: „ადამიანს, რომელმაც“ და „პროექტის თანაავტორს“. ისინი მაშინ იქნებოდა სწორი, ფრაზა რომ გრძელდებოდა ასე: „რითი გესახებათ იმისი ახსნა, რომ...“. მაგრამ, რადგან წერია: „რით ხსნი იმას, რომ...“, დასაწყისში უნდა ეწეროს: „თქვენ, როგორც ... პროექტის თანაავტორი, ადამიანი, რომელმაც...“ სხვათა შორის, ნაცვალსახელი „თქვენ“ აქ სწორედ სახელობით ბრუნვაში იგულისხმება, თუმცა ფორმა „თქვენ“, საზოგადოდ, სხვა ბრუნვებსაც გამოსახავს. ნულარ გამოვეკიდებით იმას, რომ ძველი ისედაც „ახალ ადგილზეა“, ამიტომ საუბარი მის „სხვა, უფრო შესაფერის ადგილზე“ დამკვიდრებას უნდა შეეხებოდეს, და ნურც იმას, რომ „აღმშენებელს“ სახელი „დავითიც“ უნდა უძღოდეს წინ.

ზ) „ქვეყანა, რომელიც თავის ნიჭიერ შვილებს ასე გასწირავს, მომავალი არ უწერია“. აქაც ჩანს საერთო სენი: ავტორები მხოლოდ ფრაზათა ცალკეულ ნაწილებს აკონტროლებენ, მის მთლიან თვალსაწიერს კი ვერ აწვდენენ თვალს თუ გონებას. ეგებ, არც კი ცდილობენ ამას? ამიტომაც გამოსდით სრულიად გაუგებარი ნაწილი: „ქვეყანა მომავალი არ უწერია“. საკმარისი იყო, ავტორს ერთდროულად მოეცვა ფრაზის საწყისი და ბოლო მონაკვეთები, რათა მიეგრან სწორი ფორმისათვის: „ქვეყანას, რომელიც ასე გასწირავს თავის ნიჭიერ შვილებს, მომავალი არ უწერია“.

თ) „ადამიანებს, რომლებსაც დღეში 2 საათი თავისუფალი დრო აქვთ, ბედნიერები არიან“. გამოდის გრამატიკულად სრულიად მიუღებელი კავშირი სიტყვებს შორის: „ადამიანებს ბედნიერები არიან“. სწორი ფრაზაა „ადამიანები, რომლებსაც დღეში 2 საათი თავისუფალ დრო აქვთ, ბედნიერები არიან“.

ი) „მათ, რომლებსაც არ აჯავრებს ის, რაც გასაჯავრებელია, სულელებად უნდა ჩაითვალოს“. საკმარისი იყო, ავტორს ნაეკითხა თავისივე წინადადების ბოლო ნაწილი („სულელებად უნდა ჩაითვალოს“) და დაესვა კითხვა: „რით უნდა ჩაითვალოს სულელებად?“, რათა მიმხვდარიყო, რომ წინადადების დასაწყისში უნდა იდგეს არა „მათ“, არამედ „ისინი“.

კ) „მაიმუნი, რომელსაც მხოლოდ მკვებავი დედა ჰყავდა, ხასიათი ისე ჩამოუყალიბდა, როგორც ობოლ მაიმუნს“. აქ ბრუნვების წინა მაგალითის საპირისპირო დალაგებაა (ჯერ სახელობითია, მერე მიცემითი), ოღონდ შეცდომა კვლავ ზედაპირზეა. მთავარი წინადადებაა „ხასიათი ისე ჩამოუყალიბდა“, ამიტომ სწორედ მას უნდა შევესაბამოთ წინადადების პირველი წევრის ბრუნვა. ვსვამთ კითხვას: „ვის ჩამოუყალიბდა ხასიათი?“ და უშეცდომოდ ვპასუხობთ: „მაიმუნს, რომელსაც მხოლოდ მკვებავი დედა ჰყავდა“. სწორედ ასე უნდა დაწყებულიყო მოყვანილი (თუ მოტანილი?) წინადადება.

ლ) „გარედან შემოსულმა კაცმა, რომელმაც მხატვრის ვინაობა არ იცის, ადვილად მიხვდება, რომ ეს ნახატი ნამდვილი ვაჟკაცის შესრულებულია“. უნდა ეწეროს არა „გარედან შემოსულმა კაცმა“, არამედ „გარედან შემოსული კაცი“, რადგან მართებულია არა „კაცმა მიხვდება“, არამედ „კაცი მიხვდება“.

ეს მცირე (და სულაც არა სრული) მიმოხილვა უჩვენებს, რომ რთულ ქვეყნობილ წინადადებათა აგებისას წინადადების წევრთა ბრუნვების შერჩევაში ჟურნალისტთა მიერ შეცდომის დაშვება წესი უფროა, ვიდრე გამონაკლისი. ამ ტიპის შეცდომებზე მე წინადადებით მიმოხილვა, მაგრამ, ეტყობა, აქ მოტანილ ნიმუშთა ავტორებმა იმ სტატიათა ნასაკითხად ვერ მოიცალეს.

►► გაბრძნობა იქნება



# რა, ციხესი იქ და?!~

### გიორგი ვიშნაძის ნოველი – „მე ახარა სასწაულები!“

ამისწინა ნოველში – „ილბად, გაზეთი „თბილისი“! – ნაოპერაციო ჩემი მეუღლე ეუბნება პალატის ექიმს, ლუდას, ჩვენ 16 წელიწადს ველოდით ერთმანეთსო და იმან გაკვირვებულმა იკითხა – რა, ციხეში იჯდა?!“

ციხეში არ ვმჯდარარ, მაგრამ უარეს დღეში ვიყავი. ლიას მშობლებმა რომ, ბოლოს და ბოლოს, შეიტყვეს ჩვენი ფარული რომანის ამბავი, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, – არავითარ შემთხვევაში!

ერთადერთი მიზეზი, რაც მათ კატეგორიულ უარს იწვევდა, ის ავბედითი გარემოება გახლდათ, რომ მათ გენეალოგიურ შტოში ჩემი გვარიც ფიგურირებდა.

ამ გარემოებას, რასაკვირველია, ჩვენც მწვავედ განვიცდიდით, მაგრამ რამდენს არ ვეცადეთ, ვერ ამოვიგდეთ ერთმანეთი გულიდან, პირიქით, ალი უფრო და უფრო ბრიალებდა.

მოგვიანებით, უკვე კივიის სამხედრო-საოფიცრო სასწავლებლის კურსანტს, სახე რომ დღენიდაც ჩამომტვიროდა, ოცუელის მეთაურმა, ლიტერატურაზე ნესტერენკომ, ერთხელაც იყო, გამომართვა და, მოუხედავად იმისა, რომ ასაკით არცთუ დიდად უფროსი იყო, მამაშვილურად მკითხა: კაი ხანია, გაკვირდები და რატომ ხარ რაღაცნაირი, გულჩათხრობილი და სევდიანი, ხომ არაფერი განუხებსო.

აკი ვთქვი, ჩემზე არც ისე დიდი იყო, და მეც ჩემი მოწყვნილობის მიზეზი იოლად გავანდე.

ჩამოვყევი, მიმანიშნა გრძელ სკამზე „კურილიკაში“, გვერდით მომიჯდა, სიგარეტის კოლოფი ამოიღო და შემომთავაზა, მაგრამ თავი შევიკავე. გააბოლა და დაიწყო.

– იცი, რას გეტყვი? საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ახალგაზრდებს ხშირად ერთმანეთში ერევათ ვენებათა ცხრომა და ჭეშმარიტი სიყვარული. მერწმუნე, სიყვარული არ არსებობს ვენების გარეშე, მაგრამ ცალკე აღებული ვენა, უსიყვარულოდ, გაიხარია, დულს და გადადულს! ასე რომ, მათ შორის ვეებერთელა, კარდინალური განსხვავებაა!

ახლა, რაც შენს პირად პრობლემას შეეხება, თუ სისხლით ნათესავები არ არიან, გვარს რა მნიშვნელობა აქვს?! მაშინ, რა ექნათ სამეფო დინასტიის წარმომადგენლებს?! უფლისწულს უფლებაც არ ჰქონდა, ნოდებით დაბალი ფენისა და გვარის ქალზე ექორწინა! მეფის რუსეთში, რომანოვების დინასტიის დროს, რომანოვს რომ რომანოვზე არ ექორწინა, დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა.

არა მგონია, თქვენს საქართველოში სხვანაირი ტრადიცია და ადათი ყოფილიყო! ასე არაა?

ჩემთვის, ოციოდე წლის ჭაბუკისათვის, ნესტერენკოს სიტყვები სრულიად მოულოდნელი გამოდგა. ვუსმენდი მოწუხებული და ვგრძნობდი – თითქოს გული ამომიტივტივდა სხეულიდან და, გაღმარებული, ზეცაში აფარფავდა! ერთი სიტყვით, ცა გამეხსნა!

ბოლოს, მხარზე დამადო ხელი და „წუთშეხვეწება“ ასე დაასრულა: თუ ცალმხრივი არაა, სიყვარული ყველა შემთხვევაში თავისას გაიტანს. შენ ბეჯითად ისწავლე, დაეუფლე სამხედრო ტექნიკას და ტაქტიკას და, თუ ფრიადებზე ჩააბარებ საკურსო გამოცდებს, პატაკით გიშუამდგომლებს სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან და, აგვისტოში, ერთთვიან შევბუღებაში გაგიშვებენ!

ოცმეთაურ ნესტერენკოს მანუგებელი სიტყვები ნამდვილად მომეფონა გულს, მაგრამ, როგორც კი გამახსენდებოდა ლიას მშობლების უკუღმა ნაყარი ქოში (ჩემები უკვე იმსოფლად მყავდნენ), მაინც საშინლად ვითრგუნებოდი.

ერთხელაც იყო, ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, გავბედე და წერილთ მიმართ ცნობილ პოეტსა და ჟურნალისტს, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ თანამშრომელს, ქალბატონ ნაზი კილასონიას: ასე და ასეა, ქალბატონო ნაზი, ჩემი საქმე და, საოფიცროზეც იმიტომ ჩავირიცხე არა „ტაუ“-ში (ტბილისსკოე არტილერიისკოე უჩილიში), არამედ – შორს, უკრაინის დედაქალაქში, რათა რამენაირად დამეძლია ეს გამთანგველი გრძნობა, მაგრამ, ვატყობ, არაფერი გამოდის-მეთქი.

ჩვენს სამხედრო სასწავლებელში – „KAKAVCA“ – რომელიც ლიტვა-ბრესტის გზატკეცილზე მდებარეობდა, ბიბლიოთეკის, „ლენინის ოთახის“, საპარკომპროსო და საცეკვაო დარბაზის გარდა, საკანცელარიო ფიხურიც იყო.

შევედი, „პისტონიკიდან“ ამოვამოხევე ოცკაპიკიანი, შევარჩიე ლამაზი კონვერტი, რომელზედაც გამოსახული იყო კივიის „რუსთაველის პროსპექტის“ – კრემლბატიკის ხედი, მოვათავსე შიგ ბარათი და დაველოდე პასუხს.

გავიდა იმ დღის მერე, ლამის, ხუთი თვე და გადამეწურა იმედი: წერილს ან საერთოდ არ მიუღწევია რედაქციამდე, ანდა (ეს უფრო რეალურად მივიჩნიე), რედაქტორმა სანაგვე ყუთში გადაამისამართა-მეთქი!

...და აი, 1953 წლის 23 თებერვალს, ეგრეთ წოდებულ „წითელარმიელთა დღეს“, ასეულის ზემდეგ ხასკევიჩი, ნასადილევის შესვენებისას, როცა მოწყენილი ვიჯექი ჩემთვის ყაზარმაში, ბრძანების კილოთი მეძახის – **Курсант Зарнадзе, ко мне!** – როგორც საბრძოლო მომზადების ნესდება მოითხოვს, წამოვხტი და გამოვეცხადე: ამხანაგო ზემდეგო, თქვენი ბრძანების შესაბამისად, კურსანტი ზარნაძე გისმენთ!

– თავისუფლად! შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს: არც ისე სასიამოვნო და ნამდვილად სასიამოვნო. რომლით დავიწყო?

– ნამდვილად სასიამოვნოთი, ამხანაგო ზემდეგო! ამოაძვრინა საველე ჩანთიდან კონვერტი და გამომიწოდა. ეგრევე თვალში მეცა ჩვენი ფუნჯიკულიორის ხედი!

– **От твоей девушки, да?**  
– არა, ამხანაგო ზემდეგო, რედაქციისგანაა.  
– **„Ишь ты! От редакции!“**

ის დღე იყო და, ზემდეგ ხაცკევიჩს უწინდებურად იმვითად ვხვდებოდი თვალში – „ერთი ამას დამიხედეთ! რედაქციისგანო!“

მე კი ერთი რამ ვერ მომენელებინა – იმ დღეს არასასიამოვნოზე რომ არ ვკითხე. ამიტომ ჩემი ინიციატივით წარვუდექი.

– ამხანაგო ზემდეგო, ნება მომეცით, მოგმართოთ!  
– დიას, გისმენთ! – ნამოდგა და თვითონაც ამიღო „ჩესტი“.

– იმ დღეს ნაკლებსასიამოვნო ამბავიც ხომ უნდა გეთქვათ?  
– ხოო, ისეთი არაფერი. უბრალოდ, არ სიამოვნებთ ხოლმე „ლეზგინეთ“ წრის დარტყმა.

გამეცინა, მაგრამ განა იმიტომ, რომ წარმოვიდგინე – როგორი დასანახავიც ვიქნებოდი ლეკურით წრის დამრტყმელი, არამედ იმიტომ, რომ როგორ დააფრთხო ჩემმა პასუხმა ზემდეგი ხაცკევიჩი, **„Ишь ты!“**

ამასობაში, გაუარზებლად, მთვარეულით შევედი ტუალეტის ოთახში, ამოვიღე გულის ჯიბიდან სიგარეტი „ოუჟნიკი“ და გავაბოლე. ზედიზედ ვურტყამდი ნაფაზებს, ვიდრე კონვერტს გავხსნიდი.

ქალბატონი ნაზი ისე მეფერებოდა, გული ამიჩუყდა. „შვილო გიზო, შენ ნამდვილად მოსაწონი, ვაჟკაცური ნაბიჯი გადაგიდგამს, სამხედრო სამსახური რომ აგირჩევია. მით უფრო ახლა, როცა ჰიტლერულ გერმანიაზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ჩვენი ქვეყანა ომის უმძიმეს ჭრილობებს იშუშებს, მეტად საპატიო, პატრიოტულ საქმედ მიიჩნევა შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა ოფიცერთა კადრებით შევსება.“

ახლა კი, რაც შენს პირადულ პრობლემას შეეხება. ერთი და იგივე გვარის თანხვედრას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს; ის ვერ ჩაითვლება რაიმე დაბრკოლებად ვერც ზნეობრივი, ვერც რელიგიური და ვერც სამართლებრივი ნიშნით!

ამის უდავო დასტურია სამონარქო დინასტიების მთელი ისტორია. მაგალითად, ჩვენს მეფეებს, გვარად ბაგრატიონებს, პირიქით, ცუდ შესტად ეთვლებოდათ, თუკი რომელიმე უფლისწული დაბალი წოდებისა და გვარის ქალს შეირთავდა! ფილმიდან მაინც გეხსოვება – რა დღეში ჩააგდეს განდგომილმა თავადებმა, შადიმან ბარათაშვილის მეთაურობით, მეფე ლუარსაბი, გიორგი სააკაძის სიძე რომ გხვდა!

ასეთსავე ტრადიციას, შიგადაშიგ, დიდგვაროვანი თავადებიც იცავდნენ ჩვენში...

იცოდე და გნამდეს, რომ, ღვთის გარდა, არ არსებობს ამქვეყნად ძალა, ორმხრივი სიყვარულის მომრევი! ასე რომ, ფუჭია მაგაზე დარდი! ისწავლე ბეჯითად, შექმენით მტკიცე ქართული ოჯახი, იმრავლეთ და იხარეთ!

შეება მომგვარაო, რომ ვთქვა, ცოტა იქნება! თავზარდამცემი სიხარულით ამანთო ამ მაგიურმა სიტყვებმა. ბარემ, ასეც ვიტყვი: მანთებდა ხოლმე, რადგან დღეში სამჯერ, ოთხჯერ და მეტჯერაც ვკითხულობდი!

ერთი პატარა სასწაული ისიც იყო, რომ ყოველივე ეს ზუსტად იმ მომენტს დაემთხვა, როცა ორი დღის მიღებული მქონდა ლიასგან სულის ამაფორიაქებელი პატარა ბარათი:

„გამარჯობა! შენი სახელის ხსენება წერილშიც კი მაშინებს. გვარის კი – მაძრწუნებს და მამთავრებს! ზეგ (გახსოვს, ალბათ) ჩემი დაბადების დღეა. რატომ იმ დღეს ცა არ ჩამოიქცა და წყალმა და მენყერმა არ მშთანთქა დედაბუდიანად! შენი წერილის მიღებამ კი გამახარა, მაგრამ ნაკითხვამ და, განსაკუთრებით, იმ ლექსმა სულ ამრია!

მთელი ღამე თეთრად გავათენე, რაღა არ მომდიოდა აზრად: დილით რომ მივიჩქარი ხოლმე სკოლაში, მე-13 ნომერ ტრამვაის ვაგონში ასვლისას, რა იქნება, ერთხელ რომ ფეხი დამიციურდეს და ბორბლებში ჩავვარდე! ორთავეს თუ არა, ერთ კიდურს ხომ მაინც მომკვეთენ და ცალფეხა ხომ აღარ გენდომებოდი-მეთქი!

ან არადა...“

წინა ნოველებიდან მკითხველს, შესაძლოა, ახსოვდეს, თხრობისას სიტყვა რომ გამიზრის ხოლმე. გამეცეცა და მეც მივსდე. ვერც მე ვთმობ ადვილად, ვინ იცის, სადამდე მიმიყვანს, იქნებ, ორჯერ აღმოჩენილი ამერიკა მესამედაც აღმოამჩენინოს-მეთქი.

ამასობაში, საჭადრაკო ტერმინი რომ მოვიშველიო, ცუგ-ცვანგში ვვარდები ხოლმე, და, დროის უკმარისობის გამო, დილემასაც ვაწყდები ცუდსა და უარესს შორის! მეც ყოველთვის ცუდს ვამჯობინებ იმის ილუზიურ იმედად, რომ შენდგომ, გზადგზა, ისეთ კომპოზიციურ ჩარჩოში მოვაქცევ სიუჟეტს, რაგინდ პრეტენზიულ მკითხველსაც გადავყვარო, ეგრევე ქიში არ გამომიცხადოს და ნაწერი გვერდზე არ გადადოს-მეთქი!

ასე რომ, „იმ ლექსმა სულ ამრია“-ო, ლია რომ მწერდა, ალბათ, საჭიროა ითქვას – რა ლექსზეა იქ საუბარი.

მარჯანიშვილის თეატრის პირდაპირ, სადაც ახლა თბისი ბანკის სათავე ოფისია, უწინ, კომხანაში, უნივერსიტეტი იყო.

„ხარატაანთ კერის“ დილის სპექტაკლის შემდეგ, უნივერსიტეტი შევიარე. წინა თვის გამოშუშავებული 24 მანეთი ავიღე, იქნებ, რაიმე შევიძინო-მეთქი. და, მართლაც, ილბად, პირველსავე სართულზე რიგი იდგა თეთრ, წვრილ ქამრებზე! რაღა თქმა უნდა, 3 მანეთი და 50 კაპიკი სიამოვნებით გადავიხადე და ლიას გავუდარაჯდე.

თუ რა შუაში ვიყავი მე მარჯანიშვილის თეატრთან, ამას მომდევნო შეხვედრისას გაიმბობთ, თუკი მკითხველი დაინტერესდება.

## ქამარი გოშავი

მოგიტანე როგორც ბავშვს და გაგახარე. ვერ გაგებდე, კოცნას როგორ გავებდავდი! ფულის ნაცვლად, შიგ ის თრთოლა გადავთვალე, გულს რო მიძგერს, მალულად რომ გაგხედავდი. შემოგხვიე. ვერა და ვერ გავთამამდი, ჩავცქეროდი მე შენს თვალებს, განაცვიფრებს, სხვა შეგეხოს? უსუფთესი მაგ ქამარი შეგახსენებს მის მყიდველს და გაგანბილებს! დავნეე ეს და სიამოვნებისგან გავიზომრე მკვლავების ზურგსუკან დაჭიმვით.

ეს ორი სტროფი, რასაკვირველია, ორთავეს ლექსი გვეგონა. თუმცა, იმასაც ვხვდებოდი, ნოდარ დუმბაძის ილარიონისა თუ ილიკოსი არ იყოს, ახალგაზრდა კაცს ლექსს რა აწერინებს.

წლების შემდეგ, როდესაც უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი ვახდი (ბოლოს და ბოლოს, ბედისწერამ მაინც შესაფერის ბაგას მიმბაბა!) და ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურულ წრეში გავერთიანდი, როცა უფრო ახლოდან გავცანი მხატვრული ლიტერატურის შინამოს, აღმოჩნდა, რომ ლექსში ზმნური რითმები (ყოველ შემთხვევაში, ქართულში), ვერაფერი შეილია!

მე რატომ მაინცდამაინც ქართულში – ამის საფუძვლიან განმარტებას ნახევარსაათიანი ლექცია მაინც დასჭირდება და ვინაა მაგის მომსმენი?!“


ჰოდა, მენყერით დაუკითხავად მოვარდნილი სიყვარულით წამოულურტულეულ ამ ორ სტროფში, ნახეთ, რამდენ ზმნას მოუყრია თავი!

მოგვიანებით, აღარ მახსენდება – რომელ კურსზე ვიყავი (ან რატომ უნდა დამახსოვრებოდა, რომელი „დედაო ღვთისა“ ეს არი, ან „Я помню чудное мгновение!“), ასეთი „ჩეტვერსტიშიე“ გამოვჩარხე:

თვალების კვდომამ დამიგო მახე, იქ, იმ პატარას თვალების კვდომამ და სიყვარულიც პირველად ვნახე, – ნორჩი თითების უცადი ტყდომაც!

ოო, ეს უკვე პროგრესი გახლდათ: თითო ტაქში თითო ზმნა!

## გიზო ზარნაძე



## ბამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „სორნაბუჯის“

ალმანახის რედაქტორია გიორგი ნატროშვილი. გარეკანი გაფორმებულია ამირან კოდიასვილის და თემურ პოპიაშვილის ფოტოებით. ყდის მე-2 გვერდი ალექსანდრე ყაზბეგის 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი და გვთავაზობს მის ლექსს – „მე მთიელი ვარ“. ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ ინფორმაციას ჭაჭუნას ალკვეთილის შესახებ, რომლის ფოტოებითაც არის გაფორმებული ალმანახის გარეკანი. ალმანახი იხსნება სტუმარი ჟურნალის

– „რინა“ ავტორებით: ნანა ქარდავა (რედაქტორი), ირაკლი შამათავა, მურმან კვარაცხელია, ბათუ დანელია, მადონა დვალი, ეთერ სამხარაძე-ჯღალაძე, ნანა ჯეჯეია, ელენე ლვინჯილია და დალილა ცაბავა. აღსანიშნავია, რომ ჟურნალ „რინას“ ნელს გამოცემიდან 55 წელი უსრულდება; ხოლო თავის მხრივ ჟურნალი „რინა“ ახალ, 2023 წლის პირველ, ნომერში დედოფლისწყაროელ ავტორებს წარუდგენს მკითხველს.

## 2023 წლის 1(14) ნომერი!

რუბრიკაში „პოეზია“ მკითხველი გაეცნობა: მირანდა ერისთავის, ქეთევან ნათელაძის, ვაჟა ოთარაშვილის, ეკა კვანტალიანის, ნინო არსენაშვილის, თინა გახელაძის, გიო ზედვაკე-ლის და გიორგი ჩაჩანიძის ლექსებს. რუბრიკაში „პუბლიცისტიკა“ გაეცნობთ ჯემალ მეხრიშვილის წერილს „მოულოდნელი შეჯახება პოეზიის მეტეორთან“. რუბრიკა „ახალი სახელები“ გვაცნობს ახალგაზრდა ნიჭიერი ავ-

ტორის ანანო გოგიშვილის ლექსებს. რუბრიკაში „იუბილე“ იხილავთ ნანა ჭიჭინაძის წერილებს „რევან ტაკიძე – 80“ და „გურამ ქაშაყაშვილი – 90“, რომლებშიც ამ სახელოვან მამულიშვილებს უფრო ახლოს გაეცნობთ. რუბრიკაში „თარგმანი“ იხილავთ ავსტრალიელი მწერლის კატერინა სუსანა პრიჩარდის მოთხრობის ან-ზორ სიფრაშვილის თარგმანს. ხოლო რუბრიკაში „ხელოვნება“ გაეცნობთ მარიკა პოპიაშვილის წერილს „თემურ ყვითელაშვილის სოლო კონცერტი და ვარსკვლავის გახსნა“.



უნდა გამოვუცხადოთ თუ არა ბოიკოტი პიკასოს? კოლექციონერები, მხატვრები, კრიტიკოსები და მუზეუმის კურატორები განაჩენს გვამცნობენ „თავი პაბლო მგონია, როცა ფეხსაცმლებს ვეწმინა“. – აცხადებს კანიე უესტი 2015 წელს გამოშვებულ სიმღერაში „ლოს ანჯელესში წვეულებების დრო დასრულდა“. ეს ფრაზა მისთვის ერთგვარ მონოდებადაც კი იქცა. „თავი პაბლო მგონია, როცა საკუთარ თავს ახალ ამბებში ვხედავ / თავი პაბლო მგონია, როცა შინ ვმუშაობ / ყველას უთხარით, რომ წვეულება აქ იმართება, გარეთ გასვლაც კი არ დაგვჭირდება.“

პაბლო პიკასოს რეპუტაცია შესაძლოა ისე საყოველთაოდ არ შელახულა, როგორც უესტისა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, თუმცა განთქმული მხატვრის მიმართ უკვე გამოითქმის გარკვეული პრეტენზიები. როდესაც პიკასო 91 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაახლოებით 50 წლის წინ, „გარდაინა“ მას XX საუკუნის ყველაზე გავლენიანი მხატვრის სტატუსი მიანიჭა. დღეს პიკასოს სახელს უფრო და უფრო ხშირად განიხილვენ ქალთმოდოლებობისა და სულტურული მითვისების ქრონიკა და ამბობენ იმასაც, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია პრობლემური ხასიათის თეორიკანონი მამაკაცებისა, რომლებსაც ჩინში შეჰყავთ ხელოვნების განვითარება.

ამ ზაფხულს ბრუკლინის მუზეუმი აწყობს გამოფენას სახელწოდებით – „ეს პაბლო-მატურია“ (ხედვით ხომ?). ერთ-ერთი თანაკურატორი იქნება ჰანა გედსი, რომლის 2018 წლის კომედიურ მონოლოგი „ნანეტი“ კარგადაა ხაზგასმული, თუ როგორ ვერ იტანს ავსტრალიელი კომიკოსი პიკასოს. მისთვის კუბიზმი მამაკაცური ეგოს გამოვლინებაა, რომელშიც სავსებით უგულვებელყოფილია ქალის თვალთახედვა. ამასობაში კი პარიზის მუზეუმი მოდის დიზაინერის, პოლ სმიტის უშუალო ჩართულობით ხელმძღვანელობს გამოფენას, რომელიც მიზნად ისახავს, საეჭვო რეპუტაციის მქონე გენიის უფრო ხელშესახები და აქტიულოვი გახადოს თაობა d-სთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ პიკასოს აურაცხელი რაოდენობის ნამუშევარი მოიცავს 14 000 ფერწერულ ტილოსა და ჩანახატს, 100 000 გრაფიკურს, 24 000 წიგნის ილუსტრაციას და 300 სკულპტურულ კომპოზიციას. ნუთუ შესაძლებელია, არაფრად მივიჩნიოთ ამხელა მემკვიდრეობა? გადანიშნის კი მისი ამპორზენი შეხედულებები ისეთ შედეგს, როგორც „გერ-ნიკაა“? გულისხმობს თუ არა ქალების მიმართ პიკასოს უდავოდ სასტიკი დამოკიდებულება იმას, რომ აინუნშიც არ ჩავაგდოთ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გარღვევა ხელოვნების ისტორიაში? სწორედ ამ საკითხზე საკუთარ მოსაზრებას გვამცნობენ კრიტიკოსები, ხელოვნები, კოლექციონერები და კრიტიკოსები.

**„იგი საყვარლეს ტანჯვის კარიკატურადაც აქცევდა“**


ედრიენ სერლი, „გარდაინის“ ხელოვნების კრიტიკოსი

პიკასო შეგვიძლია მივიჩნიოთ რომანის ვებერთელა პერსონაჟად, რომელიც თითქმის მთელ საუკუნეს მოიცავს. იგი პიკარესკული გმირის ყველა ღირსებითაა შემკული, რომელიც ყველგან აობრების კვალს ტოვებს, იქნება ეს მიტოვება, ლაღაბი თუ თვითმკვლელობა. იგი ვამპირია, ანდალუზიელი მაჩო, ქარიზმატული მანიპულატორი, სოციალური, ნარცისი. იგი სწორედ ის მინორტაგია, რომელიც ახალგაზრდა გოგონებზე ნადირობდა, სწორედ ის მოძალადე „ვოლარის სიუტიდან“, აფრიკული ტომობრივი ნიღბების ქურდი, კუბისტი, რომელიც სივრცე ნაწილებად დაშალა და შემდეგ ერთმანეთს შეანება. პიკასო ის ადამიანი, რომელიც ანადგურებდა ქალებს, თავის ნამუშევრებს მათი სხეულის ნაწილებით ამარაგებდა, საყვარლებს პაროდიულ და პნევმატურ სათამაშობად, ტანჯვის კარიკატურებად აქცევდა. რომ არა მისი ხელოვნება, ის უბრალოდ ერთი მორიგი ქალთმოდოლე მონსტრი იქნებოდა.

ყველაფერი ცუდი, რაც პიკასოს შესახებ გაგიგიათ, შეიძლება მართალია. მაგრამ რა შეიძლება ითქვას მის ნოვატორულ მიდგომებზე, გნებავთ ფორმალურზე და გნებავთ სტილისტურზე? ნამუშევრების განსაკვირვებელ კომპლექსურობაზე? მის შემოქმედებას თანაბრად მსჭვალავს სირთულე და სიამოვნების ასპექტიც. ვილაციისთვის ეს სულაც არაა საკმარისი. მის პიროვნებას ფონად გასდევს XX საუკუნის თითქმის ყველა გარდამტეხი მოვლენა. პიკასო იყო სენტიმენტალური კომუნისტი, თანამედრო-

ვეცა და ცრუმორწმუნეც. 1881 წელს დაბადებული მხატვარი XIX საუკუნის პროვინციული ესპანეთის პირმშოა, რაც მოგვიანებით სათანადოდ აისახა მის ბუნებასა და ხასიათში. მისი,

**უდავოდ სასტიკი**



როგორც ადამიანის, უდავოდ სასტიკი მხარე ამ კომპლექსურობის ნაწილია. უკვე ვეღარ შევცვლით ამ სირთულეთა მოცემულობას. მაშინ პიკასოს პიკასო აღარ ერქმეოდა.

**„იგი წარმოსახვის დიდოსტატია“**

ერონ ქარი, ხელოვანი

პიკასო კვლავ შთააგონებს ახალგაზრდა ხელოვანებს, უპირველეს ყოვლისა, სტილისტურად მრავალფეროვნებით. იგი ერთგვარი თავისუფლების სახელმძღვანელოა: „შეგიძლია ყველაფერში მოსინჯო ძალები. წარმოსახვას მიმართე და გადალახე საზღვრები.“ ეს სწორი მიდგომაა, რადგან ხელოვნების სკოლებში ძირითადად დოქტრინის მეთოდით ხელმძღვანელობენ. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ ხელოვანს შეუძლია შექმნას ნებისმიერი რამ და უწოდოს ხელოვნება. პიკასო წარმოსახვის დიდოსტატია, რაც თვალნათლივ ჩანს მის ნამუშევრებში.

დიდი ინტერესი აღმიძრა პიკასოს 1915-დან 1917 წლამდე მოღვაწეობის პერიოდში. იგი სწორედ ამ დროს მუშაობდა ასამბლაზე, აიღებდა ხის ნაჭერს, დაკიდებდა კედელზე მერხვს ხის ნაჭერით ერთად და გინდა სკულპტურა და ნაჭერით ერთად, გინდა ნახატი. ამან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა, როცა ფერწერიდან სკულპტურაზე დავიწყე გადასვლა. საჭირო არაა, ქვა აიღო და თლას შეუდგე, ან თინით ძერწო რაიმე. უბრალოდ შეგიძლია ადგე და სახელოსნოში რაც ხელთ მოგვხდებოდა იმით შეაკონინო ხელოვნების ნიმუში.

**„სრული უპატივცემულობა იმ ქალების მიმართ, რომლებსაც ხატავდა და რომლებთანაც იწვია“**

ელაზა გუდფასჩერი, კრიტიკოსი

პიკასოს დიდებულები მთელი არსი სიმძაფრეში, მასშტაბურობაში, გამბედაობაში, ორიგინალურობაში, პოპულარობასა და შოკის ეფექტში მდგომარეობს. აქვე უნდა ვახსენოთ მაჩოური, ავხორცული მამაკაცურობაც. მისი სისასტიკე და ქალთმოდოლეობა, შეიძლება ითქვას, განთქმულია ისევე, როგორც მისი ნახატები. პიკასოს ცხოვრება და ხელოვნება სინამდვილეში ქალებზე შექმნეს, ცოლებმა და საყვარლებმა, რომლებიც მასზე ზრუნავდნენ და ცხოვრებას უწესრიგებდნენ. იგივე ითქმის მისი ნახატების მენატურეებსა და მუზეუმზეც. ეს ქალები მასავით ფუნჯმომარჯვებული კი არ იხსენდნენ, არამედ საროსკიპოებსა და ბარებს, ფაქტობრივად, ბრძოლის ველზე უწევდათ თავის გატანა. მისი ხელოვნების სენსაციურ რადიკალიზმს საფუძვლად უდგევს გაუმართლებელი უპატივცემულობა იმ ქალების მიმართ, რომლებსაც ხატავდა და რომლებთანაც იწვია.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაწყებულია სხვა „დიდი ხელოვანების“ როლისა და მნიშვნელობის გადაფასება, პიკასოს სახელი მაინც მკვეთრად ასოცირდება XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი და სახელგანთქმული მხატვრის სტატუსთან. როგორც ჩანს, გენიოსობა უფრო მარადიულია, ვიდრე ქალთმოდოლეობა. შეუძლებელია, პიკასოს ხელოვნება მისი ცხოვრებისგან გაემიჯნოთ და ზუსტად ასევეა შეუძლებელი გავქცეთ მისი უზარმაზარი შემოქმედების, მისი მემკვიდრეობის მნიშვნელობა. თუმცა ის მაინც შეგვიძლია, რომ თავი შევიკავოთ „დიდებულის“ ასეთი ვიწრო გაგებისგან, რომელიც ხელოვნების ისტორიას პიკასოსნაირი კაცებით განსაზღვრავს.

მხატვრული კანონები მუდმივი და უცვლელი არაა, უწყვეტად იმდინარეობს მათი

გადაფასება. რა მოხდება, ერთხელაც ხელოვნების დიდებულ ნიმუშად ჩაითვალოს თითქმის შეუმწინეველი, უხმაურო, მცირე, რთული, კომპლექსური ნაწარმოები? წარმოიდგინეთ, რომ დიდი ხელოვანი შეიძლება იყოს ნებისმიერი სქესის, ნებისმიერი რასის წარმომადგენელი, ან ადამიანი, რომელიც სხვებში სწორედ ადამიანობას აფასებს. წესით ესენი არ უნდა იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი?

**„ნახატთან ერთად ცხოვრება ნიშნავს მის მხატვართან ერთად ცხოვრებას“**

შელი ნამადი, გალერეისტი და პიკასოს ნამუშევრების კოლექციონერი

როცა პიკასოს ნახატთან ერთად ცხოვრობ, გინდა – არ გინდა, ის შენი თვალთახედვის არეშია. რამეს თუ ელოდები, ტელეფონზე საუბრობ თუ უბრალოდ კამათობ, ის სულ იქ კიდა. უსასრულოდ უმზერ ამ ნახატს და მაინც წლები გჭირდება მის ამოსაცნობად. არადა, საუბარია ნახატზე, რომელიც 15 წუთში შეიქმნა.

1960 წლიდან მოყოლებული იგი ხშირად იყენებს ნეგატიურ სივრცეს, გარკვეულ ადგილებში ტილოს ცარიელს ტოვებს. აიღებს ფუნჯს, ხელის სწრაფი მოძრაობით მიუსვამოს ნიკაპის, ყბის და ყელის ადგილას, შემდეგ უცებ თმას მიახატავს, ბოლოს კი ორ ცალ ბურთულას დააღვევინებ. შეხედავ და – პორტრეტიც მზად არის. ეს ლაქები სინამდვილეში არც არაფერია, უბრალოდ, რაღაც აბსტრაქტული ბურთულები გროვია. მიუხედავად ამისა, შენ მაინც პორტრეტს უმზერ. ეს ხომ შოკისმომგვრელია. ეს ხომ საოცრებაა.

ნახატთან ერთად ცხოვრება ნიშნავს მის მხატვართან ერთად ცხოვრებას, თუნდაც იმიტომ, რომ სურათი შემოქმედის ყველაზე ღრმა აზრებს იტევს. საკუთარ სახლშივე შეგიძლია მხატვარის სულის სიღრმეში ჩასწვდენი. ეს ისეთი ამაღლებველია! მრავალი წლის წინ, როცა ბინა გავყიდე, ნახატი ექვსი თვით ადრე გავიგანეთ სახლიდან. მის გარეშე თითქოს ბინა დაცარიელდა, მხოლოდ ცარიელი ბეტონის კედლები დარჩა.

**„ქალების განივთვა? ამაში გადალი არ ჰყავდა!“**

ლისა სმოლი და ქეთრინ მორისი, „ეს პაბლო-მატურია“-ს კურატორები ბრუკლინის მუზეუმში

ლისა სმოლი: არასდროს ცოლად არ გავყვებოდი...

ქეთრინ მორისი: ჰანა მორისი ამბობს, რომ უამრავი მიზეზი არსებობს იმისთვის, რათა პიკასო გძულდეს, მაგრამ მთავარი მიზეზი რომ იყოს პიკასოსთვის ბოიკოტის გამოცხადება, ამ გამოფენას არც მოეანჯობდით და არც ჰანა მიიღებდა მასში მონაწილეობას. თუმცა როგორც ფემინისტური ხელოვნების კურატორმა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დღეს აუცილებელიცაა პიკასოს ფემინისტური კრიტიკის ქრონიკა დანახვა.

ლს: ჩვენ არ ვანადგურებთ მას. კედელზე სულ არ დაგვიდებდით ამ ნახატებს, მას რომ უარყოფდით და შეუფერებლად მიგვანდეს. ისეთი სერიოზული გავლენა მოახდინა მთელ კულტურაზე, რომ სულსა და ვიქნებოდით, მისი შემოქმედების განხილვა საერთოდ შეგვენეციდა. უბრალოდ, საინტერესოა, განსაკუთრებით ამ გამოფენაზე უხვად წარმოდგენილი ფემინისტი ხელოვანების თვალთახედვით, თუ რა აზრი არსებობს პიკასოს შესახებ, რა გავლენა აქვს თანამედროვე მხატვრებზე, რომელშიც მაინცდამაინც უარყოფითი დამოკიდებულება არ იგულისხმება. ხელოვნებაში ქალების განივთვების იდეა, მამაკაცების მათდამი მზერის ასპექტი მას თავიდან არ მოუფრიალა.

**„პიონერები აფრიკალები არიან“**

რიანა ჯეიდ პარკერი, კრიტიკოსი და კურატორი

ალბათ, ყველამ იცის 1908 წელს პარიზის სახელოსნოში გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც პიკასო აფრიკულ ნიღბებთან ერთადაა გამოსახული. ნიღბებს ამ ფოტოზე არც დეკორატიული ფუნქცია აქვთ, არც მათ მნიშვნელობაზეა ხაზგასმა. პირიქით, პიკასო წარმოგვიდგება, როგორც ცნობისმოყვარე, ავადმყოფური ყინით შეპყრობილი კოლექციონერი, რომელიც დიდი ალბათობით აგდებულად უმზერს აფრიკულ ნაკეთობებს. ხელოვნების ისტორიკოსები ამ ტიკიკებზე, რომ მისმა აფრიკულმა პერიოდმა მხოლოდ მცირე ხანს გასტანა, დაახლოებით 1907-დან 1909 წლამდე, თუმცა რეალურად როდის და როგორ დასრულდა ეს გავლენა?

1907 წლის გაზაფხულზე პარიზში, ტროკადეროს სასახლის ეთნოგრაფიული მუზეუმში თავს იწონებდა აფრიკელი, მკვიდრი ამერიკელების და ოკეანელი ხელოვანების ნამუშევრებით, რომელთაც, სპეციფიკიდან გამომდინარე, „პრიმიტიული ხელოვნების“ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ. პიკასო თვლიდა, რომ არაფერი პრიმიტიული მათში არ იყო.

გამოფენის ნახვის შემდეგ მან აღიარა: – „თავს ვაიძულე, დავრწმუნოდი, რომ ადრე დადამეთვალაოვებინა ეს ნიღბები, ყველა ის ნივთი, რომელიც ხალხმა წმინდა, მაგიური დანიშნულებით შექმნა. ისინი ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებენ ხალხსა და მათ გარშემო არსებულ ამოუცნობ, მტრულ ძალებს შორის. ამ ობიექტებისათვის ფერისა და ფორმის მიცემით ადამიანები ცდილობენ თავიანთი შიშები დაძლიონ. სწორედ ამან გამაცნობიერებინა მხატვრობის ქემარტი არსი“.

„ავინიონელ ქალსულებს“ მოდერნიზმის საკვანძო ნამუშევრად მიიჩნევენ, მაგრამ იქვე ხაზს უსვამენ ბრაკის, მატისისა თუ გოგენის შემოქმედების მნიშვნელობას. ერთი სიტყვით, სადაც ავანგარდს ვახსენებთ, იქვე უნდა ავინიშნოთ ისიც, რომ ამაში პიონერები სწორედ აფრიკელები არიან.

**„ზოგჯერ მისი დახატული ქალები თითქოს ზამოღან უმზარან მამაკაცებს“**

ერიკა ვერზუტი, ხელოვანი

ზავშობაში, სან-პაულუში ცხოვრებისას, წარმოდგენა საერთოდ რომ არ მქონდა თანამედროვე ხელოვნებაზე, პიკასოს სახელი ყველამ იცოდა. მისი შემოქმედების გაცნობამ ძალიან ბევრი რამ მომცა. დღეს კიდევ უფრო ვაფასებ მას, ვიდრე სტუდენტობის წლებში, რადგან ის დროს უძღვებ. მჯერა მის ხელოვნებაში არსებული ქემარტიბისა. ჩემი აზრით, იგი აფრიკულ კულტურაზე, მათეულ ქემარტიბებაზე მიგვითითებს და ამბობს: – „არსებობს სხვა ხედვა, სხვა ენა, ის, რაც ჩვენამდე შეუქმნიათ“. ასე რომ, მე ისევე ალტაცებული ვარ მისით.

მიუხედავად პიკასოს ბიოგრაფიისა, მის ზოგიერთ ნახატში ვხედავ ცოლებს, რომლებიც თითქოს ზემოდან უმზერენ მამაკაცებს და ამით ძირს უთხრიან კაცის ქალისადმი ხედვის იდეას. ზოგჯერ მამაკაცების მზერაც შეიძლება შეიცვალოს და ქალის სხეული მხოლოდ ლტოლვის ობიექტად აღარ აღიქვან. ეს ძალიან დინამიკური პროცესია. მისი მხატვრული ხედვა ბევრს სძლავს არა მხოლოდ ჩემს შემოქმედებას, არამედ ზოგადად ყველაფერს.

**„აფრიკის შთაგონების წყაროდ გამოყენება დიდებული ხელოვნების შესაქმნელად“**

ენდრია ემელიაფი, კურატორი დასავლეთ-თავრიკული ხელოვნების ედოს მუზეუმში, ლავოსი, ნიგერია

ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ნახატია „ხოცვა კორეაში“, რომელზე მუშაობაც პიკასომ 1951 წელს დაასრულა. მაგრამ პიკასო ჩემთვის კიდევ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ საყვარელი ხელოვანი. მას შემდეგ რაც პარიზში, ტროკადეროს მუზეუმში ეზიარა აფრიკულ ხელოვნებას, მან მასში აღმოაჩინა რელიგიური სიღრმე და რიტუალური მიზანი, რამაც ის ძალზე განაცვიფრა და ააღელვა.

ამჟამად ორი ეტიუდი იყვრება ჩემს დიდ ყურადღებას. „ქალის თავი“ (ეტიუდი „ფარდებში გახვეული შიშველი ქალისათვის“) და ეტიუდი „ფარდებში გახვეული შიშველი ქალისათვის“. ორივე მათგანი გაბონის ფანგი ხალხის ხეილის ნიღბებს მაგონებს, იმდენად დიდ მსგავსებას ვხედავ პარალელური ხაზების ესთეტიკურ გამოყენებაში. იმ ფაქტს, რომ პიკასომ მშვენიერება და დრამატიზმი დაინახა ფორმების დახვეწილ, აბსტრაქტულ გადაწყვეტაში, თუნდაც აფრიკული ნიღბების დაგრძელებულ სახის ნაკეთობები, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეენეყო ხელი აფრიკული ხელოვნებითა და ესთეტიკით დაინტერესებისა და შემდგომში კვლევისათვის. შესაძლოა, ხელოვნების სამყაროს სწორედ ამით აღძვროდა ცნობისმოყვარეობა. პიკასოს გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ, თუ გადავწყვეტთ, რომ აქამდე ჩვენთვის მოთხრობილი მოდერნიზმის ცალმხრივი ისტორიის დანაკლისი ბოლომდე შევავსოთ, პირველ რიგში, აფრიკით უნდა დავიწყოთ.

გაზეთი „გარდანი“, 7.04.2023  
თარგმნა ანა ამირხანაშვილი



„ზუსთონიანი“

წიგნის შექმნის მიზეზი

...როს საზებურო ამ სასახლის მოვრჩი შენებას, მას ათი კარი ჩამოგვიდე შეუსვენებლად.

პირველი –სამართლიანობის, სიბრძნის რაობის, მქადაგებელი ხალხზე ზრუნვა-ღვთისმოსაობის.

მეორე კარი სიქველეს და წყალობას არჩევს, სამადლობელი რათა სრულად მიეგოს გამჩენს.

მესამე კარი –სიყვარულის ორომტრიალის და არა –ძალით მოხვეული ქვენა ტრფილის. (110)

მეოთხე –კრძალვის, მეხუთე კი –თვინიერების, მეექვსე –ბედით კმაყოფის და გულშეჯერების.

მეშვიდე კარი აღზრდისაა, წვრთნისა და სწავლის, მერვე –მადლობის და სიკეთის გზა-კვალზე გავლის.

მეცხრე –სინანულს და სწორ გზასაც ეძღვნა სრულიად, მეათე –ლოცვა და ამ წიგნის დასასრულია.

წმინდა დღეს,<sup>1</sup> როცა შთაგონებით შემესხა ფრთები და ორ კურთხეულ თარიღს შუა,<sup>2</sup> განგების ნებით,

ექვსას ორმოცდათხუთმეტი<sup>3</sup> რომ შესრულა ჰიჯრით, მანგით გაივსო საგანძური ერთურთის მიჯრით.

თუმცა, ჯავარით კალთა სულაც არ მაქვს ნაკლული, ვარ მაინც კდემით თავჩარგული, ლანგშეფაკლული.

ამ მარგალიტთა ზღვაში რადგან სადაფთაც ვხედავ, ბაღში საროთა გვერდით ნახავთ ტანმორჩილ ხეთაც.

შენ კი, მკითხველო, ხელოვანო, იყავ დღეგრძელი, ჯერ არ მსმენია ხელოვანი, ნაკლის მძებნელი.

თუკი შეიდიშ-ყალამქართა ჩაცმას აპირებ, რა ბედენაა გაცრეცილი სარჩულ-საპირე.

თუ ხატაური ვერსად ჰპოვე, არ დარჩე უბრად, და დიდსულოვნად გადაიცივი უბრალო ჯუბა.

თავს არად ვაგდებ და თან შიშის ზარმა გამთანგა, ხელგაშვერილი მონყალებას ვითხოვ სხვათაგან.

მსმენია, როცა განკითხვის დღე დადგება ცხადლივ, ღმერთი ცოდვილებს მიუტეებს მართალთა მადლით.

თუ არ მოგივა თვალში ჩემი სიტყვის ელფერი, მოიქეც ისე, დიდ შემოქმედს როგორც შეჰფერის.

ერთი ბეითიც თუ ათასთა შორის იქება, ენას ნუ დაძრავ სხვა სტრიქონთა განსაქიქებლად.

თხზულებას ჩემსას გასაგალი არა აქვს ფარსში,<sup>4</sup> ხოთანში<sup>5</sup> მუშკი<sup>6</sup> ბევრია და აქვს ჩალის ფასი.

შორს იყო შიში, დოლის ხმად თუ მცირე ქუხილად, ჩემს არყოფნაში ჩემი ნაკლი არვის უხილავს.

საადიმ ვარდით გადაპენტა ბაღნარი ღია, პილპილ-საკმაზი სითამამით ინდოეთს მიაქვს.

ჩემი ლექსები ფინიკსა ჰგავს, გასინჯავ თუკი, გარეთ ამოა, ხოლო შიგნით სავსეა კურკით.

\*\*\*

ყველ-არსლანს რომ ფეხქვეშ ეგო ცის ცხრა კამარა, რაში დასჭირდა, როცა ჟამმა დაასამარა.

ცუდმედიდობის ფეხს ნუ ადგამ ზეციურ ფინალს, სჯობს, სინრფელის და კრძალვის სახე მიადო მინას.

ცას მორჩილებით მიაპყარი მზერა ეული, კრძალვაზე გადის მართალთა გზა სამოთხეული.

1 სავარაუდოდ, პარასკევი იგულისხმება, რომელიც ისლამში წმინდა დღედ ითვლება. ამ დღეს აღესრულება ღვთისმსახურება მეჩეთში.

2 უცნობია, რომელ ორ თარიღს, ორ დღესასწაულს გულისხმობს საადი.

3 ჰიჯრის მთვარის კალენდრის 655 წელი შეესაბამება ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1257 წელს. იგულისხმება, რომ ავტორმა ამ წელს დაასრულა „ზუსთონიანი“ მუშაობა.

4 ფარსი – ირანის უძველესი პროვინცია, ცენტრით შირაზში. საადის მშობლიური მხარე. „ფარსიდან“ წარმოსდგა სპარსელთა ეთნონიმი.

5 ხოთანი – მუშკის წარმოებით ცნობილი ქალაქი აღმოსავლეთ თორქესტანში

6 მუშკი – სურნელოვანი ნივთიერება, რომელიც ფართოდ გამოიყენება აღმოსავლურ ფარმაცეპოლოგიაში.

თუკი მონა ხარ შემოქმედის, მის სიტყვას ისმენ, ეგ ხელმწიფური დიადემა მოიძრე მყისვე.

ღვთის მაღალ ზღურბლთან დაიკვნესე დაუზარებლად, როგორც საბრალლო ამბოკარმა მდიდრის კარებთან.

მეფურ სამოსელს დაეთხოვე დაუყვედრებლად, და, ვით გლახაკმა, ზეამოთქვი წრფელი ვედრება:

უზენაესო, იქნებ შვების წყარო გვადიროსო, შენ ხარ დერვიშთა სასოება სამარადისოდ.

მე არც მეფე ვარ, არც სრა მადგას მოჩარდახული, შენს კართან მდგომი, ვარ უბრალო მონა-მსახური.

ძალი მომეცი, მადლსა ვთვლდე ახალს და ახალს, თორემ ამ ქვეყნად ჩემგან ვინ რა სიკეთეს ნახავს?

ღამით ილოცე გლახაკივით, წრფელად და მართლად, თუ დღისით, როგორც ფადიშაჰი, ქვეყანას მართავ.

არ გიჟღერებენ მოჯანყენი რისხვის ნალარებს, მამ, თავად შენაც ღვთის წინაშე თავი დახარე.

დიდება უფლის მორჩილ მონებს, წყალობა ყოვლად, დიდება უფალს, ვისაც ესმის მონათა თხოვნა.

\*\*\*

ეუბნებოდა შირუიეს ხოსრო ბედკრული, როს სიკვდილის წინ თვალს ხუჭავდა, სიბრძნით შემკული:

რასაც არ უნდა იზრახვიდე ხვალის იმედით, სჯობს, ქვეშევრდომებს არ მიაგო წყენა მცირედიც.

ნუ განშორდები სამართლის ბჭეს, მეფურ დიდებას, რომ არ გაქციოს ხალხმა ზურგი დაურიდებლად.

ხალხი გაურბის მჩაგვრელ მეფეს, ვინც ყველას არბევს, და მთელ ქვეყანას მოსდებს მისი სიმდაბლის ამბებს.

კიდევ ცოტაც და ამოძირკვავს საკუთარ ფუძეს ის, ვისაც ლიბოდ სიავე და სიბილწე უძევს.

იმდენს მტერიც ვერ დაგიშავებს, ცრუ და ავსული, რამდენსაც კენესა ქვრივ-ობლების –ცამდე ასული.

ქვრივ ქალთა კვარმა როცა ხანძრად აიბრიალა, ბევრი ქალაქი გადაბუგა, მოსპო მთლიანად.

ბედის რჩეული ის ყოფილა, დიდკაცად სცანი, მართლმსაჯულების ვინც ინამა ანი და ბანი.

როდესაც წავა, იქ ერგება დიდების დაფნა, სპეტაკი ცრემლი ქვეშევრდომთა დაულტობს საფლავს.

ავის და კარგის წარმავლობა გამოკვეთილა, თუმცა, მაინც სჯობს მოგიგონის ხალხმა კეთილად.

\*\*\*

ძველ ყმათა ყადრი იცოდე და უძღვენ მადლობა, მათგან არ გელის სიავე თუ მცირე ღარობაც.

თუკი მსახური დაუძღურდა, დაბერდა თვალწინ, არ დაივიწყო მისი ძველი გარჯა და ღვანლი.

თუ სიბერეში არ აქვს ხელის გამლის უნარი, ხელგამლილობით დარჩი თავად გაუმტყუნარი.

მსმენია, რაჟამს გააძევა ხოსრომ შაფური, ამ უკანასკნელს თითქოს გულში ჩასცეს შამფური.

წასვლა ეძნელა როს დიდების ვარდნართა მკრფველს, მყისვე წერილი გაუგზავნა სვემორჭმულ მეფეს:

შენს სამსახურში სიჭაბუკე ჩემი გავიდა, ან, სიბერეში, ნუ განმდევნი შენი კარიდან.

\*\*\*

თუ უცხო შფოთის ხელს გაიშვერს შენი კარისკენ, მკაცრად ნუ დასჯი, ექსორია უსაკმარისე.

უმჯობესია თუ დაიცხრობ რისხვას მაშინვე, რადგან საბრალლოს ავი ზნე მტრობს გულისთქმაშივე.

თუკი მოჯანყე სპარსელია, არა სჯობს, განა, აქვე დატოვო, არ გაუშვა რუმსა და სანას?!<sup>7</sup>

სხვაგან ნუ მისცემ თავშესაფარს, დაცვებთ ძვირი, რადგან არა ხამს უცხოთათვის მისართვა ჭირის.

იტყვიან: დარჩეს ეგ ქვეყანა უგზოდ, უდაროდ, სადაც აღზრდილან ასეთები საქვებუდნოდ.

სპარსულიდან თარგმნა გიორგი ხულორდავაძე

თვითრედაქმნის თემა

რუსთაველის ეროვნული თეატრი

5, 6, 7 მაისი პარასკევი, შაბათი, კვირა – 19.00

მიჯაჭვული პრომეთე ეპიზოდი პირველი ავტორი: ესქილე რეჟისორი: რობერტ სტურუა

12 მაისი პარასკევი – 19.00 დაკანონებული უკანონობა ავტორი: ბერტოლდ ბრეხტი რეჟისორები: რობერტ სტურუა და ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე

13 მაისი შაბათი – 15.00 პატარა უფლისწული ავტორი: ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი რეჟისორი: ნიკოლოზ საბაშვილი

13 მაისი შაბათი – 19.00 მცირე დარბაზი ძუნწი ავტორი: გიორგი ერისთავი რეჟისორი: გოჩა კაპანაძე

14 მაისი კვირა – 19.00 მიჯაჭვული პრომეთე ეპიზოდი პირველი ავტორი: ესქილე რეჟისორი: რობერტ სტურუა

20 მაისი შაბათი – 19.00 ერთხელ... მხოლოდ... ზმანება ერთ აქტად ავტორი და რეჟისორი: რობერტ სტურუა

მარჯანიშვილის თეატრი 5 მაისი პარასკევი – 20.00 გრონჰოლმის მეთოდი ავტორი: ჟორდი გალსენ-რანი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე

6 მაისი შაბათი – 20.00 შინელი ავტორი: ნიკოლაი გოგოლი რეჟისორი: კონსტანტინე (კოკო) როინიშვილი

7 მაისი კვირა – 20.00 სადღაც ამერიკაში ავტორები: ქეთევან ხარშილაძე-ასსერი, ჯონ ასსერი რეჟისორი: ქეთევან ხარშილაძე-ასსერი

9 მაისი სამშაბათი – 20.00 დანაშაული და სასჯელი ავტორი: ფიოდორ დოსტოევსკი რეჟისორები: ლევან ნულაძე და თემო კუპრაძე

10 მაისი ოთხშაბათი – 20.00 ჟოლო ტრაგიკომედია ავტორი: კოკი მიტანი რეჟისორი: ლევან ნულაძე

11 მაისი ხუთშაბათი – 20.00 ფიგაროს ქორწინება ავტორი: პიერ ბომარშე რეჟისორები: ლევან ნულაძე და თემო კუპრაძე

12 მაისი პარასკევი – 20.00 ინციდენტი მეტროში ავტორები და რეჟისორები: ლევან ნულაძე და თემო კუპრაძე

13 მაისი შაბათი – 20.00 ვთამაშობთ ვოდევილს ავტორები: აკაკი წერეთელი და ნიკოლაი ნეკრასოვი რეჟისორი: ციცილო კობიაშვილი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

14 მაისი კვირა – 20.00 ცუდი ბიჭები კომედია ავტორი: ლევან ნულაძე რეჟისორი: ანი ხიდუშელი

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მებრძოლი ფინანსური მენეჯერი ქეთევან დამატარაშვილი კომპიუტერული უზრუნველყოფა: პალა გველესიანი, მზია პარპაძე დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური პოლდემარ ჰანსი

„ლიტერატურული საქართველო“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

გაზეთი გაზეთის 2 კამპანია მობილ დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57